ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. იხილეთ აღნიშნული გადაწყვეტილებები

გვ. 6-9

პარასკევი, 14 იანვარი, 2011 №11 (5396) ფასი: 30 თეთრი

# „თელასი" მიხეილ სააკაშვილის პირადი ბანკია



გვ.2

საკაშვილის უკანონო ხელისუფლებამ წლის ბოლოს საქართველოს მოსახლეობას მორიგი არაადამიანური სიურპრიზი მოუმზადა და ერთი ქვითრის პრინციპით აი ულა კომუნალური გადასახადების გადახდა



გვ.2

## ტურიზმის განვითარება სააკაშვილის მორიგი ბლეფია

ამ ხელისუფლების დამარცხებას სჭირდება ყველა ოპოზიციური რესურსის გაერთიანება. ამ გაერთიანებისთვის ძალა თუ არ ექნება ოპოზიციას, ასეთ შემთხვევაში ისევ გაიმარჯვებს ხელისუფლება



გვ.3

## ბათუმში კონცერტი 25 მილიონი დაჯდა

ოპოზიციაში ლუსტრაცია აუცილებელია



## სააკაშვილი ლუკაშენკოს ინაუგურაციაზე არ უნდა წავიდეს

გვ.4



გვ.5

## საპროცესო შეთანხმებებით ბიუჯეტში შარშან 300 მილიონი შევიდა

## მთავარ სანაკოევს მისი მოგვარის აგენტობისა არ სჯერა

გვ.4



ჩოჩიევი კი „ირონის" დასჯით იმუქრება

## ევროსასამართლომ მოსკოვი და ცხინვალი გაანაწყენა

გვ.5



გვ.3

## ოკუპაციამ სერგეი ლავროვი გააბრაზა

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში"

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის" უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

ISSN 1987-9385

12 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

11 მობილურით საუბარი იაფდება

13 თასისა და მემორიალის კენჭისყრა ჩატარდა

4 კარდინალთა და ეპისკოპოსთა სპეციალურმა კომისიამ იოანე პავლე მეორეს სასწაული აღიარა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ტურიზმის განვითარება სააკაშვილის მორიგი ბლეფია

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან

***— ბატონო ზვიად, მოდით, მიმდინარე პროცესები შევაფასოთ. საზოგადოებაში ხშირად ჩნდება განცდა, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად უბიძგებს საზოგადოებას, ქუჩაში გამოვიდეს და არეულობა მოაწყოს. თქვენ რა განცდა გეუფლებათ ამ შემთხვევაში?***

— მე არაერთხელ აღმინიშნავს საგაზეთო ინტერვიუებშიც, პირდაპირ საუბრებშიც, რომ სოციალური თვალსაზრისით რასაც აკეთებს ხელისუფლება, ეს უკვე ძალიან ჰგავს თავხედობას. ის ამ თავხედობას ვერ ბედავდა მაშინ, როდესაც ოპოზიცია ძლიერად იყო, პირიქით, მაშინ თქვენ იცით კარგად, რომ ჯარიმებისა და გადასახადების შემცირებები მიდიოდა. იყო პენსიების ზრდაზე მუდმივი ლაპარაკი, გზების დაგება. სოციალური ფონის გაუმჯობესებისათვის ბიუჯეტში საკმაოდ დიდი თანხები გამოიყოფოდა, დღეს კი ხელისუფლება ბოლომდეა გათავხედებული და არის პირდაპირ რიგითი მოქალაქის ჯიბეზე სერიოზული ზეწოლები. გაძვირდა წყლის გადასახადი, იგივე, რაც ხდება ტრანსპორტთან, უმუშევრობის მასობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ვფიქრობ ერთ რამეს — გამოსავალი არის მხოლოდ ერთ რამეში — უნდა დაიწყოს. ჩვენ, ეროვნული საბჭო, ვგეგმავდით ახალი წლის დადგომამდე ამ ნაბიჯების გადადგმას. ახლა საქართველო გამოერკვევა ამ მუდმივი „პახმელიის“ მდგომარეობიდან, რომელშიც 25 დეკემბრიდან 15 იანვრამდე არის ხოლმე. ტრადიციულად, ასეთ მდგომარეობაში ვართ და ვფიქრობ, ჩვენი გააქტიურება დაიწყება სწორედ სოციალური თემატიკით.

***— ამბობენ, რომ ტარიფები კვლავაც მოიმატებს. ითქვა, რომ საფასური ბუნებრივ აირზეც მოიმატებს. ეს, ალბათ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს მოსახლეობას...***

— რა თქმა უნდა, ეს არის მოსახლეობისთვის სრულიად აუტანელი სიმძიმე და მე მინდა განვაცხადო, რომ იმ ფუფუნებას, იმ სიმდიდრეს, იმ მრავალმილიონიან სასტუმროებს, ბრჭყვიალა ილუმინაციებს, რომლებიც საახალწლოდ ყველამ ვიხილეთ, ლისაბონის ცნობილ მოვლენებს და ყველაფერს ამას სჭირდება უზომო რაოდენობით ფული და რაღა სხვაგან წავიდნენ ფულის საძებნელად, უცხოეთიდან მათ ფულს აღარავინ აძლევს, მათი გრანტების, ტრანშების, კრედიტების პერიოდი დამთავრდა და აგერ ჰყავთ საქართველოს საზოგადოება, რომელსაც მუდმივად, თანდათანობით ხდიან სულს. ეს პოზიცია ასე გაგრძელდება, თუკი საზოგადოებამ არ დაიწყო სოციალური კუთხით აქტიურობა. ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია და კიდევ ვამბობთ, უნდა იყოს სოლიდარობა სოციალურ ფენებს შორის. როდესაც წყლის გაძვირებას აპროტესტებს მოსახლეობის ერთი ჯგუფი, მეორე ჯგუფი უნდა გამოვიდეს და გვერდში უნდა დაუდგეს მათ, როცა ტრანსპორტით უკმაყოფილო ადამიანები იწყებენ ასეთი ტიპის აქციებს, მაშინ პენსიონერს უნდა დაუდგეს გვერდით, რომელსაც ასდოლარიან პენსიას ჰპირდებოდნენ ურცხვად მთელი ამ ხნის განმავლობაში და არ შეუსრულეს. როდესაც პენსიონერს ატყუებენ, მაშინ უნდა გამოვიდეს დევნილი, რომელსაც, სანამ სახლში არ შეუცვივდებიან, მანამდე ვერ გამოვიყვანთ ხოლმე ქუჩაში. ეს არის პრობლემები და ამ პრობლემების გადაწყვეტას სჭირდება სოლიდარობა. ის, რაც ვეტერანებთან დაკავშირებით მოხდა, ის, რაც პენსიონერებთან დაკავშირებით ხდება, ის, რაც საზოგადოების ყველა ფენას ცალ-ცალკე ეხება — ეს არის ერთი საერთო ტკივილი და ვფიქრობ, ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციების ვალდებულება ის არის, რომ ამ პრობლემებით შეჭირვებულ ადამიანებს ჩვენ მივცეთ ორგანიზებულად თავიანთი პოზიციის დაფიქსირების საშუალება.

***— თქვენ ვეტერანები ახსენეთ და ალბათ დამეთანხმებით, რომ საკმაოდ ცინიკურად მოექცა მათ ხელისუფლება...***

— გათავხედებულნი არიან. ეს ჩანს მათ ყოველ ქცევაში, მათ ყოველ გადაწყვეტილებაში, რომელსაც იღებენ, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა — ქალამნად. აქ არის უკვე ისეთი პერიოდი დამდგარი, როდესაც ამას სათანადო შეფასება უნდა მისცეს როგორც ოპოზიციამ, ასევე საზოგადოებამ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური უკულტურობის ბრალია ის, რომ თავზე გვაზის ხელისუფლება, რომელმაც დაკარგა ტერიტორიები, რომელმაც სოციალური მდგომარეობა გააუარესა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის უშიშროება, უსაფრთხოება მიიყვანა სახიფათო ზღვრამდე და დღესაც ასეთი ზღვრის პირას არის, რომელმაც გაყარა სამსახურებიდან ის ხალხი, ვინც თუნდ შევარდნაძის დროს რაღაცა ფორმით მაინც იყო დასაქმებული, რომელმაც გლეხებს ფაქტიურად უთხრა, რომ თქვენი პროდუქცია არ გვჭირდება, უცხოეთიდან შემოვიტანთ და ის უფრო იაფი და უკეთესიაო და, აქედან გამომდინარე, ფაქტიურად, ჯიბეგამოფხეკილი დატოვა გლეხობა. კაცი, რომელიც ამბობს, ტურიზმია ყველაზე მთავარი და კვარიათის ბულვარის ჩაყვანა გონიომდე ყოფილა თურმე ჩვენი სტრატეგიული ამოცანა, ასეთი ტიპის ხელისუფალნი, პოლიტიკური კულტურა სადაც არის, იმ ქვეყანაში ვერ ძლებენ ხოლმე, მაგრამ ეს ჩვენთან შეიძლება. აფხაზეთს დაკარგავს კაცი, მერე პრეზიდენტად აირჩევენ. მთელი სიმწრით ნაშრომს პირიდან გამოგლეჯს კაცს, მერე სანაცვლოდ რამდენიმე მეტრ ასფალტს დაუგებენ სახლის წინ და არჩევნებზე ხმას აძლევენ. ვფიქრობ, საზოგადოებაც ნელ-ნელა მივა იმ დასკვნამდე, რომ ხელისუფლების ხშირი ცვლა ხელისუფლების ყველაზე კარგი წამალია იმისათვის, რომ ხელისუფლება მოიქცეს, როგორც მსახური ხალხის და არა როგორც ხალხის მჩაგვრელი და ხალხის ბატონი. ეს არის საზოგადოებაზე დამოკიდებული, ღორის ტილზე ნათქვამისა არ იყოს, ღორის ტილს ფეხზე თუ დაისვამ თავზე აგაცოცდება, თუკი მიუშვი, რა თქმა უნდა. ჩვენმა საზოგადოებამ ძალიან ბევრის უფლება მისცა ხელისუფლებას და შედეგს ვიმკით ყველანი დღეს!

***— თქვენც აღნიშნეთ, რომ სოციალური ფონი მძიმეა, ხალხი უკიდურესად გაჭირვებულია, ამ დროს კი სააკაშვილი გამოდის და ბედნიერი სახით აცხადებს, მესტიაში ნახევარ მილიარდს ჩავდებო...***

— მესტიის განვითარებაში ფულის ჩადება ძალიან კარგია. ალბათ, მესტიელების გარკვეული რაოდენობაც იხეირებს აქედან, მაგრამ მთელი დანარჩენი საქართველო რას იზამს? სააკაშვილს ჰგონია, კაცი, რომელსაც ლობიოს საყიდელი ფული არა აქვს, თხილამურებით ისრიალებს მესტიაში?! ან ვის ატყუებს, რომ მესტია იქნება ყველაზე მაგარი კურორტი. 6 თვის განმავლობაში მთლიანად ჩაკეტილია იქაურობა და, რამდენიც არ უნდა გზები გაიყვანო, როცა გზა ჩაიკეტება, თოვლი მოვა 5 მეტრი და 7 მეტრი, როგორ შეიძლება იქ რამის კეთება. ტურიზმის განვითარება სააკაშვილის მორიგი ბლეფია. ამითი არანაირი კეთილდღეობა ქვეყანაში არ იქნება. ჩვენს მეზობელ თურქეთში ტურიზმი განვითარდა იმის ხარჯზე, რომ სოფლის მეურნეობა განავითარეს საოცრად მაღალი ტემპებით. ამის შედეგად მათ შეძლეს, ეკოლოგიურად სუფთა, იაფი პროდუქცია მიეღოთ და ამის ხარჯზე უწევენ კონკურენციას ხმელთაშუა ზღვის აუზში მყოფ ქვეყნებს. ამიტომაც არის, რომ ტურისტების არნახული მიზიდვაა ბოლო წლების განმავლობაში თურქეთის სანაპიროებზე და დასასვენებლ ადგილებში. ეს არის სწორი სტრატეგია და არა ის, რომ გამოაცხადო, ტურიზმი არის ჩვენი სტარტეგია და ამიტომ არც ვენახისკენ გაიხედო, არც ციტრუსისკენ და საერთოდ სოფლის მეურნეობის აგრარულ ქვეყანას უთხრა, რომელსაც ათადან და ბაბადან მოსდგამს, რომ სოფლის მეურნეობის მიმართულებით უნდა იმუშაოს და აქ აქვს მას ძალიან დიდი წარმატებები, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტიც და ყველაფერიც. ბარაკ ობამა აცხადებდა თავისი არჩევნების წინა პერიოდში, რომ მისი ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება იყო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება და ამერიკელებისთვის მიწოდება. ეს საქართველოში იოლზე იოლი განსახორციელებელია, იმ კლიმატური ბუნებრივი პირობების გამო, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია. ამის მიუხედავად, ჩვენ გვეუბნებიან, რომ თურმე ვერა ქობალია უნდა წავიდეს უცხოეთში და იქიდან ტურისტები უნდა მოიპატიჟოს. ეს არის ჩვენი სტრატეგია და ამითი იქნება ქვეყნის ეკონომიკა ფეხზე დამდგარი. ეს არის ბლეფი. ასეთი ტიპის ბლეფებს მიჩვეული ვარ. პოლიტიკოსებმა კარგად ვიცით, რაშიც არის საქმე. მე, უბრალოდ, მინდა გითხრათ, რომ საჭიროა, საზოგადოება გონზე მოვიდეს. მე საზოგადოების იმ ნაწილს არ ვგულისხმობ, რომელიც ისედაც კარგად ერკვევა ყველაფერში. საზოგადოების ერთ დიდ, საკმაოდ სოლიდურ ნაწილს სძინავს და ამ ძილის შედეგია ის, რაც ხდება სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური კუთხით ჩვენს ქვეყანაში.



***— რა პროცესებს უნდა ველოდოთ უახლოეს პერიოდში? თქვენ აცხადებთ, აქციებს დავიწყებთო. როდის დაიწყებთ ამ აქციებს?***

— აქციების ორგანიზებას დავიწყებთ აუცილებლად და ამ ტიპის ნაბიჯებს გადავდგამთ. მიმაჩნია, რომ ეს უნდა იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი და სერიოზული. ხალხს თუ არ დავანახვეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია მათი პრობლემების გამოტანა საჯაროდ, სახალხოდ და ამ პრობლემებზე ვაიძულოთ ხელისუფლება, გარკვეული ტიპის გადაწყვეტილებები მიიღოს. ისე, ძალიან ინდიფენტურია საზოგადოება, რაღაც ერთგვარად სასოწარკვეთის მდგომარეობაშია და სასოწარკვეთილი საზოგადოება შეუძლებელია იყოს ბედნიერი.

***— ალბათ, ოპოზიციის ერთობაც აუცილებელია...***

— ყოველთვის ვამბობდი, ამ ხელისუფლების დამარცხებას სჭირდება ყველა ოპოზიციური რესურსის გაერთიანება. ამ გაერთიანებისთვის ძალა თუ არ ექნება ოპოზიციას, ასეთ შემთხვევაში ისევ გაიმარჯვებს ხელისუფლება. შემიძლია წინასწარ გარანტირებულად გითხრათ.

***— თუმცა, წელი დამთავრდა ისე, რომ მიდიოდა ურთიერთდაპირისპირება და ოპოზიციის ლიდერებს შორის კომპრომატების ფრიალი...***

— კომპრომატების ფრიალით და ქიშპობით ძალიან გახარებული ჩანდა მიხეილ სააკაშვილი ახალი წლის ღამეს, როდესაც მან თავის გამოსვლაშიც აღნიშნა და ფაქტიურად ოპოზიციონერები, რომლებიც ერთმანეთის ჭამა-ყლაპვაზე იყვნენ გადასული, წააქეზა, კიდევ უფრო მეტად გააგრძელეთ ეს პროცესიო. მგონი, ამაზე უფრო ნაღდი ლუსტრაცია იმისა, რომ ეს პროცესები ხელისუფლებას და პირადად სააკაშვილს აძლევს ხელს, სხვაგვარად შეუძლებელია. ყველამ თავისი დასკვნა თვითონ უნდა გააკეთოს.

# „თელასი“ მიხეილ სააკაშვილის პირადი ბანკია

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტია კიდევ ერთხელ აპროტესტებს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებს, ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების გადასახადების გადახდა მოხდეს ერთი ქვითრის პრინციპით და ერთ-ერთი კომპონენტის გადაუხდელობის შემთხვევაში მომხმარებელს შეუწყდეს ელექტროენერგიის მიწოდება.**

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება გასული წლის ბოლოს მიიღო და თანაც ისე, რომ სრული იგნორირება გაუკეთა სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას, რომელიც თუნდაც წყლის გადასახადის დროებით გადაუხდელობით დაზოგილი თანხებით მედიკამენტებს ან თუნდაც საკვებს იძენდა.

ლეიბორისტები თავიდანვე გამოვიდნენ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ და ერთი ქვითრის პრინციპი ანტიადამიანურ გადაწყვეტილებად შეაფასეს. მშრომელები ფიქრობენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება მძიმე ტვირთად დააწვება ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას.

გუშინ ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობა მხარდამჭერებთან ერთად „თელასის“ ცენტრალურ ოფისთან შეიკრიბა და რუსული კომპანიის წინ საპროტესტო აქცია-ბრიფინგი გამართა.

ლეიბორისტების განცხადებით, ხელისუფლება ტრადიციას არ არღვევს და ამჯერადაც უკანონო გადასახადების დაკანონებით ცდილობს როგორც საკუთარი ჯიბის, ისე ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას.

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ მდინარეებით ისეთ უხვ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, წყალზე გადასახადის დაწესება, ანტიადამიანურთან ერთად, უკანონოცაა, თანაც, სრულიად მიუღებელია ერთი, დამოუკიდებელი რუსული კომპანიის მხრიდან ელექტროენერგიის მოწოდების შეწყვეტა მომხმარებლისთვის იმ მოტივით, რომ მას მეორე კომპანიის მიმართ კომუნალური გადასახადების კუთხით დავალიანება აქვს.

როგორც ნათელაშვილმა განმარტა, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსულ კომპანია „რაოთელასთან“ ერთად აწესებს გადასახადების გადახდის ყაჩაღურ წესს, რის შედეგადაც წყლისა და დასუფთავების გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში მომხმარებელს წყალს შეუწყვეტენ.

— სააკაშვილის უკანონო ხელისუფლებამ წლის ბოლოს საქართველოს მოსახლეობას მორიგი არაადამიანური სიურპრიზი მოუმზადა და ერთი ქვითრის პრინციპით აიძულა კომუნალური გადასახადების გადახდა. ერთ-ერთი კომუნალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, როგორც მოგეხსენებათ, მომხმარებელს ელექტროენერგიის მოწოდება შეუწყდება. აი, ეს შენობა, „თელასი“, მიხეილ სააკაშვილის პირადი ბანკია, სადაც ჩვენი ჯიბეებიდან გაათმაგებული გადასახადები ირიცხება. აქედან ივსება სააკაშვილის პირადი ჯიბის ბიუჯეტი, — განაცხადა აქციაზე მისულმა შალვა ნათელაშვილმა. მისი თქმით, ლეიბორისტული პარტია ამ ეტაპზე ყველა ხერხს მიმართავს იმისათვის, რომ აღნიშნული წესი არ ამოქმედდეს. ნათელაშვილის თქმით, ამ ნორმის გაუქმების მოთხოვნით ლეიბორისტულ პარტიას საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი უკვე შეტანილი აქვს.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი მიიჩნევს, რომ საქართველოს მოსახლეობა არ უნდა შეეგუოს ამ კაბალურ გადაწყვეტილებას, რომელიც ძალაში 15 იანვრიდან შედის და სათანადო პროტესტი დააფიქსიროს. შესაბამისად, ამ გზით უნდა აიძულოს ხელისუფლება, ეს გადაწყვეტილება უკან წაიღოს.

— ვეუბნებით მიშა სააკაშვილს: ან უკან წაიღეთ თქვენი გადაწყვეტილება, ან ქართველი ხალხი გამოგათრევთ მაგ შენობიდან! — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა, რომელიც დარწმუნებულია, თუ სააკაშვილი ამ გადაწყვეტილებას არ შეცვლის, დაიწყება მწვავე საპროტესტო აქციები, რაც უთუოდ მისი ხელისუფლების შეცვლით დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად მიმართა რუსეთის დუმას, შეისწავლოს ეს საკითხი და გავლენა იქონიოს რუსულ კომპანია „რაოთელასზე“, ხელი აიღოს უკანონო ხელშეკრულების განხორციელებასა და ქართველი გაჭირვებული მოსახლეობის მიმართ სადამსჯელო ზომების გატარებაზე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ბათუმში კონცერტი 25 მილიონი დაჯდა

## ოპოზიციაში ლუსტრაცია აუცილებელია

**ალექსანდრე შალამბერიძე საპარლამენტო უმრავლესობისა და „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი იყო. თუმცა, დღეს შეიძლება ითქვას, რომ ის ერთ-ერთი რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენელია.**



ნათია ხურცილავა

რა გახდა ამის მიზეზი? როგორ აფასებს ის ხელისუფლების საქმიანობას, რას ამბობს ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზე?

ამ საკითხებზე „ახალ თაობას" **ალექსანდრე შალამბერიძე** ესაუბრა:

***— როგორ დაიწყო მიმდინარე წელი პრეზიდენტ სააკაშვილმა, როგორ შეაფასებთ ხელისუფლების საქმიანობას?***

— სააკაშვილმა საქმიანობა კონცერტებით დაიწყო, ცეკვა-თამაშით გაერთო და ჩვენი ფული დახარჯა.

***— თუ გაქვთ ინფორმაცია, რამდენი დაჯდა ბათუმში გამართული კონცერტი?***

— ამბობენ, რომ 25 მილიონი დაჯდა. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი. კიდევ, მესტიაში კუბდარი ჭამა. ეს არის სააკაშვილის მთელი საქმიანობა, როგორც პრეზიდენტისა.

***— ეს იყო წლის დასაწყისში, მაგრამ შემდეგ როგორ ელოდებით მოვლენების განვითარებას?***

— იგივე გაგრძელდება. ბედობას, 2 იანვარს, ასე რომ შეხვდები, მერე იმავეს მთელი წელი გააგრძელებ.

***— ბატონო ალეკო, ამბობენ, რომ ხელისუფლებაში ცვლილებები იგეგმება. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

— როდესაც არის ასეთი სიტუაცია, მაშინ მთავარი ცვლილება არ ხდება და მხოლოდ კარის ინტრიგების დონეზე ხდება, კულუარული ცვლილებების დონეზე. ცნობილია, რომ 19-მდე სამთავრობო კარუსელი დატრიალდა ამ 7 წლის განმავლობაში. ახლაც, ვფიქრობ, ზუსტად იგივე, მორიგი კარუსელი დატრიალდება, მაგრამ პოლიტიკა ქვეყანაში არ შეიცვლება. ბიუჯეტი დაიხარჯება ისევ და ისევ კონცერტებზე, ისევ და ისევ თამაშებსა და სააკაშვილის გართობაზე, ხოლო პოლიტიკა ქვეყანაში, ვიმეორებ, არ შეიცვლება, რაც ძალიან სამწუხაროა. ჩვენი ამოცანაა, მთლიანად პოლიტიკა შეიცვალოს. პოლიტიკის შეცვლას კი სააკაშვილის გადაყენება სჭირდება, უფრო სწორად კი, ეს იქნება ამ პოლიტიკის შეცვლის საშუალება.

***— როგორ აპირებთ ამას?***

— ის აქციები, რომლებიც სრულიად კანონიერად იმართება ქვეყანაში, მიმართულია იმისკენ, რომ სააკაშვილის „ხუშტური", რომ მან თქვა, აღარ უნდა იყვნენ, მაგალითად, დევნილები და უნდა გამოყარონ ისინი საცხოვრებელი სახლებიდან, აღარ შესრულდეს. ჩვენი ამოცანაა, რომ ეს მისი „ხუშტური" აღარ შესრულდეს და დევნილები თბილისში დარჩნენ, მით უმეტეს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს სააკაშვილი გამოდიოდა და მჯიღს ირტყამდა გულზე, დევნილებო, თქვენ თბილისელები ხართ და აუცილებლად იცხოვრებთ თბილისშიო. ასე რომ, მინდა, ის „ხუშტურები", რომლებიც 7 წლის განმავლობაში გაუდიოდა სააკაშვილს, სადღაც შევაჩეროთ. გაჩერება კი მოგვცემს საშუალებას შემდეგი ნაბიჯებისა, რომლებიც გულისხმობს ტირანული მმართველობის შეზღუდვასა და შეცვლას.

***— ექსპერტები ამბობენ, რომ გაზაფხულისთვის სოციალური აფეთქება მოხდება, რადგან ფონი დღითიდღე უარესდება, ამ დროს კი ოპოზიციას თითქოს სძინავს...***

— მე აფეთქებების არ მჯერა. ვფიქრობ, საჭიროა სერიოზული მუხლჩაუხრელი ყოველდღიური მუშაობა. იმ პრობლემების გასაპროტესტებლად და გადასაწყვეტად, რომლებიც ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს უდგას. ამიტომ ეს აქციებიც მიმართულია იქითკენ, რომ როდესაც ადამიანების რაოდენობა გაიზრდება, რომლებიც თავიანთ პროტესტს ღიად და ხმამაღლა დააფიქსირებენ, რომლებიც გამოვლენ ქუჩაში არა ხელისუფლების შესაცვლელად, არამედ თავიანთი პრობლემის გადასაწყვეტად, ეს იქნება სერიოზული მიღწევა. ეს მოხდება გაზაფხულზე თუ ზაფხულში, ამას თითოეული პოლიტიკოსის მუხლჩაუხრელი მუშაობა გვაჩვენებს.

***— ისე, ხალხი რომ არ აპროტესტებს ტრანსპორტის გადასახადის გაზრდას, სხვა გადასახადების მომატებას, რას უკავშირებთ?***

— ტრანსპორტის ბილეთის ფული რომ გაიზარდა, ზუსტად ამიტომ ვერ გამოდიან ადამიანები ქუჩაში. ამას სპეციალურად აკეთებს ხელისუფლება. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, პრობლემების მქონე ადამიანები გარკვეულ ჯგუფებად გაერთიანდნენ, რომ რაღაც შედეგს მიაღწიონ. მაგალითად, დევნილები დევნილთა მოძრაობაში გაერთიანდნენ, პედაგოგები გაერთიანდნენ მათი სკოლებიდან გამოყრასთან დაკავშირებით, ვეტერანები ვეტერანთა მოძრაობაში გაერთიანდნენ. რაც შეიძლება მეტი მსგავსი სამოქალაქო ორგანიზაცია უნდა შეიქმნას, რომელიც იბრძოლებს საკუთარი უფლებების დასაცავად და არ მისცემენ ხელისუფლებას საშუალებას, რომ მათი უფლებები დაირღვეს. რაც მეტი ასეთი ჯგუფი იქნება და ადამიანებს ეცოდინებათ, რისთვის გამოდიან ქუჩაში, მაშინ ძალიან ადვილი შესაძლებელი იქნება სააკაშვილის გადაყენება. აქამდე მხოლოდ ეს ხდებოდა: შენ წადი და მე უნდა მოვიდე. ადამიანმა, რომელიც ქვევით იდგა, არ იცოდა, რისთვის იბრძოდა. დღეს ადამიანებმა, მიუხედავად იმისა, რომ მცირე რაოდენობთი გამოდიან, იციან, რისთვის დგანან ქუჩაში. ისინი თავიანთი უფლებების დასაცავად იბრძვიან. თავიანთი უფლებების დაცვა კი გადის სააკაშვილის ზღვარგადასული უფლებების შეზღუდვაზე. ამიტომ, ვფიქრობ, ეს არის სწორი გზა. ეს არის ის გზა, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გზა ჰქვია, რისი განვითარებისთვისაც დასავლეთიდან ძალიან ბევრი გრანტი შემოვიდა, მაგრამ „თავისუფლების ინსტიტუტის" ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ჩამომყალიბებელმა ორგანიზაციებმა ეს ფული ჯიბეში ჩაიდეს და არაფერი გააკეთეს სამოქალაქო საზოგადოების შექმნისთვის. ამიტომ ვამბობ, რომ ასეთი მოძრაობები, რომლებსაც არც გრანტი აქვთ, არც არავითარი დაფინანსება და მხოლოდ საკუთარი მუხლის ფასად წყვეტს თავის ბედ-იღბალს, სწორედ ის შეძლებს სააკაშვილის ხელისუფლების შეზღუდვას, მომავალში კი, მსგავსი ტიპის ხელისუფლების შემთხვევაში — საკუთარი უფლების დაცვას.

***— რაც შეეხება ოპოზიციას, ამბობენ, რომ ოპოზიციაში კომპრომატების ომი გაგრძელდება. გაგრძელდება ეს პროცესი?***

— სხვის მაგივრად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ წინააღმდეგი ვარ სტალინური პერიოდის, როდესაც მამა პასუხს აგებდა შვილის დანაშაულებრივ ქმედებებზე ან პირიქით. ამიტომ ვამბობ, რომ ოპოზიციური სპექტრი მრავალფეროვანი და ძალიან დიდია. ოპოზიციაში ყველა პოლიტიკურ პარტიას თავისი ხედვა აქვს. ამ პარტიებში არიან ინდივიდები, რომლებსაც თავიანთი ხედვა აქვთ, რომლებსაც ასევე აქვთ თავიანთი ბეგრაუნდი. ვფიქრობ, პოლიტიკოსებმა თავიანთი საქმით უნდა გვაჩვენონ, რას აპირებენ და რას ემსახურებიან. მათ პოზიტიურად უნდა იმუშაონ და არა ერთმანეთის ლანძღვა-გინებით დაკავდნენ. ლანძღვა-გინება არც მათ ადგება, ვინც ილანძღება და არც იმას — ვისაც ლანძღავენ. ერთადერთი, ადგება სააკაშვილის სიხარბესა და მის მიერ ჭორების გავრცელებას — ნახეთ, ეს არის ოპოზიცია, ასეთია ოპოზიცია. ამას ეუბნება ადამიანებს. ამიტომ, ჩვენი ამოცანაა, საქმით დავუმტკიცოთ ხალხს, რომ ადამიანების უფლებებისთვის ბრძოლა უმთავრესია, ამ გზით კი პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტა იქნება სწორედ ის გზა, რომელიც ჩვენ, თითოეული პოლიტიკოსი, რომელიც ოპოზიციაშია, ადამიანებისთვის დასანახი გახდება.

***— ანუ ოპოზიციის ლუსტრირება უნდა მოხდეს?***

— არა, იმუშაოს ყველამ და გამოჩნდება, ვინ არის ხალხისთვის და ვინ — არა, ვინ არის ერთიანობის წინააღმდეგი, ვინ იცავს ადამიანის უფლებებს და ვინ იბრძვის კონკრეტულად სააკაშვილის ძალაუფლების შესაზღუდად და მომავალში მის გასაშვებად.

# ოკუპაციამ სერგეი ლავროვი გააბრაზა

ნანა მიშელაშვილი

**აფხაზეთში ლიხნის კრების მოწვევის საკითხზე მსჯელობენ. ამ ინფორმაციას საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია ადასტურებს. მისი თქმით, აფხაზეთში სერიოზულად განიხილება ლიხნის კრების მოწვევა.**

— დღესაც განიხილება საკითხი, რომ უახლოეს ხანში მოწვეულ იქნეს შეკრება, იმ მოტივით თუ როგორ უნდა განვითარდეს აფხაზეთი. განხილვის მთავარი თემა ხდება აფხაზეთში ქონების დატაცება რუსეთის ფედერაციის მხრიდან და რა ღონისძიებები უნდა გაატარონ აფხაზებმა. ეს არის ამ შეკრების ძირითადი თემა. ამ შეხვედრაზე ბაღაფშის მიმართაც აპირებენ პრეტენზიების წაყენებას. ეს საკითხი სერიოზულად მუსირებს აფხაზეთში, — აღნიშნა პაატა დავითაიამ.



შესაძლოა თუ არა ლიხნის კრების შემდეგ აფხაზეთში სიტუაცია შიგნიდან აფეთქდეს?

ვიცე-სპიკერის პროგნოზით, ლიხნის კრების შემდეგ სიტუაცია შესაძლოა დაიძაბოს. თუმცა, დავითაიას ეჭვი ეპარება, რომ აფხაზები რაიმეს შეძლებენ, რადგან რუსებს იქ საკმაოდ დიდი შეიარაღებული ძალები ჰყავთ. პაატა დავითაიას აზრით, ამ კრების შემდეგ უკმაყოფილების რაღაც ტალღა აუცილებლად იქნება.

შეგახსენებთ, რომ ლიხნის კრება, ფაქტიურად ეს არის მთელ აფხაზთა საზოგადოების შეკრება, აფხაზთა სახალხო კრება. შეკრებას ესწრებიან ადამიანები, რომლებიც თავის გვარში ავტორიტეტით სარგებლობენ, ასევე არიან უხუცესები და ყოფილი თანამდებობის პირები.

სანამ აფხაზები ლიხნის შეკრების მოწვევაზე ფიქრობენ, რუსეთში სხვა საკითხებზე კეთდება განცხადება.

სერგეი ლავროვი ტერმინმა „ოკუპაციამ" გააბრაზა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იმდენად აღშფოთდა, რომ ამ თემაზე საჯაროდ გააკეთა კომენტარი.

ქართველი დეპუტატები გუშინ ლავროვის განცხადებას გამოეხმაურნენ. პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერის პაატა დავითაიას განცხადებით, ტერმინმა „ოკუპაცია" ლავროვი გააღიზიანა და ეს ტერმინი მას კიდევ ბევრჯერ გააღიზიანებს.

სერგეი ლავროვის შეფასებით, ტერმინი „ოკუპაცია" იმათ სინდისზე უნდა იყოს, ვინც ეს დოკუმენტებში ჩაწერა. ასეთი განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის კორესპონდენტის კითხვაზე გააკეთა.

კითხვაზე, როგორ აფასებს მოსკოვი დასავლეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში ტერმინ „ოკუპაციის" დამკვიდრებას, სერგეი ლავროვმა აღნიშნა, რომ რუსეთი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს ისე უდგება, როგორც — სუვერენულ სახელმწიფოებს.

— ჩვენ გვყავს იქ ელჩები, მუშაობენ საელჩოები ცხინვალსა და სოხუმში, ასევე, მოსკოვში. ტერმინ ოკუპაციას ვტოვებ იმ ავტორების სინდისზე, ვინც ეს ტერმინი დოკუმენტებში გამოიყენა. ყველამ იცის, როგორ მოხდა ეს. სააკაშვილმა გასცა იმ ადამიანების დაბომბვის ბრძანება, რომლებიც საკუთარ მოქალაქეებად მიაჩნდა და ამ ხალხმა თავის გადასარჩენად სარდაფებს შეაფარა თავი, — განაცხადა სერგეი ლავროვმა.

ქართველი დეპუტატების განცხადებით, სერგეი ლავროვის აღშფოთების მიუხედავად, ტერმინი „ოკუპაცია" კიდევ არაერთხელ იქნება გამოყენებული სხვადასხვა დონის ხელშეკრულებებში.

— ყველა შეხვედრაზე და განაცხადებების დონეზე რუსეთს უწოდებენ— ოკუპანტს, ასე იქნება მანამ, სანამ საოკუპაციო ჯარები არ გავა. ხეს რომ უძახო, გახმი, გახმი, ხე გახმება. დაიღალა რუსეთი ოკუპანტის ძახილზე და ღიზიანდება. თუმცა, კიდევ ბევრ რეზოლუციაში იქნება ეს ტერმინი გამოყენებული, — ასეთია პაატა დავითაიას მოსაზრება.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ქართველებზეც „ზრუნავს", ოღონდ იმ ქართველებზე, რომლებიც რუსეთის მოქალაქეები არიან.

გუშინ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთი საკუთარი მოქალაქეების, მათ შორის ეთნიკური ქართველების უფლებებს თანაბრად იცავს.

არადა, ქონებრივი დავების შემსწავლელმა რუსულ-აფხაზურმა კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო არ განიხილოს ეთნიკურად ქართველი რუსეთის მოქალაქეების პრეტენზიები.

სოხუმის რეჟიმის ხელმძღვანელის სერგეი ბაღაშის განცხადებით, საქართველომ სოხუმს კომპენსაციის სახით 13 მილიარდი დოლარი უნდა გადაუხადოს. მხოლოდ ამის შემდეგ ბაღაფში აპირებს, რომ აფხაზური მხარემ ქართველ დევნილებს კომპენსაცია გადაუხადოს. აფხაზური მხარე ქართველებისთვის ქონების დაბრუნების საკითხს არ განიხილავს.

კითხვაზე, როგორ შეაფასებს სოხუმის რეჟიმის გადაწყვეტილებას, არ მიიღოს ეროვნებით ქართველი რუსეთის მოქალაქეების პრეტენზიები აფხაზეთში ქონებასთან დაკავშირებით, სერგეი ლავროვმა განაცხადა — „რუსეთი ყველა თავისი მოქალაქის ინეტერებსა და უფლებებს თანაბრად იცავს".

სერგეი ლავროვმა აღნიშნა, რომ აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეების ქონებრივი უფლებების საკითხზე მუშაობს საგანგებო კომისია, რომელმაც რამდენიმე ათეული განცხადება უკვე განიხილა და მათ ნაწილზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.

— ყველა კანონიერი პრეტენზია დაკმაყოფილდება. ჩვენს მოქალაქეებს ეთნიკური ნიშნით არ ვასხვავებთ. ალბათ, საჭირო იქნება დრო, რომ ჭრილობები მოშუშდეს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენს მოქალაქეებს, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, ყველას თანაბრად ვიცავთ, — განაცხადა სერგეი ლავროვმა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## სააკაშვილმა ამერიკელი სენატორი ორდენით დააჯილდოვა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯო ლიბერმანი წმინდა გიორგის სახელობის ორდენით დააჯილდოვა.

ამერიკელ სენატორს სააკაშვილმა ორდენი ქართველი ხალხის წინაშე განსაკუთრებული წვლილის შეტანისა და ქართული დემოკრატიის განვითარების საქმეში თანადგომისთვის გადასცა.

ამერიკის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის ჯონ მაკლეინის დავალებით, ამერიკელი სენატორები ჯო ლიბერმანი და ლინდსი გრემი საქართველოში 2008 წელს, საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე ჩამოვიდნენ.

**მედიანიუსი**

## საქართველოს ისტორიული სიმართლის დამდგენმა კომისიამ მუშაობა დაასრულა

საქართველოს ისტორიული სიმართლის დამდგენმა კომისიამ საქართველოში რუსეთის იმპერიის 200-წლიან პოლიტიკასა და მის შედეგებზე მუშაობა დაასრულა. როგორც „ინტერპრესნიუსს" კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა, თორნიკე შარაშენიძემ განუცხადა, კომისიის მიერ შემუშავებული 50-გვერდიანი დოკუმენტი კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაეცა.

— ამით კომისიამ ფუნქციონირება დაასრულა. შემდგომი პროცესები სამინისტროში განვითარდება. სამინისტრო გაეცნობა ამ დოკუმენტს, შესაძლოა, დაგვიბარონ კიდეც შენიშვნებისთვის, შემდეგ კი დაგეგმილია მისი თარგმნა და წიგნად გამოცემა, — აღნიშნა მან.

ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისია, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, გასული წლის 9 აპრილს შეიქმნა. აპრილშივე კომისიის თავმჯდომარედ კენტის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ვასილ რუხაძე დანიშნა, ხოლო საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ლექტორი თორნიკე შარაშენიძე კომისიის აღმასრულებელ მდივნად. დოკუმენტზე რამდენიმე ისტორიკოსი მუშაობდა, მათ შორის, გოჩა საითიძე, ბონდო კუპატაძე, დიმიტრი შველიძე, სიმონ მასხარაშვილი, დოდო ჭუმბურიძე. აღნიშნულ პროექტს კულტურის სამინისტრო კურირებდა. კომისიის მუშაობისთვის საჭირო ფინანსებიც სწორედ ამ სამინისტროდან გამოიყო.

**ინტერპრესნიუსი**

# მთავარ სანაკოევს მისი მოგვარის აგენტობისა არ სჯერა

## ჩოჩიევი კი „ირონის" დასჯით იმუქრება

თეა მარხვაი ე

**ჩვენმა ხელისუფლებამ სანაკოევების დინასტია ლამის საქართველოს მხსნელად წარმოგვიდგინა. განსაკუთრებული აღფრთოვანებით ქართველი ნაციონალობა დიმიტრის ახსენებდა. ქებასა და დიდებას არც მის მოგვარეს, ვლადიმერს, აკლებდნენ, რომელიც ხან დაფანდარასტობდა, უფრო ხშირად კი ტელეეკრანიდან გვმოძღვრავდა.**



ჩვენი ხელისუფლების ნალოლიავები სანაკოევი რუსეთის აგენტი გამოდგა, ყოველ შემთხვევაში, თავად ასე თქვა, თავისი აგენტურული ფსევდონიმიც გაამხილა და ამტკიცებს, „ირონი" ვარო.

მასზე ჩვენს ხელისუფლებას კომენტარები არ გაუკეთებია. საამისოდ მათ საპატიო მიზეზები აქვთ. დავიწყოთ იმით, რომ ჩვენი ხელისუფლება ჯერ კიდევ ახალ წელს ზეიმობს. გამოვლენ „პახმელიაზე" და ალბათ მერე იტყვიან თავიანთ სათქმელს. ისე, მათთვის აჯობებს, კომენტარები მთვრალებმა გააკეთონ. ფხიზლებს, წესით, უნდა შერცხვეთ იმის გამართლება, თუ საიდან მოიყვანეს ეს სანაკოევები.

თუმცა, ასეთი დარწმუნებული ნუ ვიქნებით. ამათ აგვისტოს ომზე დაგვიმტკიცეს, მოვიგეთო და სანაკოევები ისევ ეროვნულ გმირებად რომ წარმოაჩინონ, რა გასაკვირია.

ხელისუფლებისგან განსხვავებით, სასწრაფოდ გამოვიდა „პახმელიაზე" სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია. ამ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევია, ვლადიმერ სანაკოევი, მეტსახელად „ირონი" კი მისი მრჩეველი იყო.

სამხრეთ ოსეთის დროებითმა ადმინისტრაციამ სანაკოევის აღიარებასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა. ადმინისტრაცია ვლადიმერ სანაკოევის ჯაშუშობის ფაქტს ეჭვის ქვეშ აყენებს.

ადმინისტრაციის ინფორმაციით, ვლადიმერ სანაკოევმა 2005 წელს მართლაც მიიღო საქართველოს მოქალაქეობა და 2006 წლიდან უძღვებოდა გადაცემას ტელეკომპანია „ალანიაზე", 2007 წლიდან კი იყო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ დიმიტრი სანაკოევის მრჩეველი. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის ბრძანებულების შესაბამისად, ის გათავისუფლდა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციიდან იმასთან დაკავშირებით, რომ აპირებდა საცხოვრებლად გადასვლას რუსეთის ფედერაციის ქალაქ სოჭში.

მათივე განცხადებით, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ვლადიმერ სანაკოევი პირადად მონაწილეობდა საქართველოს ხელისუფლების უამრავ პროექტში, რომელიც მიმართული იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ქართველი და ოსი ხალხის შერიგებისა და კოკოითის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისკენ, რაც უდავოდ საინტერესო იყო რუსული სპეცსამსახურებისთვის.

— ადამიანურად გვესმის, რომ ჩვენი ყოფილი თანამშრომელი და თანამოაზრე იმყოფება რუსეთში მძიმე პირობებში. ეს იწვევს ჩვენს წუხილს. ჩვენ ჩვენი მხრიდან სანაკოევს ისევ ჩავთვლით ჩვენს თანამოაზრედ, რომელსაც უდავოდ სურდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ისევ ერთგულია იმ იდეისა, რომელიც ქართველ და ოს ხალხს შორის ძმური და მეგობრული ურთიერთობის აღდგენას ეხება. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას სანაკოევის ვითომდა „ჯაშუშობასთან" დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ მესამე პირის სიტყვები ძნელად დასაჯერებელია, რომლებიც მოყვანილია ინტერნეტ-გამოცემის მასალებიდან, — აცხადებენ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში.

სანაკოევის აგენტობაზე კომენტარის გაკეთება ცხინვალშიც დააგვიანდათ. ჩვენი ხელისუფლებისა არ იყოს, ეგენიც კარგი მოქეიფეები არიან. ბუნებრივია, მათ ამ ახალ წელსაც იქეიფეს. „პახმელიაზე" არც ისინი გამოსულან და ვილაცა „ირონისთვის" როგორ მოიცლიდნენ.

სანაკოევზე კომენტარების გაკეთებით საახალწლო განწყობის გაფუჭება არც ბორის ჩოჩიევს უნდოდა, მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა აიძულა, სანაკოევზე ერთი-ორი სიტყვა ეთქვა.

ოსური სააგენტოების ცნობით, ბორის ჩოჩიევი მიიჩნევს, რომ რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურთან ვლადიმერ სანაკოევის თანამშრომლობა სიცრუეა.

— ზღაპარი, რომელიც ვლადიმერ სანაკოევმა მედიაში გამოაქვეყნა, ბოდვაა. მას ტყუილად ჰგონია, რომ ამ ზღაპრებს დაუჯერებს ოსი ხალხი, რომელსაც მან უღალატა. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს რომ გეგმა „სუფთა ველი" შეესრულებინა, სანაკოევი და მისი ბანდა სულ სხვა სიმღერას იმღერებდნენ, — განაცხადა ჩოჩიევმა.

მისივე თქმით, სანაკოევს პასუხისგება მოუწევს ღალატსა და სააკაშვილის რეჟიმის ბანდაში მუშაობისას ჩადენილ ბევრ სხვა რამეზეც.

— დღეს „აგენტის" სახელს ამოფარება სასაცილოა. პირადად ჩემთვის გაუგებარია ჩვენი ქვეყნის ზოგი სამსახურის, უწყების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების დუმილი იმასთან დაკავშირებით, რომ ვლადიმერ სანაკოევი და ძმები ქარქუსოვები თავისუფლად არიან ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, — განაცხადა ჩოჩიევმა.

ვლადიმერ სანაკოევმა თავისი აგენტობის შესახებ ინფორმაცია რუსულ ინტერნეტ-გამოცემა „კავკასკის უზელში" განათავსა. თავისი საქმიანობის შესახებ მან საკმაოდ ვრცელი სტატია დაწერა.

სტატიაში ნათქვამია, რომ ვლადიმერ სანაკოევმა რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია ვლადიკავკაზში იმპროვიზირებულ პრესკონფერენციაზე გაავრცელა. მასში დეტალურად არის მონათხრობი იმის თაობაზე, რომ იგი რუსულ სპეცსამსახურებთან 1989 წლიდან თანამშრომლობს. მისი თანამშრომლობაზე დათანხმება ქალაქ სოჭში მოხდა და მისი ფსევდონიმი „ირონი" იყო, რაც „ოსს" ნიშნავს. სანაკოევის განმარტებით, რუსულმა სპეცსამსახურმა მისგან გააქტიურება საქართველოში „ვარდების რევოლუციისა" და აჭარაში თბილისის იურისდიქციის სრული აღდგენის შემდეგ მოითხოვა.

ვლადიმერ სანაკოევის მტკიცებით, დავალების შესასრულებლად მან ცხინვალში ნათესავებთან სტუმრობას მოუხშირა და ქართულ მხარეში ნდობის მოპოვებისათვის დაწერა სტატია სათაურით — „ლიახვს ვერ შემოაბრუნებ და იგი, როგორც აქამდე, მტკვარში ჩადინებას გააგრძელებს".

როგორც თავად ამბობს, ეს სტატია ფე-ეს-ბეში მისი კურატორების მეშვეობით გავრცელდა. ამის შემდეგ მას თბილისში ეპატიჟება მისი ბავშვობის მეგობარი, რომლის ვინაობასაც არ ასახელებს. მისივე მტკიცებით, სწორედ ამ მეგობრის საშუალებით გაიცნო მან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და ამირან მესხელი.

სანაკოევის იხსენებს 2004 წლის ბესლანის მოვლენებს და აცხადებს: „დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა — მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ამირან მესხელი, ირაკლი ოქრუაშვილი, გივი თარგამაძე, გიორგი ბარამიძე და სხვა პირები საერთაშორისო ტერორიზმისა და რუსეთისა და მისი ხალხის წინააღმდეგ მიმდინარე ომის ხელშემწყობები არიან" და იგი მზადაა, ეს ღიად დაადასტუროს.

მისივე მტკიცებით, დიმიტრი სანაკოევის „სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული მთავრობის" იდეის ავტორი სწორედ იგია, რის შესახებაც მან თავისი მოსაზრებები ამირან მესხელსა და შალვა ჟღენტს თბილისში მეორედ ჩამოსვლისას, ანუ 2005 წლის 17 სექტემბერს გაუზიარა.

მისივე თქმით, თავისი სამოქმედო გეგმით იგი თბილისში 2005 წლის 21 ნოემბერს ჩამოვიდა. ამის შემდეგ ვლადიმერ სანაკოევი დაწვრილებით აღწერს, როგორ მიიღო 2005 წლის 24 ნოემბერს სააკაშვილისაგან საქართველოს მოქალაქეობა და როგორ ჩაერთო ქართულ პოლიტიკაში იმის მტკიცებით, რომ საქართველო მისი სამშობლოა, როგორ მისცა პირველი ვრცელი ინტერვიუ ტელეკომპანია „ალანიას", რის შემდეგაც მას ამავე ტელეკომპანიაში საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა „დენ ზა დნიომის" წამყვანობა შესთავაზეს.

სანაკოევის მტკიცებით, საქართველოში მისი საქმიანობის მთავარი ამოცანა იყო, არ დაეშვა საომარი მოქმედებების დაწყება. იგი თავის დამსახურებად მიიჩნევს საქმიანობიდან ირაკლი ოქრუაშვილის ჩამოშორებას და „პროექტ ვანო მერაბიშვილის" ამოქმედებას. მისივე მტკიცებით, ოქრუაშვილი რომ თანამდებობაზე დარჩენილიყო, იგი ძალის გამოყენებით შეძლებდა ცხინვალის დამორჩილებას და რუსეთის 2014 წლის სოჭის ოლიმპიადას ვერ მიიღებდა.

ვლადიმერ სანაკოევი აცხადებს, რომ ჯერ კიდევ 2008 წლის 2 ივნისს, „მოდულის" შენობაში გამართული შეხვედრის შემდეგ მისთვის ნათელი იყო, რომ ომი აგვისტოს პირველ დეკადაში დაიწყებოდა. მისივე მტკიცებით, იმ დროიდან იგი ცდილობდა „თამაშიდან" გასვლას და კვლავ რუსეთში დაბრუნებას.

ის რუსეთში გასულ წელს წავიდა. მის წასვლასთან დაკავშირებით ხელისუფლებას მაშინ კომენტარები არ გაუკეთებია. ეტყობა, მაშინაც რაიმე მიზეზით იყვნენ „პახმელიაზე".

# ოკუპაციამ სერგეი ლავროვი გააბრაზა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეების ქონებრივ უფლებებზე მომუშავე რუსულ-აფხაზურმა კომისიამ მიიღო „პრინციპული გადაწყვეტილება", არ განიხილოს ეროვნებით ქართველი მოქალაქეების განცხადებები.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია ამბობს, რომ ეს თემა ახალი არ არის, ეს საკითხი 1993 წლიდან დგას, როდესაც სეპარატისტებმა მოახერხეს ქართველების წინააღმდეგ ეთნიკური წმენდა განეხორციელებინათ.

პაატა დავითაიას თქმით, გაეროს რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ დევნილებს ქონება უნდა დაუბრუნდეს, ამის საპირწონედ სეპარტატისტების მხრიდან განცხადება გაკეთდა, რომ საქართველომ ზიანი მიაყენა აფხაზეთს და 13 თუ 15 მილიარდი დოლარი უნდა გადაუხადოს საქართველომ სოხუმს. ეს ყველაფერი კი, დეპუტატის თქმით, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

— როდესაც რუსებმა აფხაზებს ქართველთა სახლები მოსთხოვეს, რომელიც აფხაზეთშია, მაგალითად, ზატულინს გაგრაში აგარაკი არ მისცეს, ამას ხომ გამართლება სჭირდებოდა? ამიტომ მოიგონეს ასეთი თეზისი, ვითომ აფხაზები არავის არ აძლევდნენ სახლებს, მათ შორის არც რუსებს და არც ქართველებს. ეს თემა აგორდა, რომ რუსეთის მოქალაქე ქართველებსაც კი არ მისცემენ ქონებას და ეს აფხაზების გადაწყვეტილებაა. ფაქტი ერთია, ეს არის ქართველების წინააღმდეგ ეთნიკური წმენდა, ეს გადაწყვეტილება არის ფაშიზმი, — აღნიშნა პაატა დავითაიამ.

ვიცე-სპიკერი აღნიშნავს, რომ თავად რუსული საიტები წერენ, რომ ასეთი მიდგომა ფაშიზმია.

პაატა დავითაია იმასაც ამბობს, რომ ქონების გაყოფის თაობაზე აფხაზებსა და რუსებს შორის დაპირისპირება დაიწყო და ეს გაგრძელდება.

თავის მხრივ, სეპარატისტებიც აქტიურობენ. თანაც იმდენად, რომ სოხუმის რეჟიმს ევროკომისიასთანაც სურს თანამშრომლობა. ყოველ შემთხვევაში, სააგენტო „აპსნი პრესი" იუწყება, რომ დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი ლვინჯია ევროკომისიის წარმომადგენლებს შეხვდა.

„აპსნი პრესის" ინფორმაციით, შეხვედრაზე ლვინჯიამ მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის პროექტების მენეჯერს, მარია ვან როიტენს, რომელიც სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს.

დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა აფხაზეთის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით, ევროკომისიასთან მომავალი თანამშრომლობის იმედიც გამოთქვა. ამ შეხვდრაზე ლვინჯიას ევროკომისიის პროექტების ახალი მენეჯერი ევა მარია ტროია ბლანკა წარუდგინეს.

ქართული მხარის შეფასებით, აფხაზეთსა და ევროკომისიას შორის არანაირ თანამშრომლობაზე საუბარი არ არის, საუბარია ჰუმანიტარულ აქციებზე, რომელიც თუ განხორციელდება, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი ყველაფერ ამ საკითხს დეტალურად განსაზღვრავს.

# სააკაშვილი ლუკაშენკოს ინაუგურაციაზე არ უნდა წავიდეს

პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მინსკში პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს ინაუგურაციაზე ჩასვლისაგან თავი უნდა შეიკავოს, რადგან დასავლეთმა ბელორუსში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების პროცესი და შემდგომ განვითარებული მოვლენები დაგმო.



— ვფიქრობ, იმის გამო, რომ ბელორუსის საპრეზიდენტო არჩევნების პროცესი და მის შემდგომ განვითარებული მოვლენები დასავლეთმა დაგმო, მიხეილ სააკაშვილი ლუკაშენკოს ინაუგურაციაზე არ უნდა ჩავიდეს, მაგრამ იმისთვის, რომ ბელორუსთან ურთიერთობები არ გაფუჭდეს, მინსკში საქართველოს ხელისუფლების რომელიმე ოფიციალური პირი უნდა წავიდეს. შესაძლოა, ეს იყოს პრემიერ-მინისტრი, ან პარლამენტის თავმჯდომარე. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე განვითარებული მოვლენების გამო ბელორუსს დასავლეთთან ურთიერთობები შესაძლოა საერთოდ გაუფუჭდეს და მინსკი რუსეთისკენ გადაიხაროს. ამ შემთხვევაში გამორიცხული არ არის, რომ მინსკში დღის წესრიგში აფხაზეთის და სამაჩაბლოს აღიარების საკითხიც დადგეს. ამიტომ, ჩვენ გვჭირდება ბელორუსთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება, შესაბამისად, რომელიმე ქართველი ოფიციალური პირი ბელორუსში აუცილებლად უნდა წავიდეს, — გაანუცხადა „მედიანიუსს" ექსპერტმა და დასძინა, რომ ქართულმა მხარემ არჩევნების შესახებ კომენტარების და განცხადებების გაკეთებებისგან თავი უნდა შეიკავოს.

— ბელორუსის გამო, სხვა ავტორიტარული რეჟიმებიც არსებობენ, მათ შორის ჩვენს სამეზობლოშიც, თუმცა საქართველო მათთან თანამშრომლობს, რადგან ეს ჩვენს ეროვნულ ინტერესებში შედის. ბელორუსთან ურთიერთობაც საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან არის დაკავშირებული, —აღნიშნა ჩიტაძემ.

ცნობისთვის: ბელორუსში ქვეყნის ახლად არჩეული პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს ინაუგურაცია უახლოეს მომავალში გაიმართება.

როგორც ცნობილია, აშშ-მა, ევროკავშირმა და ეუთომ ბელორუსში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს გაყალბებული უწოდეს და ლუკაშენკოს ხელისუფლების მიერ პრეზიდენტობის ოპოზიციონერი კანდიდატების და მათი მხარდამჭერების დაკავების ფაქტი დაგმეს. საპასუხოდ, ლუკაშენკომ ბელორუსში ეუთოს წარმომადგენლობის მისიის მუშაობა შეაჩერა.

**მედიანიუსი**

# კარდინალთა და ეპისკოპოსთა სპეციალურმა კომისიამ იოანე პავლე მეორეს სასწაული აღიარა

კარდინალთა და ეპისკოპოსთა სპეციალურმა კომისიამ იოანე პავლე მეორეს სასწაული აღიარა, - ამის შესახებ ვატიკანის რადიო იტყობინება.

გარდაცვლილი პაპის, იოანე პავლე მეორეს ბეატიფიკაციის პროცესისთვის სპეციალური კომისიის მიერ სასწაულის აღიარება აუცილებელია. კარდინალებმა და ეპისკოპოსებმა იოანე პავლე მეორეს სახელთან დაკავშირებული სასწაულის საკითხის შესწავლა გასული წლის დეკემბრიდან, მას შემდეგ დაიწყეს, რაც მედიკოსების კომისიამ ვერ მოახერხა აესხნა, თუ როგორ მოხდა 49 წლის ფრანგი მონაზვნის პარკინსონის დაავადებისგან განკურნება.

ფრანგი მონაზონი პარკინსონით 2001 წლის ივლისში დაავადდა. მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა 2005 წლის აპრილიდან, როდესაც იოანე პავლე მეორე გარდაიცვალა. ამავე წლის 13 მაისიდან, როდესაც ბენედიქტე XVI მ თანხმობა გამოთქვა მისი წინამორბედის ბეატიფიკაციის ვადამდელი პროცესი დაეწყო, შესაძლებელი გახდა, რომ ერთობლივი ლოცვის დროს მონაზვნებს მიემართათ იოანე პავლე მეორესთვის, რათა მას მფარველობა გაეწია ღვთის წინაშე. იოანე პავლე მეორეს გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ დაავადებულმა მონაზონმა გამოჯანმრთელება დაიწყო. იოანე პავლე მეორეს ბეატიფიკაციის პროცესისთვის გზა ხსნილი მას შემდეგ გახდება, რაც ბენედიქტე XVI ამ სასწაულის აღიარების შესახებ დეკრეტს მოაწერს ხელს. წინასწარი ინფორმაციით, რომის პაპი ამ დეკრეტს ხელს შაბათს მოაწერს.

**ინტერპრესნიუსი**

# ევროსასამართლომ მოსკოვი და ცხინვალი გაანაწყენა

**ევროპის სასამართლომ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების სარჩელები უარყო. ამ გადაწყვეტილებამ მოსკოვსა და ცხინვალში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. საკითხის არსით რუსული გამოცემა „კომერსანტი" დაინტერესდა.**

გვრა მამულაშვილი

— ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ განხილვების სიიდან ამოიღო სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების 1549 სარჩელი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას მოტივირებს იმით, რომ „განმცხადებლებს არ სურთ, თავიანთი სარჩელებით დაკავდნენ". ექსპერტების აზრით კი სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების სარჩელები დაღუპა მათი პრობლემებისადმი რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებების გულგრილობამ, ასევე ადვოკატების არაპროფესიონალიზმმა, რომლებიც ევროპის სასამართლოში იმ ადამიანების საქმეებს აწარმოებდნენ, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომში დაზარალდნენ, — წერს „კომერსანტი".



ევროპის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ამ კვირის დასაწყისში გახდა ცნობილი. საქართველოს წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების სარჩელები წარდგენილ იქნა 2008 წლის აგვისტოს ბოლოს, ოქტომბრის დასაწყისში, პრაქტიკულად, ომის დასრულებისთანავე.

— სარჩელები 3300-ზე მეტი იყო. სარჩელებისთვის ფართო სამართლებრივი ბაზა იქნა შეკრებილი. 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში რუსეთის პროკურატურის გამომძიებლები ჩავიდნენ, რომლებიც ორი თვის მანძილზე რესპუბლიკის მცხოვრებლებს კითხავდნენ და ომის შედეგებზე მონაცემებს აგროვებდნენ. სწორედ მაშინ რუსეთის გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა მიმართეს ჩრდილოკავკასიელ ადვოკატებს თხოვნით, სტრასბურგში გადასაგზავნი სარჩელები მოემზადებინათ, — განმარტავს „კომერსანტი".

რუსული გამოცემა ამ პროცესის აშკარა ხარვეზებზე ამახვილებს ყურადღებას.

— აღნიშნული დოკუმენტები ნაჩქარევად იყო მომზადებული — ერთი თვის მანძილზე, რამაც საბოლოოდ ევროპის სასამართლოში გაგზავნილი სარჩელების ნახევრის ბედი განსაზღვრა.

— ამ სარჩელების მომზადების ვადები იმაზე მიუთითებს, რომ საქმეები ფორმდებოდა პრინციპით: „რაც უფრო მეტია, მით უკეთესია", — ამბობს „კომერსანტთან" საუბრისას ორგანიზაცია „რუსული სამართლებრივი ინციციატივის" ექსპერტი ვარვარა პახომენკო.

— ჩვენ ვხვდებოდით ამ ადვოკატებს და დახმარებას ვთავაზობდით, რადგან ჩვენს ორგანიზაციას ევროპის სასამართლოსთან მუშაობის გამოცდილება აქვს. მაგრამ მათ პირდაპირ გვითხრეს, რომ ეს საქმეები მომგებიანია და რომ მათ უკვე დაჰპირდნენ რამდენიმე ათასი დოლარის ჰონორარს, ხოლო ერთ-ერთმა ადვოკატმა მისგან ამ საქმეების შესყიდვაც კი შემოგვთავაზა, — დასძენს პახომენკო.

ამასობაში, რუსი უფლებადამცველების აზრით, სარჩელების მნიშვნელოვანი ნაწილი არასწორად იყო გაფორმებული.

— მასში არ იყო შესული საკმარისი დამამტკიცებელი ბაზა, ხოლო ხშირად საქმის არსზე ელემენტარული ინფორმაციაც კი არ მოიპოვებოდა. მაგალითად, ზარის გზაზე მოკლული 14 წლის ალბინა ხაზრატოვას დედის სარჩელში ადვოკატებმა დაივიწყეს დაღუპულის სახელის მითითება და ევროპის სასამართლოს ადამიანის უფლებების მეორე მუხლზე დაყრდნობა, რომელიც სიცოცხლის უფლებას გარანტირებს. მეორე სარჩელში განმცხადებლის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა სამხრეთ ოსეთში ქართული არმიის შეჭრის გამო, მაგრამ, ამასთანავე, იუწყებიან, რომ თავად დაზარალებული რუსეთში ჯერ კიდევ 3 აგვისტოს გაემგზავრა, — წერს „კომერსანტი".

ქალბატონი პახომენკო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ფორმდებოდა საქართველოში სარჩელები რუსეთის ფედერაციის წინაღმდეგ.

— იქიდან სტრასბურგში შევიდა დაახლოებით 150 ათასი სარჩელი დაახლოებით ათასი მცხოვრებისგან, რომლებიც რუსეთის არმიისგან დაზარალდნენ. ექსპერტის თქმით, სარჩელებს წელიწად-ნახევარი ამზადებდა ხუთი უფლებადამცველი ორგანიზაცია — ისინი არა მხოლოდ აგროვებდნენ დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებებს, არამედ ადამიანის უფლებების დაცვის ყველა ნაციონალური ინსტანციებიც გაიარეს, ვიდრე ევროპის სასამართლოს მიმართავდნენ. სამხრეთ ოსეთში კი ჩათვალეს, რომ აუცილებელი არ იყო ადგილობრივი სასამართლოსთვის მიმართვა. ამასობაში ადგილებზე ყველა დონის სასამართლო ინსტანციებში საქმეების გავლა ევროსასამართლოში საქმეთა წარმატებული გავლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, — წერს „კომერსანტი".

— მიუხედავად ამისა, სამხრეთ ოსეთიდან პირველი შვიდი საქმე ევროპის სასამართლომ კომუნიცირებისთვის უკვე 2009 წლის დასაწყისში მიიღო. იმისთვის, რომ ევროსასამართლომ საქმეები განხილვაში მიიღოს, მათ კომუნიცირება უნდა გაიარონ. ამ სტადიაზე სასამართლო თავის წერილობით მოთხოვნებს უგზავნის როგორც მოსარჩელეებს, ასევე მოპასუხეებს. თუ ეს პროცედურა წარმატებით გაივლის, სასამართლოს შეუძლია, საქმე განხილვაში მიიღოს. ეს უკვე წარმატების 50 პროცენტია, — განმარტავს რუსი უფლებადამცველი ვარვარა პახომენკო.

„კომერსანტი" წერს, რომ „მაშინ სასამართლოს ოპერატიულობა თითქმის უპრეცედენტო მოვლენა გახდა".

— ჩვეულებრივად, საქართველოს წინააღმდეგ ასეთი პროცედურები წლიდან ორ წლამდე დროს იკავებს, ხოლო რუსეთის წინააღმდეგ ორიდან ოთხ წლამდე (ვადები დამოკიდებულია სასამართლოს იმ სექციების გადატვირთულობაზე, რომლებიც საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაზე პასუხს აგებენ). ოპერატიულობა იმას მოწმობდა, რომ ევროპა ამ საქმეებს პრიორიტეტულად მიიჩნევს, — წერს „კომერსანტი".

რუსი უფლებადამცველები თვლიან, რომ შვიდი საპილოტო საქმე შეიძლება გამხდარიყო პრეცედენტი, რომლის შემდეგაც სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების დანარჩენი სარჩელები საქართველოს წინააღმდეგ შესაძლოა შემჭიდროებულ ვადებში განხილულიყო.

— მაგრამ სამხრეთ ოსეთიდან წამოსულ საქმეებში კომუნიცირების სტადია ჩაშლილი იყო: რუსმა ადვოკატებმა არ უპასუხეს არც ერთ წერილს ევროსასამართლოდან. სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ გასული წლის მარტში სასამართლომ განხილვის სიიდან ამორიცხა ხუთი საქმე პირველი შვიდიდან, — აცხადებს ვარვარა პახომენკო.

ამ ხუთ საქმეს აწარმოებდნენ რუსი ადვოკატები, რომლებიც ვლადიკავკაზში ცხოვრობენ: ვლადისლავ ბაიკულოვი, ვადიმ საილაონოვი და ზინაიდა მილიაევა. თითოეულმა მათგანმა მოამზადა კიდევ რამდენიმე ასეული სარჩელი სამხრეთ ოსეთიდან.

ჟურნალისტების კითხვაზე, თუ რატომ მოახდინა ევროსასამართლომ მათი სარჩელების იგნორირება, ადვოკატებმა უპასუხეს, რომ არ იციან ინგლისური ენა, ხოლო ევროსასამართლოდან წამოსული წერილების სათარგმნად მათ არც დრო და არც ფული არ ჰყოფნიდათ.

„კომერსანტი" აღნიშნავს, რომ ადვოკატებს ჩეჩნური სარჩელების პრაქტიკის ეიმედებოდათ, როდესაც დაზარალებული ჩეჩნების თითქმის ყველა სარჩელი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ევროსასამართლოში კმაყოფილდებოდა. თუმცა გამოცემა აღნიშნავს, რომ, ოსური სარჩელებისგან განსხვავებით, ჩეჩნური სარჩელები იურიდიულად გამართული იყო და კარგი დამადასტურებელი ბაზა ჰქონდა.

# საპროცესო შეთანხმებებით ბიუჯეტში შარშან 300 მილიონი შევიდა

გულიკო ბალა ე

## ინტერვიუ ადვოკატთა უფლებების დაცვის წევრთან, ადვოკატ გრიგოლ გაგნიძესთან

***— ბატონო გრიგოლ, ბოლო დროს სისხლის სამართლის კოდექსში არაერთი ცვლილება შევიდა. პოზიტიური თუ არის რაიმე?***

— ეს სფერო მუდმივი რეფორმებისა და განახლების პროცესშია. მით უმეტეს, როდესაც მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ევროპულ-გერმანული ტენდენციის ფორმულირების პრაქტიკული გამომხატველია. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კი ანგლო-ამერიკულის გამოყენებითაა შექმნილი. ყველაფერ ამის კვალობაზე, რეფორმების თანმდევი ხარვეზების პარალელურად, ვფიქრობ, ხშირად პოზიტივი უფრო მცირეა, მაგრამ მნიშვნელოვანი. იმედია, სამომავლოდ პროგრესულ დადებით შედეგებზეა გათვლილი. თუ ეს ასე არ არის, იქმნება საშიშროება, რომ საერთო სამართლებრივი და სოციალური ფონი უფრო მძიმედ და მძაფრად აისახება პატიმრების რიცხოვნობის ზედმიწევნით ზრდაზე. ამის საშიშროება განსაკუთრებით მომდევნო წლების განმავლობაში შეიქმნება. რაც უფრო მძიმდება საზოგადოების სოციალური ფონი — უმუშევრობა, საჯარო სამსახურებიდან დათხოვნის მუდმივი შიში — პოტენციურად იზრდება სისხლის სამართლის დამნაშავეთა რიცხვი. 2010 წლის სტატისტიკის დეპარტამენტისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპყრობილეებში არასრულწლოვანი პატიმრების რაოდენობა 205-ს შეადგენდა. ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის ეს დიდი ციფრია.არასრულწლოვნების თემა ზედმიწევნით საინტერესო და მტკივნეული საკითხია. მათ მიმართ ამ ეტაპზე მთავრობამ და იუსტიციის სამინისტრომ პოზიტიური და ნოვაციური ნაბიჯი გადადგა.

***— რას გულისხმობთ?***

— განრიდებისა და მედიაციის პროგრამა ამოქმედდა, რომელიც იუსტიციის სამინისტროს 2010 წლის 12 ნოემბრის ბრძანებით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში გაწერილი ნორმებით რეგულირდება. თუმცა, ეს პროგრამა, ჯერჯერობით, მხოლოდ თბილისში, რუსთავსა და ქვეყნის დიდ ქალაქებში ხორციელდება.

***— მოკლედ რომ ვთქვათ, ეს პროგრამა რას გულისხმობს?***

— განრიდება არსრულწლოვანის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა და სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია, რომელსაც იყენებს პროკურორი თავისი დისკრეციული უფლებიდან გამომდინარე, ხოლო მედიაცია არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესია, რომელსაც უძღვება მედიატორი, რომლის მიზანია არასრულწლოვანისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის პროცესში აგრეთვე მონაწილეობენ არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი და სოციალური მუშაკი. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი — სხვა პირებიც.ეს საკანომდებლო ცვლილებები არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის დახვეწას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას ითვალისწინებს. მისი მიზანია არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრევენცია, ანუ იმ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, ვინც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე, ანუ სისხლის სამართლის კოდექსით ხუთ წლამდე დასჯადი დანაშაული.



***— მაგალითად, რა სახის დანაშაულთან დაკავშირებით შეიძლება იქნეს გამოყენებული აღნიშნული ნორმა?***

— ვთქვათ, სოციალური გაჭირვების ფონზე, არასრულწლოვანმა მოიპარა საკვები პროდუქტი, ანუ ჩაიდინა ქურდობა. თუ ეს პირველად ხდება, პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან მისი კანონიერი წარმომადგენლის და დაზარალებულთან შეთანხმების შემდგომ გააფორმოს მედიაციითა და განრიდების პროგრამით გათვალისწინებული პირობები, დაზარალებულთან, ანუ ვისაც არასრულწლოვანის მხრიდან ზიანი მიადგა. მათ შორის ხელშეკრულება ფორმდება მაქსიმუმ ერთი წლის ვადით. ხელშეკრულებით განსაზღვრულ პერიოდში, არანაკლებ ერთ თვეში, სპეციალური ცოდნით აღჭურვილი სოციალური მუშაკი, რომელიც აკონტროლებს არასრულწლოვანის ყოფაქცევას, აწვდის ინფორმაციას პროკურორს. თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არასრულწლოვანი კეთილსინდისიერად ასრულებს მის პირობებს, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ. თუ არასრულწლოვანის მხრიდან ხელშეკრულების პირობები ზედმიწევნით დაირღვა, სოციალური მუშაკი აცნობებს პროკურორს. ის უფლებამოსილია სისხლის სამართლის საქმის წარმოება დაიწყოს, ანდა განაახლოს, რაც მოზარდის მდგომარეობას გააუარესებს.

***— მაინც რა უნდა შეასრულოს დამნაშავე არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით?***

— მაგალითად, თუ დაზარალებული ხანშიშესულია, ყოველდღე გაეგზავნოს მაღაზიაში სურსათზე, გაურეცხოს ავტომანქანა და სხვა, ანუ უნდა შესრულოს ის ფუნქციები, რაც ტექნიკური დახმარების მექანიზმებს შეიძლება წარმოადგენდეს. სხვათა შორის, ეს სისტემა ამერიკაში წარმატებით მუშაობს. იმედია, ჩვენთანაც გაამართლებს. ლომის წილი პასუხისმგებლობა აკისრიათ მართლმსაჯულების განმახორციელებელ სტრუქტურებს, რამდენად ლმობიერები და ჰუმანურები იქნებიან საზოგადოების იმ ფენის მიმართ, რომელიც ჩვენი ქვეყნის მომავალს წარმოადგენს. ამ ნორმის საფუძველზე არასრულწლოვანს ეძლევა შანსი, გააცნობიეროს მისი საქციელი, მოინანიოს ესა თუ ის ჩადენილი ნაკლებად მძიმე დანაშაული, მუდმივად იმუშაოს თავის თავზე, რათა საზოგადოებას გაწონასწორებული და რეაბილიტირებული დაუბრუნდეს.

***— გასულ წელს უკავშირდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებაც...***

— ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რამდენად ნოვაციურიც არ უნდა იყოს, მის შესახებ ჯერ მხოლოდ რეკლამირებული კლიპები, ოვაციები, გამონათქვამები და კომენტარელბია. ეს ჯერ ერთი მუხლით, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ეხება. კერძოდ, ეს ეხება მკვლელობას ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში და განსაკუთრებული სისასტიკით. თვითონ მუხლი გვეუბნება, რომ ასეთ დანაშაულს მხოლოდ მანიაკალური ფსიქიკის, ან ფსიქიკურად შერყეული ადამიანი თუ ჩაიდენს. მსაჯულებმა მორალური შეფასებით უნდა გაამტყუნონ ან გაამართლონ დამნაშავე მაშინ, როდესაც ეს ერთ-ერთი მძიმე მუხლია ამ კოდექსში, რომლითაც უნდა მიუსაჯონ 20 წელი ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. ვფიქრობ, მკვლელი არავის მოსწონს. ამიტომ ადვოკატებს-დამცველებს ძალიან დიდ თავსატეხს გაუჩენს ასეთი საქმეები, რადგან ძნელია ის წარმატებით, ანუ განსასჯელის გამართლებით დაასრულო. სურვილი მაქვს, დამცველის რანგში ვიხილო ჩემი კოლეგები, რომლებიც წინდაწინ ოვაციებით ხვდებიან ამ სიახლეს. მათ წინდაწინ განცდა აქვთ, რომ გაამართლებენ განსაჯელს. ისინი დამუხტულები იმიტირებული მხატვრული ფილმების ლამაზი შთაბეჭდილებებით. ჩვენი საზოგადოების მიღწევაა, რომ ასეთი მძიმე დანაშაული ახალი კანონის მიღებიდან დღემდე არ მომხდარა, რაც საზოგადოების კანონმორჩილებასა და ზემიწევნით მაღალ ზნეობრივ კულტურაზე მეტყველებს.

***— თქვენი დაკვირვებით, დღეისათვის სისხლის სამართლის კანონის რომელი მექანიზმი მუშაობს ეფექტურად?***

— ჩემი დაკვირვებით, დღეისათვის ეფექტურად მუშაობს საპროცესო შეთანხმების მექანიზმი, რომელიც 2005 წელს ამოქმედდა. ეს მოდელი ძალზე გამართულად მოქმედებს ევროპასა და ამერიკაში. ეს მაინც ამერიკული მექანიზმია, რომელიც ჩვენთან ძალზე ეფექტურად დაინერგა, მაგრამ სასამართლოს პრაქტიკულ განვითარებას ნაკლებად ემსახურება. სამაგიეროდ, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მთავარ და შეიძლება ითქვას, ძირითად მექანიზმად იქცა. გასული წლის საპროცესო შეთანხმებების საფუძველზე ბიუჯეტში 300 000 000-მდე ლარია შესული.

საქმე №2/10-10წ.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

საქართველოს სახელით

27 დეკემბერი 2010 წ. ქ. თელავი

თელავის რაიონული სასამართლო

**მოსამართლე: გოგიტა თოთოსაშვილი**

**მოსარჩელე:** ნატალია კუპატაძე.

**წარმომადგენელი:** თამარ მეტრეველი.

**მოპასუხეები:** დარეჯან და მანანა ბაღათრიშვილები.

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება.

ზეპირი მოსმენის გარეშე ერთპიროვნულად განიხილა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ნატალია კუპატაძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

2. მოპასუხეებს მანანა და დარეჯან ბაღათრიშვილებს სოლიდარულად დაეკისროთ ზიანის ანაზღაურება 3000 აშშ დოლარის ოდენობით. მოპასუხეებს ასევე სოლიდარულად დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის, 160 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

3. განემარტოთ მოპასუხეებს, რომ ამ გადაწყვეტილებაზე შეუძლიათ შემოიტანონ საჩივარი თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41-ში), დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

***მოსამართლე: გოგიტა თოთოსაშვილი***

---

საქმე №2/644-10წ.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

საქართველოს სახელით

20 დეკემბერი 2010 წ. ქ. თელავი

თელავის რაიონული სასამართლო

**მოსამართლე: გოგიტა თოთოსაშვილი**

**მოსარჩელე:** ლეილა მარგოშვილი.

**მოპასუხე:** ცისკარა ცისკარიშვილი.

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება.

ზეპირი მოსმენის გარეშე ერთპიროვნულად განიხილა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ლეილა მარგოშვილის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

2. მოპასუხე ცისკარა ცისკარიშვილს დაეკისროს ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად, 2008 წლიდან 250 ლარის ოდენობით შვილის, 2002 წლის 20 იანვარს დაბადებული ბეგხან ცისკარიშვილის რჩენა-აღზრდისათვის მის სრულწლოვანებამდე.

3. ცისკარა ცისკარიშვილს დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

4. განემარტოს მოპასუხეს, რომ ამ გადაწყვეტილებაზე შეუძლია შემოიტანოს საჩივარი თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41-ში), დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

***მოსამართლე: გოგიტა თოთოსაშვილი***

---

**საჯარო შეტყობინება**

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია ატყობინებს მოპასუხე ამერიკული კომპანია "ტელკეპ ტრეიდინგ ინკ"-ს რომ სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა გერმანული კომპანია "რეემსტმა სიგარეტენ ფაბრიკენ გმბჰ"-ს სარჩელი.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის

2008 წლის 30 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა

მოსარჩელე გერმანული კომპანია "რეემსტმა სიგარეტენ ფაბრიკენ გმბჰ"-ს სარჩელი;

გაუქმდა ამერიკული კომპანია "ტელკეპ ტრეიდინგ ინკ"-ის "WILD WEST" სასაქონლო ნიშნის –ის რეგისტრაცია;

განემარტა მოპასუხეს, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება 10 დღის განმავლობაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების დღიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტლება შედის კანონიერ ძალაში და იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს.

2011 წლის 5 იანვარს სასამართლომ მიიღო განჩინება მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების თაობაზე.

სასამართლო განუმარტავს მოპასუხე ამერიკულ კომპანია "ტელკეპ ტრეიდინგ ინკ"-ს, რომ სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს. შესაბამისად, ამერიკული კომპანია "ტელკეპ ტრეიდინგ ინკ"-ს უფლება აქვთ საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შემოიტანოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ; №6) საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნების მეშვიდე დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში. ამასთან, შეუძლია გაეცნოს საქმის მასალებს სასამართლოში.

***მოსამართლე: მაკა ჭედია***

---

**გადაწყვეტილება**

**საქართველოს სახელით**

საქმე № 2/571-2010

30 ნოემბერი, 2010 წელი თელავი

**შესავალი ნაწილი**

**თელავის რაიონული სასამართლო**

სასამართლოს დასახელება

**მოსამართლე** გოგიტა თოთოსაშვილი

**სხდომის მდივანი** თამარ ბერძენაშვილი

**მოსარჩელე:** სს "საქართველოს ბანკი"

**წარმომადგენელი:** ირაკლი ჩიკაშუა

**მოპასუხეები:** ნინო როსტოშვილი, ინგა ხარებაშვილი, მარიამ ლაზაშვილი

**წარმომადგენელი:** ლოლა ტუსაშვილი

**დავის საგანი** მოპასუხეებისათვის დავალიანების თანხის, სახელმწიფო ბაჟის და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გადახდილი თანხის სოლიდარულად დაკისრება.

**მოსარჩელე**

**გაერთიანებულ საქმეში:** მარიამ ლაზაშვილი.

**მოპასუხე:** სს "საქართველოს ბანკი", ნინო როსტოშვილი

**დავის საგანი:** თავდებობის ვალდებულებისაგან გათავისუფლება, სესხის უზრუნველყოფა

**გადაწყვიტა**

1. სს „საქართველოს ბანკი"-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს.

2. მოპასუხეებს ნინო როსტოშვილს, ინგა ხარებაშვილს და მარიამ ლაზაშვილს სოლიდარულად დაეკისროთ დავალიანების თანხის 9943 (ცხრაათას ცხრაას ორმოცდასამი) ლარის და 44 (ორმოცდაოთხი) თეთრის, ასევე მოსარჩელის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გადახდილი 150 (ასორმოცდაათი) ლარის და სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 298 (ორას ორმოცდათვრამეტი) ლარის და 30 (ოცდაათი) თეთრის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

3. მოსარჩელე მარიამ ლაზაშვილს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოში, თელავის რაიონული სასამართლოს მეშვეობით 14 დღის ვადაში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან.

***მოსამართლე გ. თოთოსაშვილი***

---

საქმე №2/627-10წ.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

საქართველოს სახელით

30 დეკემბერი 2010 წ. ქ. თელავი

თელავის რაიონული სასამართლო

**მოსამართლე: გოგიტა თოთოსაშვილი**

**მოსარჩელე:** ეკა ჭინჭარაული.

**წარმომადგენელი:** ირმა ქავთარაშვილი.

**მოპასუხე:** გელა ჭინჭარაული.

**დავის საგანი:** განქორწინება.

ზეპირი მოსმენის გარეშე ერთპიროვნულად განიხილა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ეკა ჭინჭარაულის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

2. მოხდეს განქორწინება ეკა ჭინჭარაულსა და გელა ჭინჭარაულს შორის და გაუქმდეს ქორწინების რეგისტრაცია, სააქტო ჩანაწერი №30, რეგისტრირებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი თელავის განყოფილების მიერ 1995 წლის 10 დეკემბერს, ქორწინების მოწმობა მნ№136785.

2. მოსარჩელე ეკა ჭინჭარაულს დაუბრუნდეს ქალიშვილობის გვარი კევლიშვილი.

3. მოპასუხე გელა ჭინჭარაულს დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით მოსარჩელე ეკა კევლიშვილის სასარგებლოდ.

4. განემარტოს მოპასუხეს, რომ ამ გადაწყვეტილებაზე შეუძლია შემოიტანოს საჩივარი თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41-ში), დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

***მოსამართლე:***

***ხელმოწერილია გოგიტა თოთოსაშვილი***

***ასლი დედანთან სწორია:***

---

საქმე №2/475

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

27 დეკემბერი 2010 წელი ქ.თელავი

თელავის რაიონული სასამართლო

**მოსამართლე – გოგიტა თოთოსაშვილი**

**სხდომის მდივანი** – თამარ ბერძენაშვილი

**მოსარჩელე** – ნატალია კუპატაძე.

**წარმომადგენელი** – თამარ მეტრეველი.

**მოპასუხეები:** 1. დარეჯან ბაღათრიშვილი.
2. მანანა ბაღათრიშვილი.

**დავის საგანი** – ზიანის ანაზღაურება.

**დაადგინა:**

ნატალია კუპატაძის სარჩელი დარეჯან და მანანა ბაღათრიშვილების მიმართ ქ.თელავი, კავკასიონის ქ. №49/29-ში მდებარე ბინის რეალიზაციის ნაწილში დატოვებული იქნეს განუხილველად და დაუბრუნდეს მოსარჩელეს.

განემარტოს მოსარჩელეს, რომ იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მომართოს სასამართლოს საერთო წესების დაცვით.

განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა თელავის რაიონულ სასამართლოში 12 დღის განმავლობაში მისი გამოცხადების მომენტიდან.

***მოსამართლე: /გოგიტა თოთოსაშვილი/***

---

საქმე №2/698

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს სახელით

6 იანვარი 2011 წელი ქ. თელავი

თელავის რაიონული სასამართლო

**მოსამართლე – გოგიტა თოთოსაშვილი**

**მოსარჩელე** – სს. "თიბისი ბანკი".

**წარმომადგენელი** – თეიმურაზ იაშვილი.

**მოპასუხე** - ვადიმ ჩხეტიანი.

**დავის საგანი** – თანხის დაკისრება.

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი,

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. მოპასუხე ვადიმ ჩხეტიანს სარჩელის და მასზე დართული საბუთების შინაარსი ეცნობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით.

2. მოპასუხე ვადიმ ჩხეტიანს სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე სარჩელზე დართული საბუთების შესახებ შესაგებლის (პასუხის) წარმოსადგენად განესაზღვროს 05 (ხუთი) დღე. მასვე განემარტოს, რომ შესაგებელი შედგენილი უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით (როგორც წესი, ნაბეჭდი სახით).

3. თელავის რაიონული სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით მოპასუხე ვადიმ ჩხეტიანს ატყობინებს შემდეგს:

ა) თელავის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო სამართალწარმოების საქმე მოსარჩელე სს. თიბისი ბანკი"ს სარჩელისა გამო მოპასუხე ვადიმ ჩხეტიანის მიმართ დავალიანების ანაზღაურებს შესახებ.

სარჩელის მიხედვით მოსარჩელე სს. "თიბისი ბანკი" ითხოვს მოპასუხე მოპასუხე ვადიმ ჩხეტიანს დაეკისროს დავალიანების 3787,4 ლარის და სახელმწიფო ბაჟის 113,62 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

ბ) სასარჩელო განცხადებას თან ერთვის ინფორმაცია საკრედიტო ბარათის ინდივიდუალური პირობების შესახებ, სს. "თიბისი ბანკის" ცნობა დავალიანების შესახებ, ვადიმ ჩხეტიანის პირადობის მოწმობის ასლი, სს. "თიბისი ბანკი"-ს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, შპს "საფინანსო საკრედიტო ბიუროს" ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, გაფრთხილების ხელწერილი, ბაჟის ქვითრები.

4. მოპასუხე ვადიმ ჩხეტიანს ასევე ეცნობოს შემდეგი:

ა) მოპასუხე ვალდებულია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად) წერილობით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით, შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული საბუთების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოს ისინი სასამართლოს ჩაბარებიდან 05 (ხუთი) დღის ვადაში.

ბ) წერილობით შედგენილ პასუხში უნდა აღინიშნოს შემდეგი მონაცემები:

ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც მოპასუხეს შეაქვს პასუხი;

ბ) მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს) სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი, პასუხში შესაძლოა მიუთითოს ასევე საკონტაქტო პირის მონაცემები.

გ) ცნობთ თუ არა სარჩელს და რა ნაწილში, ხოლო თუ არ ცნობთ, მაშინ რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება თქვენი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ, ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს თქვენს მიერ მითითებულ გარემოებებს;

დ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებთ სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ სარჩელის დასაშვებობას, ხომ არ გაქვთ აცილება მოსამართლის ან სასამართლოს მიმართ და ა. შ.

ე) ვინ შეიძლება ჩაება პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად ;

ვ) რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლოს სხდომაზე და სხვა შუამდგომლობები;

ზ) პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

თ) მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;

ი) პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს;

კ) პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა ასახოთ მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ არ ეთანხმებით სარჩელში მოყვანილ გარემოებას, ვალდებული ხართ მიუთითოთ ამის მიზეზი და დაასაბუთოთ შესაბამისი არგუმენტაციით;

ლ) ვალდებული ხართ პასუხს დაურთოთ მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები; მოპასუხე უფლებამოსილია მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა;

მ) მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს;

ნ) მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით ;

ო) სხვა სახის შუამდგომლობები;

პ) შესაგებელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინეთ იმდენი ასლით, რამდენიც მოსარჩელეა. მას ხელს უნდა აწერდეს მოაპასუხე ან მისი წარმომადგენელი და უნდა ერთვოდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი (როცა პასუხის შეაქვს წამომადგენელს);

5. სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები მოპასუხე ვადიმ ჩხეტიანს ჩაბარებულად ჩაეთვალოს საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს და ამ დღის მომდევნო დღიდან აითვალოს შესაგებლის შემოტანის ვადა.

6. განჩინება გამოქვეყნდეს იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მოპასუხე ვადიმ ჩხეტიანის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გურჯაანის რაიონის სოფ. ვაჩნაძიანი. განჩინების გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, რომელსაც დაევალოს სასამართლოს წარუდგინოს ინფორმაცია განჩინების პუბლიკაციის შესახებ, ასევე განჩინების პუბლიკაციის დღის გაზეთი.

7. განჩინების გამოქვეყნება ასევე მოახდინოს მოსარჩელე მხარემ ასეთის სურვილის შემთხვევაში იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული ვადიმ ჩხეტიანის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გურჯაანის რაიონის სოფ. ვაჩნაძიანში.

8. განჩინება არ გასაჩივრდება.

***მოსამართლე: გოგიტა თოთოსაშვილი***

საქმე №2/11

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
**სარეზოლუციო ნაწილი**
**საქართველოს სახელით**

**10 იანვარი 2011 წელი ქ. თელავი**

**თელავის რაიონული სასამართლო**
**მოსამართლე** – გოგიტა თოთოსაშვილი
**მოსარჩელე –** მაია ისმაილოვი.
**წარმომადგენელი** – თამარ მეტრეველი.
**მოპასუხეები:** 1. ნოტარიუსი თამარ ფიცხელაური
2. ნოტარიუსი ციალა კაციაშვილი.
3. გულიზარ მგოიანი.
4. ვარიზა ისმაილოვი.
5. ანჟელა ისმაილოვი
**წარმომადგენელი** – ლალი ჩოდრიშვილი
**დავის საგანი** – ანდერძის ბათილად ცნობა, სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე ნოტარიუსის უარის ბათილად ცნობა და ნოტარიუსის დავალდებულება სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ.

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი,

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. მოპასუხე ანჟელა ისმაილოვს სარჩელის და მასზე დართული საბუთების შინაარსი ეცნობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით.

2. მოპასუხე ანჟელა ისმაილოვს სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე სარჩელზე დართული საბუთების შესახებ შესაგებლის (პასუხის) წარმოსადგენად განესაზღვროს 05 (ხუთი) დღე. მასვე განემარტოს, რომ შესაგებელი შედგენილი უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით (როგორც წესი, ნაბეჭდი სახით).

3. თელავის რაიონული სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით მოპასუხე ანჟელა ისმაილოვს ატყობინებს შემდეგს:

ა) თელავის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო სამართალწარმოების საქმე მოსარჩელე მაია ისმაილოვის სარჩელისა გამო მოპასუხეების ნოტარიუს თ.ფიცხელაურის, ნოტარიუს ც.კაციაშვილის, გ.ისმაილოვის, ვ.ისმაილოვის, მ. ისმაილოვის მიმართ ანდერძის ბათილად ცნობის, სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე ნოტარიუსის უარის ბათილად ცნობის და ნოტარიუსის დავალდებულების სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ.

სარჩელის მიხედვით მოსარჩელე მაია ისმაილოვი ითხოვს შაქრო ისმაილოვის სახელით 1991 წლის 4 ივნისს ნოტარიუს ციალა კაციაშვილის მიერ დადასტურებული ანდერძის, ნოტარიუს თ.ფიცხელაურის 2008 წლის 8 აგვისტოს სანოტარო უარი თქმის ბათილად ცნობას და სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალდებულებას იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სადაო სახლი შეძენილი იყო მაია ისმაილოვის პაპა-ბებიის ქორწინების პერიოდში და თანახმად "საოჯახო და საქორწინო კოდექსის 21-ე მუხლისა, წარმოადგენდა თანასაკუთრებას. ამდენად ნოტარიუს ციალა კაციაშვილის 1991 წლის 21 ივნისს სამკვიდრო მოწმობა უნდა გაეცა არა მთელ სახლზე, არამედ ნაწილზე, კერძოდ ისაკა ჯავარას ძე ისმაილოვის წილზე. ამასთან წარმოდგენილი საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ბებიამისი მამამისთან ერთად ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა მეუღლის დანაშთ სამკვიდროს, რაც თანახმად საქართველოს სსრ სსკ-ის 556-ე მუხლი ასევე მთლიანად გამორიცხავდა მთლიან სახლზე შაქრო ისმაილოვის სასარგებლოდ სამკვიდრო მოწმობის გაცემას, რადგან ალმასთა ისმაილოვს ფაქტობრივი ფლობით მიღებული მეუღლის დანათი ქონებიდან ეკუთვნოდა წილი, ხოლო ბებიას დანაშთი სამკვიდროს ანდერძისმიერი მემკვიდრე არის მაია ისმაილოვი. მიუხედავად იმისა მ.ისმაილოვას მამის ანდერძი ბათილად იქნება თუ არა ცნობილი, თანახმად მამამისის გარდაცვალებისას მოქმედი სსკ-ის 547-ე მუხლისა მამის დანაშთი ქონებიდან მ.ისმაილოვას ეკუთვნოდა სავალდებულო წილი. მამის გარდაცვალებისას მაია ისმაილოვი იყო 6 წლის, ე.ი. არასრულწლოვანი, თანაც ერთადერთი კანონისმიერი მემკვიდრე. შაქრო ისმაილოვს დედმამიშვილთა სასარგებლოდ რომ არ შეედგინა საეჭვო წარმომავლობის ანდერძი. ალმასთა ისმაილოვის ანდერძიც, რომ არ იქნეს გათვალისწინებული იგი მიიღებდა შაქრო ისმაილოვის სახელზე რიცხულ სახელს. თუ ანდერძი არ იქნება ბათილად ცნობილი საქართველოს სსრ სსკ-ის 547-ე მუხლის თანახმად მოსარჩელეს ერგება მთელი სახლის 2/3 ნაწილი. ნოტარიუსმა თამარ ფიცხელაურმა მაია ისმაილოვას სასარგებლოდ მამის დანაშთ ქონებაზე მოწმობის გაცემაზე უთხრა უარი იმ მოტივით, რომ 1991 წლის 21 ივნისს გარდაცვლილი შაქრო ისმაილოვის სამკვიდრო ქონებაზე მოწმობის მისაღებად კანონით დადგენილ ვადაში განცხადება შეტანილი აქვს ანდერძისმიერ მემკვიდრეს (და არა მემკვიდრეებს) თელავის №2 სანოტარო კანტორის ნოტარიუსთან ციალა კაციაშვილთან. მ.ისმაილოვის სახეილზე გაცემულ მომართვას ერთვის აღნიშნული განცხადების ასლი, საიდანაც ირკვევა, რომ ასეთი მოთხოვნით ნოტარიუს ციალა კაციაშვილისათვის მიუმართავ მხოლოდ ერთ მემკვიდრეს მამიკო ისმაილოვს, რომელიც მ.ისმაილოვის ხელთ არსებული ინფორმაციით გარდაიცვალა 1997-1999 წლების პერიოდში, თუმცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქ.თბილისის არქივში ასეთი ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული, რის გამოც ისმაილოვამ მიუთითა მოპასუხეთა სიაში, რადგან მამამისის დედმამიშვილებტან კავშირი არა აქვს. მამიკო ისმაილოვის მემკვიდრეებს კი პორეტენზია არ განუცხადებით მამამისის დანატოვარი საკვიდროდან მათი მამის კუთვნილ წილზე . მ.ისმაილოვის მამას ანდერძი შედგენილი ჰქონდა კიდევ ერთი ძმის შოთა ისმაილოვის სასარგებლოდ, რომელიც დღეს ასევე გარდაცვლილია. სასამართლომ ბათილად რომ არ სცნოს შაქრო ისმაილოვის ანდერძი გარდა იმისა, რომ შოთა ისმაილოვს განცხადება არ შეუტანია სანოტარო ბიუროში 1995 წლის 2 ოქტომბერს მან უარი განაცხადა თავის წილზე მ.ისმაილოვის სასარგებლოდ. ამიტომ მას ან მის მემკვიდრეებს არ უთითებს მოპასუხეთა სიაში. არც გულჩინა და ვარიზა ისმაილოვებს არ შეუტანიათ განცხადებები სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სანოტარო ბიუროში შაქრო ისმაილოვის დანაშთი ქონების მისაღებად. მამის გარდაცვალების შემდეგ გულჩინა და ვარიზა ისმაილოვები არც ფაქტიური ფლობით დაუფლების შაქრო ისმაილოვის დანაშთ სამკვიდროს. მისი გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში იმ სახლში ცხოვრობენ მ.ისმაილოვი და დედამისი. მოპასუხეებთან გაწყვეტილი ჰქონდათ ყოველგვარი კავშირი და თუნდაც ამის გამო ვერ შეძლებდნენ სახლის ფაქტობრივად დაუფლებას საქართველოს სკ-ის 1408-ე მუხლის თანახმად ანდერძის ნამდვილობა შეიძლება სადავო გახადონ კანონით მემკვიდრეებმა, სხვა დაინტერესებულმა პირებმა იმ გარემოებათა გამო, რომლებიც გარიგების ბნათილობას იწვევს. იმავე კოდექსის 1409-ე მუხლის თანახმად "სარჩელი ანდერძის ბათილობის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს ორი წლის განმავლობაში, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან, ვინაიდან მამის გარდაცვალებისას მ.ისმაილოვი იყო არასწრულოვანი, ცხოვრობდა და ცხოვრობს დედამისთან აღნიშნულ სახლში, დედამისთან კი მას ამ საკითხე საუბარი არასოდეს ჰქონია და იგი შეიტყო 2008 წლის ივლისში, რაც შეეხება სამკვიდროს გახსნის ადგილს, რომლის დაუდგენლობის შესახებაც მითითებულია გასაჩივრებულ დადგენილებაში უსაფუძვლოა, რადგან 1997 წლის 25 ნოემბრამდე მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 541-ე მუხლის თანახმად "სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება სამკვიდროს დამტოვებლის ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის სამკვიდრო ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფებლი", რასაც ასევე ითვალისწინებს დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1324-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ბ) სასარჩელო განცხადებას თან ერთვის შემდეგი მტკიცებულებები: ნოტარიუს თამარ ფიცხელაურის 2008 წლის 6 აგვისტოს სანოტარო აქტი №2-186 განცხადება სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ, ნოტარიუს თამარ ფიცხელაურის 2008 წლის 8 აგვისტოს დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ, ნოტარიუს თამარ ფიცხელაურის 2008 წლის 27 ივნისის მიმართვა მაია ისმაილოვის სახელზე, ნოტარიუს ციალა კაციაშვილის მიმართვა თამარ ფიცხელაურის სახელზე, მაიკო ისმაილოვის 1991 წლის 27 ივნისის განცხადება სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ მაია ისმაილოვის სახელზე გაცემული ციალა კაციაშვილის 2008 წლის 14 ივნისის №45 მიმართვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციოს სამსახურის მიერ მაია ისმაილოვის სახელზე, 2008 წლის 9 ივნისს გაცემული №22/15/2534 მიმართვა, 1991 წლის 21 ივნისს ნოტარიუს ციალა კაციაშვილის მიერ გაცემული 208 კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა, შაქრო ისმაილოვის გარდაცვალების მოწმობა, შაქრო ისმაილოვის ანდერძი, ალმასთან ისმაილოვის ანდერძი, მაია ისმაილოვის დაბადების მოწმობის ასლი, სამოქალაქო რეესტრის ქ.თბილისის არქივის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს გაცემული №01/100/12-8522 ცნობა, თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრის მიერ გაცემული 2008 წლის 21 აგვისტოს №46 ცნობა, თელავის რაიონის სახალხო სასამართლოში შეტანილი შოთა ისმაილოვის განცხადება, 1991 წლის №2/24 სამოქალაქო სამართალწარმოების საქმის ასლი 22 ფურცლად,

4. მოპასუხე ანჟელა ისმაილოვს ასევე ეცნობოს შემდეგი:

ა) მოპასუხე ვალდებულია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად) წერილობით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით, შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული საბუთების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოს ისინი სასამართლოს ჩაბარებიდან 05 (ხუთი) დღის ვადაში.

ბ) წერილობით შედგენილ პასუხში უნდა აღინიშნოს შემდეგი მონაცემები:

ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც მოპასუხეს შეაქვს პასუხი;

ბ) მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს) სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი, პასუხში შესაძლოა მიუთითოს ასევე საკონტაქტო პირის მონაცემები.

გ) ცნობთ თუ არა სარჩელს და რა ნაწილში, ხოლო თუ არ ცნობთ, მაშინ რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება თქვენი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ, ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს თქვენს მიერ მითითებულ გარემოებებს;

დ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებთ სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ სარჩელის დასაშვებობას, ხომ არ გაქვთ აცილება მოსამართლის ან სასამართლოს მიმართ და ა. შ.

ე) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად ;

ვ) რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლოს სხდომაზე და სხვა შუამდგომლობები;

ზ) პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

თ) მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;

ი) პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს;

კ) პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა ასახოთ მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ არ ეთანხმებით სარჩელში მოყვანილ გარემოებას, ვალდებული ხართ მიუთითოთ ამის მიზეზი და დაასაბუთოთ შესაბამისი არგუმენტაციით;

ლ) ვალდებული ხართ პასუხს დაურთოთ მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები; მოპასუხე უფლებამოსილია მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა;

მ) მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს;

ნ) მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით ;

ო) სხვა სახის შუამდგომლობები;

პ) შესაგებელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინეთ იმდენი ასლით, რამდენიც მოსარჩელეა. მას ხელს უნდა აწერდეს მოაპასუხე ან მისი წარმომადგენელი და უნდა ერთვოდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი (როცა პასუხის შეაქვს წამომადგენელს);

5. სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები მოპასუხე ანჟელა ისმაილოვს ჩაბარებულად ჩაეთვალოს საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს და ამ დღის მომდვენო დღიდან აითვალოს შესაგებლის შემოტანის ვადა.

6. მოპასუხეებს ანჟელა ისმაილოვს და გულიზარ მგოიანს ასევე ეცნობოს სასამართლოს მთავარი სხდომის დღე – 2011 წლის 27 იანვარი 11.00 სთ.

7. განჩინება გამოქვეყნდეს იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მოპასუხე ანჟელა ისმაილოვის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ქ.თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ, კორპუსი 69. განჩინების გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, რომელსაც დაევალოს სასამართლოს წარუდგინოს ინფორმაცია განჩინების პუბლიკაციის შესახებ, ასევე განჩინების პუბლიკაციის დღის გაზეთი.

8. განჩინების გამოქვეყნება ასევე მოახდინოს მოსარჩელე მხარემ ასეთის სურვილის შემთხვევაში იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული ანჟელა ისმაილოვს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ქ.თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ, კორპუსი 69.

9. განჩინება არ გასაჩივრდება.

**მოსამართლე: გოგიტა თოთოსაშვილი**

---

**თბილისის საქალაქო სასამართლო**
**სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6**

**საქმე №2/1529-08წ.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე თამაზ ურთმელიძის) წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/1529-08წ. შალვა მახარაძის სარჩელის გამო მოპასუხე თამარ ბეგაძის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2010 წლის 22 ოქტომბერს მიღებული იქნა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2011 წლის 12 იანვარს მიღებულ იქნა განჩინება მოპასუხე თამარ ბეგაძისავის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე პუბლიკაციის გზით საჯარო შეტყობინების შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 201-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მოპასუხე – თამარ ბეგაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

2010 წლის 22 ოქტომბერს მიღებული იქნა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე, რომლითაც ყადაღა მოეხსნა თამარ ბეგაძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, მდებარე ქ. თბილისი, 9 ძმის ქუჩა №3, 15/284 ნაწილს, დამხმარე ფართი 32 კვ.მ და სარდაფი 4 კვ.მ.

2. განემარტოს მხარეს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების განჩინება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს გაზეთში „ახალი თაობა", რაც დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს.

4. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მდებარე: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6. მოსამართლის თანაშემწე: შორენა კონჯარია. ტ. 54-10-60 (შიდა 281).

**მოსამართლე თამაზ ურთმელიძე**

---

**თბილისის საქალაქო სასამართლო**
**სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6**

**საქმე №2/7337-10წ.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე თამაზ ურთმელიძის) წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/7337-10წ. ზურაბ თაფლაძის სარჩელის გამო მოპასუხეების ამხ. „ვაკე-პალასის", შპს „კალასის" და სხვათა მიმართ დავალიანების გადახდევინების თაობაზე.

აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2011 წლის 11 იანვარს მიღებულ იქნა განჩინება მოპასუხეების: დავით გურგენიძის, გიორგი როსებაშვილის, ნატალია შარაშიძის, გოჩა ძნელაძისა და თეა წულუკიძისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების შესახებ პუბლიკაციის გზით საჯარო შეტყობინების შესახებ.

საქალაქო სასამართლო განგიმარტავთ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებული ხართ წერილობით შეადგინოთ პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული დოკუმენტების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოთ ისინი სასამართლოს მიღებიდან 1<u>**0 დღის ვადაში.**</u>

განგიმარტავთ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $232^1$ მუხლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ დადგენილი ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ 2011 წლის 11 იანვრის განჩინების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია აცნობებს მოპასუხეებს: ამხ. "ვაკე-პალასს", შპს "კალასს", იოსებ ჭანტურიას, დავით გურგენიძეს, გიორგი როსებაშვილს, ნატალია შარაშიძეს, გოჩა ძნელაძეს, თორნიკე ერგემლიძეს, მიხეილ გარუჩავასა და თეა წულუკიძეს, რომ სამოქალაქო საქმეზე №2/7337-10წ. ზურაბ თაფლაძის სარჩელის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე დანიშნულია <u>**2011 წლის 14 თებერვალს 10:00 საათზე.**</u> (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ; №6, მე-2 სართული, დარბაზი №19)

მოპასუხეები უნდა გამოცხადდნენ სასამართლოს მთავარ სხდომაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო საქმეს განიხილავს მათი დასწრების გარეშე.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მდებარე: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6. მოსამართლის თანაშემწე: შორენა კონჯარია. ტ. 54-10-60 (შიდა 281).

**მოსამართლე თამაზ ურთმელიძე**

**საქმე №2/719**

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

**საქართველოს სახელით**

**4 იანვარი 2011 წელი ქ. თელავი**

**თელავის რაიონული სასამართლო**

**მოსამართლე – გოგიტა თოთოსაშვილი**

**მოსარჩელე –** გია გიგილაშვილი.

**მოპასუხე -** ვალერიან ჯორჯაძე.

**დავის საგანი** – თანხის დაკისრება.

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი,

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. მოპასუხე ვალერიან ჯორჯაძეს სარჩელის და მასზე დართული საბუთების შინაარსი ეცნობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით.

2. მოპასუხე ვალერიან ჯორჯაძეს სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე სარჩელზე დართული საბუთების შესახებ შესაგებლის (პასუხის) წარმოსადგენად განესაზღვროს 05 (ხუთი) დღე. მასვე განემარტოს, რომ შესაგებელი შედგენილი უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით (როგორც წესი, ნაბეჭდი სახით).

3. თელავის რაიონული სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით მოპასუხე ვალერიან ჯორჯაძეს ატყობინებს შემდეგს:

ა) თელავის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო სამართალწარმოების საქმე მოსარჩელე გია გიგილაშვილის სარჩელისა გამო მოპასუხე ვალერიან ჯორჯაძის მიმართ დავალიანების ანაზღაურებს შესახებ.

სარჩელის მიხედვით მოსარჩელე გია გიგილაშვილი ითხოვს მოპასუხე ვალერიან ჯორჯაძეს დაეკისროს დავალიანების 500 ევროს და მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის გადახდა.

ბ) სასარჩელო განცხადებას თან ერთვის ხელწერილი და ბაჟის ქვითრები.

4. მოპასუხე ვალერიან ჯორჯაძეს ასევე ეცნობოს შემდეგი:

ა) მოპასუხე ვალდებულია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად) წერილობით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით, შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული საბუთების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოს ისინი სასამართლოს ჩაბარებიდან 05 (ხუთი) დღის ვადაში.

ბ) წერილობით შედგენილ პასუხში უნდა აღინიშნოს შემდეგი მონაცემები:

ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც მოპასუხეს შეაქვს პასუხი;

ბ) მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს) სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი, პასუხში შესაძლოა მიუთითოს ასევე საკონტაქტო პირის მონაცემები.

გ) ცნობთ თუ არა სარჩელს და რა ნაწილში, ხოლო თუ არ ცნობთ, მაშინ რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება თქვენი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ, ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს თქვენს მიერ მითითებულ გარემოებებს;

დ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებთ სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ სარჩელის დასაშვებობას, ხომ არ გაქვთ აცილება მოსამართლის ან სასამართლოს მიმართ და ა. შ.

ე) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად ;

ვ) რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლოს სხდომაზე და სხვა შუამდგომლობები;

ზ) პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

თ) მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;

ი) პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს;

კ) პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა ასახოთ მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ არ ეთანხმებით სარჩელში მოყვანილ გარემოებას, ვალდებული ხართ მიუთითოთ ამის მიზეზი და დაასაბუთოთ შესაბამისი არგუმენტაციით;

ლ) ვალდებული ხართ პასუხს დაურთოთ მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები; მოპასუხე უფლებამოსილია მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა;

მ) მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს;

ნ) მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით ;

ო) სხვა სახის შუამდგომლობები;

პ) შესაგებელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინეთ იმდენი ასლით, რამდენიც მოსარჩელეა. მას ხელს უნდა აწერდეს მოაპასუხე ან მისი წარმომადგენელი და უნდა ერთვოდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი (როცა პასუხის შეაქვს წამომადგენელს);

5. სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები მოპასუხე ვალერიან ჯორჯაძეს ჩაბარებულად ჩაეთვალოს საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს და ამ დღის მომდვენო დღიდან აითვალოს შესაგებლის შემოტანის ვადა.

6. განჩინება გამოქვეყნდეს იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მოპასუხე ვალერიან ჯორჯაძის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ქ.თელავი, რუსთაველის გამზ. №66-ში. განჩინების გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, რომელსაც დაევალოს სასამართლოს წარუდგინოს ინფორმაცია განჩინების პუბლიკაციის შესახებ, ასევე განჩინების პუბლიკაციის დღის გაზეთი.

7. განჩინების გამოქვეყნება ასევე მოახდინოს მოსარჩელე მხარემ ასეთის სურვილის შემთხვევაში იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული ვალერიან ჯორჯაძის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ქ.თელავი, რუსთაველის გამზირი №66-ში.

8. განჩინება არ გასაჩივრდება.

**მოსამართლე: ხელმოწერილია გოგიტა თოთოსაშვილი**

**ასლი დედანთან სწორია**

---

სარჩელის და თანდართული საბუთების ასლების ჩაბარების მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესი. კერძოდ, 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის) ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ჩაბარდება ამ კოდექსის 73-ე მუხლის $1^1$ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ვითარებასთან, როცა მოპასუხისათვის ვერ ხერხდება განცხადების და თანდართული საბუთების ჩაბარება, ვინაიდან მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყება ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ საჯარო შეტყობინების ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება (სარჩელი) მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-285-ე და 414-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე საჯარო პუბლიკაციით მოპასუხე მხარეს: ატყობინებს შემდეგს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლევან გვარამიას წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/8940-10 სს "ბანკი ქართუს" სარჩელზე მოპასუხე ხვიჩა ზუმბულიძის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201 მუხლის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია წერილობით შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული დოკუმენტების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოს ისინი სასამართლოს 10 დღის ვადაში. მოპასუხის მიერ წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვს პასუხი; მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლებელი მითითებული იქნას საკონტაქტო პირის მონაცემები; ცნობს თუ არა სარჩელს და რა ნაწილში; თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი პასუხი სარჩელის წინააღმდეგ; მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს; რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას; არსებობის შემთხვევაში მოპასუხის შუამდგომლობები; ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ; ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად; რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლო სხდომაზე; სხვა სახის შუამდგომლობები; პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა; მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი განხილვის მოსაზრების თაობაზე;

მოპასუხის წერილობით პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესაგებელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების

შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს.

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავით დადგენილი წესით.

მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით.

პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მოპასუხის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

2. სარჩელის და თანდართული საბუთების ასლები ხვიჩა ზუმბულიძისათვის ჩაბარებულად ჩაითვალოს საჯარო შეტყობინებიდან მე-10 დღეს და ამ დღიდან აითვალოს შესაგებლის წარმოდგენს ვადა.

3. განჩინება არ საჩივრდება.

**მოსამართლე ლ. გვარამია**

საქმე №2/10902-10

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება**
**საქართველოს სახელით**

05 იანვარი 2011 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

**მოსამართლე დიანა ბერეკაშვილი**

**მოსარჩელე:** გიული გორგოძე;

**მოპასუხე:** მეგი ყაველაშვილი;

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება და იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებითი რეალიზაცია.

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გიული გორგოძის სარჩელი მეგი ყაველაშვილის მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებითი რეალიზაციის შესახებ;

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2010 წლის 21 ოქტომბერს სარჩელით მომართა გიული გორგოძემ მოპასუხე მეგი ყაველაშვილის მიმართ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებითი რეალიზაციის შესახებ;

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2007 წლის 19 სექტემბერს მოპასუხე მეგი ყაველაშვილს ასესხა 20 900 აშშ დოლარი, 3 თვის ვადით 2007 წლის 19 დეკემბრამდე. მოპასუხეს უნდა გადაეხადა სესხის სარგებელი თანხის 3%-ის ოდენობით, ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,3%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე. სესხის უზრუნველყოფით იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხის უძრავი ქონება. 2008 წლის 29 ივლისს მოპასუხეს დამატებით გადასცა სესხის სახით 15 750 ევრო იმავე პირობებით 2008 წლის 19 ოქტომბრამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვს, მოპასუხე მეგი ყაველაშვილს დაეკისროს 2007 წლის 19 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 20 900 აშშ დოლარის ოდენობით და 2008 წლის 19 ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 15 750 ევრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით, გიული გორგოძის სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე განჩინებით მოპასუხე მეგი ყაველაშვილს განესაზღვრა 10-დღიანი ვადა პასუხის (შესაგებლის) წარმოსადგენად. ამავე დროს, განემარტა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლე მიიღებდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 დეკემბერს მიღებულ იქნა განჩინება საჯარო პუბლიკაციის შესახებ. აღნიშნული განჩინება გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ „ახალ თაობაში“ 2010 წლის 17 დეკემბერს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

აღნიშნული ნორმის თანახმად, მოპასუხე მეგი ყაველაშვილზე სარჩელი და თანდართული დოკუმენტების ასლები ჩაბარებულად ითვლება. მოპასუხე მეგი ყაველაშვილს სარჩელის თაობაზე პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის განესაზღვრა 10 (ათი) დღის ვადა, ასევე განემარტა, რომ სარჩელი და თანდართული მასალები მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს და სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა აითვლება ამ დროიდან. მოპასუხე მეგი ყაველაშვილს შესაგებელი არ წარმოუდგენია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას. შესაგებლისათვის განსაზღვრულ ვადაში მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია შესაგებელი, გარდა ამისა, სასამართლოს დამტკიცებულად მიაჩნია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, არ მიიჩნევს მიზანშეწონილად სარჩელზე მთავარი სხდომის დანიშვნას და თვლის, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, შემდეგი საფუძვლით:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამავე კოდექსის 626-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს. თუ პროცენტები არ არის შეპირებული, მოვალეს შეუძლია ვალი დააბრუნოს ვადამდე. პროცენტიანი სესხის ვადამდე დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი შეთანხმებით ან გამსესხებლის თანხმობით.

მეგი ყაველაშვილის მიერ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობით დაირღვა გიული გორგოძესთან დადებული გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულება.

სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 361-ე, 623-ე, 624-ე, 626-ე მუხლების შესაბამისად, სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, არ არსებობს მთავარი სხდომის დანიშვნის აუცილებლობა და გიული გორგოძის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება სასამართლო ხარჯების საკითხს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 70-78-ე, 53-ე, 201-ე, 232[1]-ე, 73-ე მუხლებით

**გადაწყვიტა:**

1. მოსარჩელე გიული გორგოძის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
2. მოპასუხე მეგი ყაველაშვილს მოსარჩელე გიული გორგოძის სასარგებლოდ დაეკისროს 2007 წლის 19 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 20 900 აშშ დოლარის ოდენობით და 2008 წლის 19 ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 15 750 ევროს ოდენობით;
3. მოპასუხე მეგი ყაველაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით 2232,26 (ორი ათას ორას ოცდათორმეტი ლარი და ოცდაექვსი თეთრი) ლარის გადახდა;
4. გადაწყვეტილება 05 (ხუთი) დღის ვადაში გადაეგზავნოს მოპასუხე მეგი ყაველაშვილს;
5. მოპასუხე მეგი ყაველაშვილს შეუძლია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შემოიტანოს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

*მოსამართლე:* *დიანა ბერეკაშვილი*

# მობილურით საუბარი იაფდება

მობილური ოპერატორებისთვის კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დაწესებული ახალი ზღვრული ტარიფი - 24 თეთრი 1-ელი აპრილიდან შევა ძალაში.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომისიის პრესსპიკერმა, ხატია ყურაშვილმა განუცხადა, მარეგულირებელმა 2010 წლის მაისში მობილურ ოპერატორებს შორის ურთიერჩართვის ტარიფის 14,8 თეთრიდან 8 თეთრამდე შემცირების გადაწყვეტილება მიიღო.

— მოლოდინი იყო, რომ ურთიერთჩართვის ტარიფის შემცირება საცალო ტარიფის შემცირებას გამოიწვევდა. თუმცა, რადგან მობილური ოპორატორები მხოლოდ სხვადსახვა აქციებით შემოიფარგლნენ, კომისიამ სექტემბერში დაიწყო საცალო ტარიფის დადგენის შესახებ კვლევა, — აღნიშნა ყურაშვილმა.

მისივე თქმით, ოპერატორები ჩართულები იყვნენ კვლევის პროცესში და კომპანიას წარუდგინეს დოკუმენტაცია შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ.

— ყველა ინფორმაციის გათვალისწინებით წუთის მაქსიმალურ ღირებულებად 24 თეთრი დადგინდა, — აღნიშნა კომისიის პრესსპიკერმა.

ამ დრომდე „ჯეოსელის“ ქსელში 1 წუთის - 28,8 თეთრი, ხოლო “მაგთის„ ტარიფი 32 თეთრი იყო. მარეგულირებლის დასკვნით, „მაგთის„ ხარჯი 1 წუთის დაანგარიშებით 18,5 თეთრს შეადგენდა, ხოლო „ჯეოსელის„ - 17,1 თეთრს.

ოფიციალური მონაცემებით, მობილურმა კომპანიებმა 2010 წელს 600 მლნ ლარზე მეტის შემოსავალი მიიღეს, მათ შორის „ჯეოსელმა„ - 282 მლნ ლარი, „მაგთიმ„ - 272

მლნ ლარი, ხოლო „ბილაინმა„ - 70 მლნ ლარი.

**ინტერპრესნიუსი**

# გარდაცვლილი ახალშობილის ოჯახი გინეკოლოგს უჩივის

თბილისში დ. ქორიძის სახელობის სამშობიარო სახლის გინეკოლოგ ნინო ჭოხონელიძეს გარდაცვლილი ახალშობილის ოჯახი უჩივის..

ამის მიზეზი ოთხი დღის წინ სამშობიაროში ახალშობილის გარდაცვალების ფაქტია. ჭოხონელიძეს დაზარალებული ბოჭორიძები პაციენტების მიმართ უყურადღებობაში და დაუდევრობაში ადანაშაულებენ.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას დაზარალებული ოჯახის წევრი მარი ბოჭორიძე აღნიშნავს, მისი რძალი 33 წლის ელენე ცერცვაძე სამშობიაროში ოთხი დღის წინ, დილის 7 საათზე მიიყვანეს, იმავე დღის 23:30 წუთზე კი მათ ექიმმა განუცხადა, რომ გაურკვეველი ინფექციის გამო ახალშობილი გარდაიცვალა.

მარი ბოჭორიძე ახალშობილის გარდაცვალების მიზეზად ექიმის დაუდევრობას, გაუფრთხილებლობას და პაციენტის მიმართ უყურადღებობას ასახელებს.

ჭოხონელიძისთვის ექიმის ლიცენზიის შეჩერების მოთხოვნით დაზარალებული ბოჭორიძეები სამედიცინო საქმიანობის სახელწიფო რეგულირების სააგენტოს დღეს მიმართავენ.

აღნიშნულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

**მედიანიუსი**

# ჩეხეთის ელჩი თუშეთში იმყოფებოდა

საქართველოში ჩეხეთის სრულუფლებიანი ელჩი ივან იესტრჟაბი თუშეთში იმყოფებოდა. ელჩმა თუშეთში დამონტაჟებული მზის ბატარეები დაათვალიერა და თუშეთის მაცხოვრებლებს შეხვდა.

როგორც „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს, თუშეთის სოფლები 20 წელია ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. 2010 წელს ჩეხეთის განვითარების სააგენტომ 250 000 ლარით დააფინანსა პროექტი, რომლის ფარგლებშიც თუშეთში მცხოვრები ოჯახების ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად მზის სისტემის ბატარეები დამონტაჟდა. პროექტი ზამთრის დადგომამდე უნდა დასრულებულიყო, თუმცა ბატარეების დამონტაჟების პროცესი შეფერხდა. ამ დროისთვის სულ 62 ცალი ბატარეაა დამონტაჟებული, რომლითაც თუშეთში მუდმივად მაცხოვრებლები და მწყემსები სარგებლობენ. პროექტის თანახმად, ბატარეები უნდა დაუმონტაჟონ საოჯახო სასტუმროებსაც.

**მედიანიუსი**

# სოხუმში „აფხაზეთის ისტორიის საკითხავი წიგნი“ გამოსცეს

სოხუმში „აფხაზეთის ისტორიის საკითხავი წიგნი“ გამოსცეს. ამის შესახებ სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება. მირა ხოტელაშვილი-ინალ-იფას წიგნი აფხაზური ენის განვითარების ე.წ. სახელმწიფო ფონდმა გამოსცა. ფონდში აცხადებენ, რომ წიგნი არ არის სასწავლო სახელმძღვანელო, მაგრამ მისი გამოყენება სკოლის მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სტუდენტებსა და ლექტორებსაც შეუძლია. სააგენტოს ინფორმაციით, წიგნი სამეცნიერო ისტორიული მასალების გამოყენებით არის შედგენილი და უძველესი დროიდან 1810 წლამდე პერიოდს მოიცავს. წიგნის ავტორი მირა ზოტელაშვილი-ინალ-იფა „აფხაზეთის სახელმწიფო ეროვნული მუზეუმის“ ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების უფროსია.

**ინტერპრესნიუსი**

# შოთა კვირაიას კვირას დაკრძალავენ

საქართველოს ყოფილ შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრ შოთა კვირაიას კვირას, 16 იანვარს დაკრძალავენ,“ ამის შესახებ, „მედიანიუსს“ ოჯახის ახლობელმა აცნობა.

შოთა კვირაია მოსკოვში თირკმელის უკმარისობით გარდაიცვალა. იგი თბილისში გუშინ ჩამოასვენეს.

კვირაია საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრად ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს დაინიშნა. იგი თანამდებობიდან სატელეფონო მოსმენების გამო გაათავისუფლეს. თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ შოთა კვირაია მოსკოვში ცხოვრობდა.

**მედიანიუსი**

# პარლამენტთან დევნილთა მორიგი საპროტესტო აქცია გაიმართება



„კონსერვატიული პარტიისა“ და „ხალხის პარტიის“ ორგანიზებით, დღეს პარლამენტის შენობასთან დევნილების მორიგი საპროტესტო აქცია გაიმართება.

ამის შესახებ განცხადება „კონსერვატიული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლაშა ჩხარტიშვილმა გუშინ, დევნილთა სამინისტროსთან გამართულ აქცია-ბრიფინგზე გააკეთა.

ჩხარტიშვილის განცხადებით, ხვალინდელ საპროტესტო აქციაზე, რომელშიც სხვადასხვა კატეგორიის დევნილები მიიღებენ მონაწილეობას, იქნება ძირითადად 2 მოთხოვნა, რომ შეწყდეს დევნილთა გამოსახლების პროცესი და უკვე გამოსახლებული დევნილები დაკმაყოფილდნენ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით თბილისში.

გარდა ამისა, როგორც „კონსერვატიული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, ხვალინდელი საპროტესტო აქციის გარდა, უახლოეს დღეებში დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის ეგიდით იგეგმება კონფერენციის მოწვევა, რომელშიც მონაწილეობას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც მიიღებენ.

**ინტერპრესნიუსი**

# მსჯავრდებულებს დაწესებულების მოსამსახურეებთან მხოლოდ „თქვენობით“ მოუწევთ საუბარი

ადმინისტრაციული პატიმრობისას მსჯავრდებულებს დაწესებულების მოსამსახურეებთან მხოლოდ „თქვენობით“ მოუწევთ საუბარი.

მსჯავრდებულის ვალდებულებები სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა.

ბრძანების თანახმად, მსჯავრდებული ვალდებულია შეასრულოს დაწესებულების ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნები; დაიცვას საკნისა და პირადი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები; დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები; გაუფრთხილდეს დაწესებულების ქონებას; დაასუფთაოს სპეციალური საკანი რიგითობის დაცვით; არ განახორციელოს დაწესებულების მოსამსახურეთა და სხვა პირთა ღირსების დამამცირებელი მოქმედებები; არ გაუწიოს წინააღმდეგობა დაწესებულების მოსამსახურეებსა და სხვა პირებს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებისას; არ ჩაიდინოს ქმედებები, რომელიც ემუქრება მისი ან სხვა პირების სიცოცხლეს ან?და ჯანმრთელობას; ზრდილობიანად მოეპყროს დაწესებულების მოსამსახურეებსა და სხვა პირებს; დაწესებულების მოსამსახურეს მიმართოს „თქვენობითი“ ფორმით; შეასრულოს მასზე დაკისრებული სხვა მოვალეობები.

ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მსჯავრდებულს ან საყვედურს გამოუცხადებენ და ან ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლებას შეუზღუდავენ. ასევე, შესაძლოა, პირი ათ დღემდე ვადით სამარტოო საკანშიც გადაიყვანონ.

**ინტერპრესნიუსი**

# საგარეო საქმეთა სამინისტრო სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოეხმაურა

საგარეო საქმეთა სამინისტრო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოეხმაურა.

საგარეო უწყების შეფასებით, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი განაცხადები ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 10 იანვარს გამოაქვეყნა ინფორმაცია საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებული 1,549 განაცხადის დაუშვებლად გამოცხადების შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც სასამართლოს მხრიდან არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, განმცხადებლებისა და მათი ადვოკატების მიერ არ მოხდა სასამართლოსთვის საპასუხო პოზიციის წარდგენა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული განაცხადები განსახილველ საქმეთა სიიდან ამოიღეს.

განმცხადებლები, რომელთა ინტერესებსაც წარმოადგენდნენ რუსი ადვოკატები, ასაჩივრებდნენ მათ მიმართ ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებების უფლება), მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლებისა და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების უფლება) დარღვევას 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს.

**ინტერპრესნიუსი**

# 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

ეკა ირემაშვილი

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა. მას დაარსებიდან 161 წელი უსრულდება. ამ დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართება, რომელიც ასევე იუბილარია და დაარსებიდან 150 წლის იუბილეს ზეიმობს. იუბილარია თეატრალური საზოგადოებაც, მას დაარსებიდან 130 წელი შეუსრულდა, ამიტომ 14 იანვარს თეატრალები — მსახიობები, რეჟისორები, თეატრმცოდნეები და კულტურის ამ ჟანრის მოყვარულები ქუთაისში გაემგზავრებიან, სადაც დაჯილდოების ტრადიციული საზეიმო ცერემონიალი გაიმართება. თეატრალური საზოგადოება გამორჩეული მიღწევების მქონე თეატრის მოღვაწეებს კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის სახელობის ყოველწლიური პრემიებით დააჯილდოვებს. 14 იანვარს ქუთაისში იმ ადამიანებსაც დააჯილდოვებენ, რომლებიც ქართულ თეატრში აქტიურად მოღვაწეობდნენ. ამ დღეს ქუთაისში ასევე თეატრის მოღვაწეთა კავშირის 130 წლისთავსაც აღნიშნავენ. ღონისძიება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიის, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის, ქალაქ ქუთაისის მერიისა და ქალაქ ქუთაისის საკრებულოს მხარდაჭერით ჩატარდება.

საქართველოში ოდითგანვე არსებობდა მდიდარი თეატრალური კულტურა, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ნივთები. ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ვერცხლის თასზე გამოსახულია ნიღბოსანთა ფერხული, კოლხურ მონეტებსა და ქართლის მონეტებზე კი — მოცეკვავე ხარის ნიღბით. მსგავსი გამოსახულებები გვხვდება მინიატურებზე, ხელნაწერებში, ჭედური ხელოვნების ნიმუშებზე. უძველესი თეატრალური სანახაობის არსებობას ადასტურებს ქართული ხალხური პოეზია და მხატვრული ლიტერატურაც. ქართული თეატრის ფესვები ძალზე შორეულია და მისი საწყისები დაკავშირებულია მოსავლის აღების რიტუალურ დღესასწაულებთან. კოლხეთის სამეფოში, ქუთაისის მახლობლად, აშენებული იყო არენა, სადაც ეწყობოდა სპორტული შეჯიბრებები და სხვა სანახაობები. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობით, კოლხურ ქალაქ აფსარუში იყო თეატრის შენობა და იპოდრომი. ქართლში კლდეში გამოკვეთილ უძველეს ქალაქ უფლისციხეშიც ყოფილა სცენა, მუსიკოსთათვის განკუთვნილი ადგილი და მაყურებელთა დარბაზი. ვანში აღმოაჩინეს ანტიკური ხანის თეატრალური ნიღაბი, რომლის ერთი მხარე სიცილის გამომხატველია, მეორე კი — სერიოზული გამომეტყველებისა. ნიღბების მსგავსება ძველ ბერძნულ და ძველ რომაულ ნიღბებთან მოწმობს, რომ საქართველოში იცნობდნენ ანტიკურ თეატრალურ სანახაობათა კულტურას.

თბილისში არსებობდა თეატრონი, სადაც ასრულებდნენ „რუსთაველისა და თეიმურაზის გაბაასებას“. ძველ ქართულ ხალხურ სანახაობათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნიღბოსანთა თეატრი — ბერიკაობა. ბერიკები თაობათა მიერ დამუშავებული და თაობიდან თაობაზე გადაცემული სცენარების მიხედვით ქმნიდნენ „სპექტაკლებს“, თუმცა მთელ რიგ სცენებს უშუალოდ სპექტაკლის მსვლელობისას თხზავდნენ. ბერიკაობის სათავედ ბუნების განახლებისა და განაყოფიერების საკულტო წეს-ჩვეულებაა მიჩნეული, ამიტომ ის საქართველოს ყველა კუთხეში გაზაფხულის დღესასწაულს უკავშირდებოდა. ბერიკაობა სოფლის მოვლით, კარდაკარ ჩამოვლით, ეზოში ან სახლის წინ სრულდებოდა, თუმცა მაყურებელი ხშირად საგანგებოდ მოწყობილ მოედნებსა და სათამაშო ადგილებზეც იყრიდა თავს. ბერიკებისათვის მეფე ერეკლეს სასახლეში საგანგებო „საოხუნჯო დარბაზიც“ კი ყოფილა გამოყოფილი. ბერიკაობაში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ. ბერიკებს თავისი მეთაური ბერიკათწინამძღვარი ჰყავდა. ბერიკათა გუნდს დასი ან დასტა ეწოდებოდა. დასში შედიოდა ტახის, დათვის, თხის, მგლის, მეფის, მოსამართლის, ექიმის, მღვდლის, ბატონის, ვაჭრისა და სხვათა ნიღბები. აკრეფილი გასამრჯელოს შესაგროვებლად დასს ჰყავდა მებარგულეები, რომლებიც სახედრებით, ცხენებით, ურმებით დაჰყვებოდნენ უკან. საკრავებიდან ბერიკები იყენებდნენ სტვირს, ზურნას, ჩონგურს, დაირას. სასიმღერო რეპერტუარს ბერიკაული ეწოდებოდა.

არსებობდა ხალხური თეატრის კიდევ ერთი სახეობა — ყეენობა. ეს იყო დიდი სახალხო სანახაობა, საკარნავალო დღესასწაული, რომელიც ასახავდა ქართველი ხალხის ბრძოლას უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ყეენობაში მონაწილეობას მთელი ხალხი იღებდა. ყეენობა შეიცავდა ყეენის მოკაზმვის, ქალაქისა თუ სოფლის დარბევის, სასამართლოს, მეფესა და ყეენს შორის ატეხილი ბრძოლის, დამარცხებული ყეენის მდინარეში გადაგდების სცენებსა და ორ საზეიმო მსვლელობას. ყეენობის მონაწილეები იყენებდნენ გრიმებს, ანუ სახეს იცვლიდნენ მოხატვით, წვერ-ულვაშის მიწებებით. მაყურებელს ყეენისათვის გასამრჯელო უნდა მიეცა, რითაც შემდეგ ხარჯებს ფარავდნენ, დარჩენილი თანხით კი ქეიფს მართავდნენ. ამ ფულით ეხმარებოდნენ ასევე ავადმყოფებს, გაჭირვებულებსა და უმზითვო ქალებს.

შუა საუკუნეებში გაჩნდა სახალხო თეატრიც, რომელსაც „სახიობა“ ეწოდებოდა. თეატრში მაყურებელს სთავაზობდნენ ცხოვრებისეულ სიუჟეტებს, პატრიოტულ სცენებს. ამ თეატრის მსახიობები მოცეკვავეები და მომღერლებიც იყვნენ. ისინი იყენებდნენ ნიღბებს. სახიობის თეატრს სათავეში ედგა დავით მაჩაბელი, ამავე დასში იყო საიათნოვაც. XVII საუკუნეში აღორძინდა სასკოლო-საეკლესიო თეატრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა თელავის სემინარიის ლექტორი დავით ალექსი-მესხიშვილი. სასკოლო თეატრში კითხულობდნენ ლექსებს, დგამდნენ სხვადასხვა ნაწარმოებებს. ასეთი თეატრი სასულიერო სასწავლებლებთან არსებობდა. მათთვის იწერებოდა საგანგებო, რელიგიური შინაარსის სასკოლო დრამები. XVIII საუკუნეში ერეკლე მეორის კარზე შეიქმნა საერო თეატრი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გიორგი ავალიშვილი. თეატრის დასი წარჩინებული, განათლებული, წიგნიერი ადამიანებისაგან შედგებოდა. გიორგი ავალიშვილს თეატრი თავისებურ სკოლად მიაჩნდა, იგი მაყურებლის ზნეობრივ განწმენდას ისახავდა მიზნად, ამიტომ სცენაზე ქვეყნისა და ერისათვის თავდადებულ ადამიანებს წარმოაჩენდა.

ქართული თეატრალური ტრადიციების მიუხედავად, საქართველოში არ არსებობდა მუდმივმოქმედი თეატრალური დასი. ქართული საზოგადოების თავშეყრის ადგილები იყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, ოჯახური წარმოდგენები, შეკრება-საღამოები. ლიტერატურულ სალონთა შორის ცნობილი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის, მამია გურიელის, მელიტონ ბარათაშვილის, მანანა ორბელიანის ლიტერატურული სალონები. ნიადაგი მუდმივმოქმედი თეატრალური დასისათვის უკვე შემზადებული იყო. ამ დროისათვის არსებობდა ოცზე მეტი, როგორც ქართული, ისე ნათარგმნი პიესა.



1850 წელს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დახმარებით მსახიობმა გიორგი ერისთავმა დააარსა ქართული თეატრი. პირველი წარმოდგენა — გიორგი ერისთავის „გაყრა“ თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში გაიმართა 14 იანვარს, ამიტომ ეს დღე ქართული თეატრის დღედ არის მიჩნეული. გიორგი ერისთავის თეატრმა მხოლოდ ექვს წელს იარსება, მაგრამ მან უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებასა და მშობლიური ენის შენარჩუნებაში.

ქართული პროფესიული თეატრი თბილისში აღდგა 1879 წელს და მალე მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ შესანიშნავი მსახიობები უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველ რეჟისორთა სახელები, რომელთა წყალობითაც გაიფურჩქნა ქართული თეატრი — კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი.

ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებიდან ფიქრობდნენ საბავშვო თეატრის შექმნას. დავით შალიკაშვილის სახლში დაიდგა ორი წარმოდგენა ბავშვებისათვის. მიუხედავად მცდელობისა, საბავშვო თეატრი 1928 წლამდე ვერ გაიხსნა. 16 დეკემბერს კი თბილისის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო ქართულმა თეატრმა პირველი მაყურებელი მიიღო. საბავშვო თეატრის წინა საფეხურად სასკოლო თეატრი მიიჩნევა.

წლევანდელი ქართული თეატრის დღის აღნიშვნამდე საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გასული სეზონი შეაჯამა. დასკვნითი შეკრება რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენის დარბაზში გაიმართა. თეატრალები გამოემხაურნენ ევროპელი მოღვაწეების შეფასებას იმის შესახებ, რომ ქართული თეატრალური სამყარო ევროპულ სივრცეს ჩამორჩა.

თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის გოგი ქავთარაძის შეფასებით, თეატრალურ სფეროში ბოლო დროს დილეტანტიზმმა იჩინა თავი. თეატრალებმა ძირითად პრობლემად ის დაასახელეს, რომ არაერთი თხოვნის მიუხედავად, ამ დრომდე ვერ მოხერხდა თეატრის მმართველთა შეკრება და საერთო პრობლემების განხილვა. შეკრებაზე დასახელდა წლის ყველაზე საუკეთესო რეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი, რომლებიც 14 იანვარს ქუთაისში საზეიმო ცერემონიაზე დაჯილდოვდებიან. განხილული იყო ქართული თეატრის 130 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო საღამოს შესახებ. გადაწყდა, რომ ქართული თეატრის 130 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო საღამო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში 14 იანვარს გაიმართება და ღონისძიება სპექტაკლის „გაყრა“ საიუბილეო თარიღს მიეძღვნება.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს სხვადასხვა თეატრებიდან სამხატვრო ხელმძღვანელების გათავისუფლებაზე. რუსთავის თეატრში არსებულ პრობლემებზე რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ ისაუბრა. სწორედ თეატრალური საზოგადოების შემაჯამებელ შეხვედრაზე გახდა ცნობილი, რომ თეატრალური საზოგადოება ქართული თეატრის იუბილეს ქუთაისში აღნიშნავს.

**გოგი ქავთარაძე, რეჟისორი, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე:**

— ამ დღეს, ქუთაისის თეატრის დაარსებიდან 150 წლისთავი და თეატრალური საზოგადოების შექმნიდან 130 წლისთავი აღინიშნება, ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ საზეიმო ღონისძიება სწორედ ქუთაისში გავმართოთ.

***— გასული წლით კმაყოფილი ხართ?***

— ხელოვანი არასოდეს არ არის საკუთარი თავით კმაყოფილი, ამიტომ ჩვენც გვინდა, რაც შეიძლება მეტი ვიშრომოთ და საზოგადოება თეატრისკენ შემოვაბრუნოთ. გვინდა, ქართველმა საზოგადოებამ თეატრში კიდევ უფრო აქტიურად იაროს.



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.



## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● მამაკაცებისთვის!იმპოტენციის,პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგანსწრაფიგანთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

**ნათელმხილველი მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბაჰაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით.**
**მის: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**


# საჯარო მოხელეები სამუშაო საათებში „ოდნოკლასნიკებში“ ერთობიან

კახეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში და სხვა სახელმწიფო სამსახურებში დასაქმებული პირები, მათ შორის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებიც სამუშაო საათებში ოდნოკლასნიკებში„ ერთობიან, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

წყაროს ცნობით, შოთა უტიაშვილი — გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი; ლევან ახალაური - სოციალური მომსახურების სააგენტოს კახეთის საკოორდინაციო ცენტრის უფროსი; ზაზა ფიროსმანაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით გოგებაშვილი - გურჯაანის საკრებულოს აპარატის უფროსი; ზაქრო იაგანაშვილი - გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; ვასიკო უტიაშვილი - გურჯაანის გამგეობის აპარატის უფროსი; ნინო კოშაძე - გურჯაანის გამგეობლის პრესმდივანი; გელა გოგიაშვილი - გურჯაანის გამგეობის საფინანსო განყოფილების წამყვანი სპეციალისტი; ნიკა ნიჟარაძე - გურჯაანის გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსი, ეს იმ ჩინოვნიკების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც კახეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტმა ბოლო ორი დღის განმავლობაში, სამუშაო საათებში, ოდნოკლასნიკებში„ არაერთხელ დააფიქსირა.

— „ოდნოკლასნიკებში“ იშვიათად შევდივარ, ისიც მაშინ, როცა ვინმეს დაბადების დღე უნდა მივულოცო. ფეისბუკში„ გადავედი. რაც შეეხება ჩემი თანამშრომლების „ოდნოკლასნიკებში“ ყოფნას, ეგ არ ვიცი, მაგრამ მოვიკითხავ და აღვკვეთავ, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაქარია იაგანაშვილმა.

მედიანიუსი

# უკრაინის რადამ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე კანონი მიიღო

უკრაინის უმაღლესმა რადამ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე კანონი მიიღო. ინფორმაციას ამის შესახებ „გაზეტა.რუ“ ავრცელებს.

ახალი კანონის თანახმად, გაცილებით გამარტივებულია ინფორმაციის მიღება ხელისუფლების სხვადასხვა შტოდან. სიახლე ეხება ხელისუფლების წარმომადგენლების ბიზნესსაც და საკუთრებასაც. კანონპროექტს მხარი 408 დეპუტატმა დაუჭირა.

ინტერპრესნიუსი

# იგორ ბელანოვის ფავორიტები ინიესტა და გვარდიოლა იყვნენ

**ვინც ყოფილ საბჭოთა ფეხბურთს თვალს ადევნებდა, მათთვის იგორ ბელანოვის სახელი უცხო არ უნდა იყოს. კიევის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების თავდამსხმელმა 1886 წელს პრესტიჟული ტიტული, „ოქროს ბურთი" მოიპოვა.**

**ბელანოვს „ოქროს ბურთის" ბოლო დაჯილდოების შესახებ უკრაინელი ჟურნალისტები ესაუბრნენ.**

— *ვის ფიქრობდით „ოქროს ბურთის" რეალურ კანდიდატად?*

— ვფიქრობდი, რომ „ოქროს ბურთს" ანდრეს ინიესტა აიღებდა. საერთოდ კი, პრიზს სამივე მათგანში გავანაწილებდი. ზუსტად ისე, როგორც 1986 წელს — მაშინ „ოქროს ბურთი" ალექსანდრ ზავაროვსას ეკუთვნოდა, მაგრამ მარტო მე მხვდა. მითხრეს, რომ დაჯილდოვებაზე მესი სცენაზე გაოგნებული ასულა, რადგან არ ელოდა ამ ჯილდოს. თუმცა, არ მინდა დავიჯერო, რომ არ იცოდა — მე ჯერ კიდევ თვე-ნახევრით ადრე ვიცოდი, რომ ჯილდოს მფლობელი გავხდებოდი. ერთსაც აღვნიშნავ — მთლიანი გუნდის გარეშე არც მე, არც ბლოხინი, არც შევჩენკო და არც მესი არაფერს წარმოვადგენთ.

— *ახლა სად არის თქვენი „ოქროს ბურთი"?*

— ოდესის მერს, ალექსი კოსტუსევს უდევს კაბინეტში. ის ჩემი მეგობარია და მთელი ცხოვრებაა ერთად მოვდივართ. მან მითხრა, რომ ჩემს ქალაქს შემიძლია სარგებელი მოვუტანე (ბელანოვი ოდესის სპორტის მმართველად დანიშნეს). წინა ხელმძღვანელობა... მათ დატოვეს ოდესა ევრო-2012-ის გარეშე. როდესაც „ოქროს ბურთი" მჭირდება, ვიღებ და მიმაქვს, სადაც საჭიროა, ისე კი მუდმივად მის კაბინეტშია, რადგან ის ოდესის სიამაყეა. გეტყვით იმასაც, რომ მის გვერდით ჩემივე „ბრილიანტის ვარსკვლავი" დევს.

— *როგორ ცხოვრობს თქვენი პრიზი?*

— ბუდე უკვე ცოტა შელახულია, ახლის შეკერვას საჭიროებს. ბურთს კი არაფერი სჭირს, რადგან მაგით არ ვთამაშობთ. იქ არის ადამიანიც, რომელიც ყოველდღე წმენს. ის ხომ სუფთა ოქროა. მხოლოდ ის ქვა შეასწორეს ოდნავ, რომელზეც ბურთი დევს.

— *თქვენი აზრით, მესი რატომ გახდა პირველი ნომერი?*

— მისი თამაშის ნახვა ყველას უხარია — ის ღმრთისგან დაჯილდოვებული ფეხბურთელია. მე პირადად ვიცნობ მწვრთნელს, რომელმაც ლეო აღზარდა. ის ჩემი მეგობარია და ერთად ვიმგზავრეთ ალიკანტეში. მან საოცარი რაღაც მითხრა — მესი ძალიან პატარა, გამხდარი ყოფილა. საერთოდ არ ჰგავდა ფეხბურთელს, მაგრამ მასში ტალანტი შეუმჩნევიათ. მისი მარცხენა ფეხი ისე მუშაობდა, როგორც მარადონასი. გაიზარდა და არანორმალური სიძლიერის ფეხბურთელი გახდა. ტალანტის გარდა თავხედობაც ჰყოფნის — არ ეშინია მეტოქეზე პირდაპირ წასვლა და ამას თავაწეული აკეთებს. არ ივიწყებს თანაგუნდელებს და შეუძლია მათთან ურთიერთგაგება. ამასთან მის გვერდით ხავი და ინიესტაა — ეს სამი, ერთი მთლიანია.

— *რატომ ფიქრობდით, რომ „ოქროს ბურთს" ინიესტას მისცემდნენ?*

— იმიტომ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გადამწყვეტი გოლი გაიტანა. და საერთოდ, მისი თამაშიდან გამომდინარე. ვხედავ ეს ფეხბურთელი როგორ იხსნება მატჩის მსვლელობისას, როგორ აკეთებს ცრუ მანევრებს. ისიც ყოველთვის თავაწეული თამაშობს და სითავხედე არც მას აკლია. ფენომენალური ტექნიკის პატრონია. გეტყვით სიმართლეს, პრიზს მაინ მას მივცემდი და არა მესის. ინიესტა საუკეთესო იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე. მუნდიალის ფინალი მოსკოვში, გიორგი ჩერდანცევთან ერთად მიმყავდა. ის ჰოლანდიელების მხარეს იყო, მე — ესპანელების. იქვე იყვნენ ორივე გუნდის ფანები. მაშინ ვთქვი: ნახეთ, თუ გადამწყვეტი გოლი ინიესტამ არ გაიტანოს. ყველამ გაიცინა. თამაშის გამომდინარეობიდან ჩანდა, რომ გაიტანდა, მე კი, გოლის გრძნობა მაქვს. ასეც მოხდა. შემდეგ ჩერდანცევს მივუბრუნდი და ვუთხარი — გეუბნებოდი?

— *ვინ აიღებს „ოქროს ბურთს" 2011 წელს?*

— ამის გამოცნობას არ შევუდგები. ერთია, კატალონიელებს უკვე გაუჭირდებათ. მათ ხომ მოტივაცია აღარ დარჩათ — უკვე ყველაფერს მიაღწიეს. ძალიან მინდა უკრაინელი გახდეს, მაგრამ როდესაც ანდრეი შევჩენკო ყველაზე უხუცესი და თან ყველაზე უკეთესია, ამის გაკეთება შეუძლებელია. მარტო ოცნება საკმარისი არ არის, მუშაობაც საჭიროა. ეს არის ჩემი რჩევა ახალგაზრდა ფეხბურთელების მიმართ, მწვრთნელებს კი ვთხოვდი, ენდონ მათ.

— *წლის საუკეთესო მწვრთნელად ჟოზე მოურინიო დაასახელს, რომელსაც უკან ვისენტე დელ ბოსკე და პეპ გვარდიოლა მიჰყვნენ.*

— მე პირველ ადგილზე გვარდიოლას დავაყენებდი. ახალგაზრდა მწვრთნელია და რა ვარსკვლავები შეკრიბა. „ბარსა" ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობს. მიუხედავად მოურინიოსა და დელ ბოსკეს პატივისცემისა, ისინი გამზადებულ გუნდებში მივიდნენ. ამასთან, მათზე უკვე ათეული წლებია ბევრს საუბრობენ. მე ახალგაზრდის მხარეს ვარ.

## შედეგები

**აზიის თასი**

უზბეკეთი-კუვეიტი ........ 2:1
ყატარი-ჩინეთი ........ 2:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბლექპული-ლივერპული ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 20 | 12 | 8 | 0 | 43-19 | 44 |
| 2.სიტი | 22 | 12 | 6 | 4 | 33-16 | 42 |
| 3.არსენალი | 21 | 12 | 4 | 5 | 42-22 | 40 |
| 4.ტოტენჰემი | 21 | 10 | 6 | 5 | 31-25 | 36 |
| 5.ჩელსი | 21 | 10 | 5 | 6 | 36-19 | 35 |
| 6.სანდერლენ. | 22 | 8 | 9 | 5 | 25-22 | 33 |
| 7.ბოლტონი | 22 | 7 | 9 | 6 | 34-29 | 30 |
| 8.ნიუკასლი | 21 | 8 | 4 | 9 | 32-31 | 28 |
| 9.ბლექპული | 20 | 8 | 4 | 8 | 29-33 | 28 |
| 10.ბლექბერნი | 22 | 8 | 4 | 10 | 29-35 | 28 |
| 11.სტოკი | 21 | 8 | 3 | 10 | 26-26 | 27 |
| 12.ევერტონი | 21 | 5 | 10 | 6 | 23-25 | 25 |
| 13.ლივერპ. | 21 | 7 | 4 | 10 | 25-29 | 25 |
| 14.ფულემი | 21 | 4 | 10 | 7 | 22-24 | 22 |
| 15.ბირმინგ. | 20 | 4 | 10 | 6 | 20-25 | 22 |
| 16.ვ.ბრომვიჩი | 21 | 6 | 4 | 13 | 26-39 | 22 |
| 17.ვულვზი | 21 | 6 | 3 | 12 | 21-35 | 21 |
| 18.ა. ვილა | 21 | 5 | 6 | 10 | 23-38 | 21 |
| 19.ვესტჰემი | 22 | 4 | 8 | 10 | 22-38 | 20 |
| 20.უიგანი | 20 | 4 | 8 | 8 | 17-32 | 20 |

**ინგლისი. ლიგის თასი**

იფსვიჩი-არსენალი ........ 1:0

**იტალია. თასი**

პალერმო-კიევო ........ 1:0
ინტერი-ჯენოა ........ 3:2

**ესპანეთი. თასი**

ვილიარეალი-სევილია ........ 3:3
ბარსელონა-ბეტისი ........ 5:0

**პორტუგალია. თასი**

პორტუ-პინჰალნოვენსე ........ 2:0
ბენფიკა-ოლჰანენსე ........ 5:0
აკადემიკა-უნიაო ........ 3:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-სელტიკი ........ 1:1
დანდი-მოზერველი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 20 | 14 | 4 | 2 | 42:14 | 46 |
| 2.რეინჯერსი | 17 | 13 | 2 | 2 | 39:19 | 41 |
| 3.ჰართსი | 19 | 12 | 3 | 4 | 33:15 | 39 |
| 4.კილმანროკი | 19 | 9 | 3 | 7 | 32:21 | 30 |
| 5.ინვერნესი | 20 | 7 | 6 | 7 | 30:26 | 27 |
| 6.მოზერველი | 19 | 7 | 3 | 9 | 24:25 | 24 |
| 7.დანდი | 16 | 6 | 6 | 5 | 20:23 | 24 |
| 8.სტ.ჯონსონი | 18 | 6 | 3 | 9 | 13:25 | 21 |
| 9.აბერდინი | 19 | 5 | 2 | 12 | 19:38 | 17 |
| 10.ჰიბერნიანი | 19 | 4 | 4 | 11 | 21:32 | 16 |
| 11.სტ.მირენი | 19 | 4 | 4 | 11 | 17:33 | 16 |
| 12.ჰამილტონი | 18 | 2 | 6 | 10 | 12:31 | 12 |

**საბერძნეთი. თასი**

დიაგორასი-ეთნიკოსი ........ 1:0
კერკირა-ირაკლისი ........ 0:0(5:3პ)
ტორონტო-ატლანტა ........ 101:104

**ზაზა ფაჩულია: 1 ქულა, 6 მოხსნა**

ინდიანა-დალასი ........ 102:89
შარლოტი-ჩიკაგო ........ 96:91
ბოსტონი-საკრამენტო ........ 119:95
დეტროიტი-მემფისი ........ 99:107
მილუოკი-სან ანტონიო ........ 84:91
ნიუ ორლეანი-ორლანდო ........ 92:89(ოტ)
ჰიუსტონი-ოკლაჰომა ........ 112:118
ფინიქსი-ნიუ ჯერსი ........ 118:109(ოტ)
იუტა-ნიუ იორკი ........ 131:125
გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი ........ 110:115
კლიპერსი-მაიამი ........ 111:105

**ჩოგბურთი**

**ატპ. სიდნეი. ჰარდი**

სიმონი-დოლგოპოლოვი ........ 6:4;6:3
გულბისი-სტახოვსკი ........ 6:4;6;4
ტროიცკი-გასკე ........ 6:4;6:4
მაიერი-სტარაჩე ........ 6:4;6:1

**ვტა. სიდნეი. ჰარდი**

ლი-იოვანოვსკი ........ 7:6;6:3
კლაისტერსი-კლეიბანოვა ........ 4:6;6:3;7:6

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

მონრეალი-პიტსბურგი ........ 2:5
ტამპა ბეი-ვაშინგტონი ........ 3:0
ჩიკაგო-კოლორადო ........ 4:0
ანაჰაიმი-სენტ ლუისი ........ 7:4

# ლევან ყენიასთვის გასული წელი მძიმე იყო

**საქართველოს ნაკრების 20 წლის ფეხბურთელი ლევან ყენია 2007-08 წლის სეზონში გელზენკირხენის „შალკეს" შემადგენლობაში, როგორც ევროპული ფეხბურთის უდიდესი ტალანტი ისე გადავიდა. თუმცა, ჩვენებურს არ გაუმართლა — ჯერ იყო და ასაკის გამო მეორე გუნდში უწევდა თამაში, ხოლო როგორც კი ძირითად შემადგენლობას გაუშინაურდა, ტრავმა მიიღო და თითქმის 15 თვის მანძილზე იუქმა.**



ყენია დეკემბერში დაუბრუნდა ვარჯიშებს და სათასო მატჩისთვის მისი განაცხადშიც შეყვანაც დააპირეს, მაგრამ „ხუმარების" მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა მისი მოედანზე გაყვანა არ გარისკა. როგორც ჩანს, მართალიც იყო. ლევანს საქმე სახუმროდ მართლა არ აქვს, ჩვენებურმა ვარჯიშზე ისევ იტკინა ფეხი და ინდივიდუალურად ვარჯიშობდა. ამის მიუხედავად, არ არის გამორიცხული, ყენიამ 15 იანვარს „ჰამბურგის" წინააღმდეგ ითამაშოს. არადა, გერმანიის ბუნდესლიგაში ბოლო მატჩი სწორედ ამ გუნდის წინააღმდეგ გამართა და მათთან დაბრუნება სასიამოვნო იქნებოდა. ერთია, თავად ფეხბურთელი ჯერ ვერ ამბობს, თუ როდის დაუბრუნდება მოედანს.

ყენიასთან ინტერვიუ ჟურნალ „შალკეში" ხვალ გამოქვეყნდება, თუმცა, მანამდე კლუბის ვებგვერდზე მისი ნაწყვეტი დაიდო, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

— *გასულ თვეში თქვენ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ „შალკეს" ვარჯიშებზე დაბრუნება აღნიშნეთ. რამდენად სასიამოვნო გრძნობა იყო, როდესაც პარტნიორებს მოედანზე შეურთდით?*

— შესანიშნავი გრძნობა იყო. როდესაც ფეხბურთელი იქ არ არის, სადაც მას გული მიუწევს, ყველაზე დიდი ტკივილია მის ცხოვრებაში. როდესაც ბურთს ფეხს ვერ ვურტყამ, ჩემთვის მსოფლიო ინგრევა. მას შემდეგ, რაც აზროვნება დავიწყე, ყოველთვის მინდოდა ფეხბურთის თამაში. აქედან გამომდინარე, გასული წელი ჩემთვის ძალიან მძიმე იყო.

— *გუნდი შეკრებაზე თურქეთის ქალაქ ბელეკშია, სადაც მორიგი უსიამოვნება შეგემთხვათ და ვარჯიში ინდივიდუალურად გიწევთ. კონკრეტულად რა მოხდა?*

— ფეხი ისევ ამტკივდა. ეს ძალიან მძიმეა, მაგრამ მე არ მინდა ისინი გაჩერდნენ. დარმუნებული ვარ, მალე ისევ ფორმაში ვიქნები. თანაგუნდელებთან ერთად ვხურდები და ისინიც მეხმარებიან, ძალებს მმატებენ. მართალია, დიდი ხნის მანძილზე არ მითამაშია, მაგრამ გუნდის ნაწილად ვითვლები. სიმართლე გითხრათ, ეს ცოტას მამშვიდებს.

— *მერამდენედ აღიდგენთ ფორმას?*

— მეექვსე თუ მეშვიდეჯერ მიწევს ფორმის აღდგენა. სხვებისთვის ეს ერთხელაც ჭირს, მე კი მხოლოდ 20 წლის ვარ. თუმცა, ვცდილობ ვაჟკაცურად შევხვდე ყველაფერს.

— *ძალების გამონახვაში ვინ უფრო მეტ მოტივაციას გაძლევთ, სამწვრთნელო შტაბი თუ ფეხბურთელები?*

— ჩემი მშობლები. ისინი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები არიან ჩემს ცხოვრებაში. მათთვისაც ერთადერთი შვილი ვარ. მე ძალიან ვაფასებ ჩემს მშობლებს და მათი სახელები ჩემს ხელებზეა ტატუირებული. ცალ ხელზე ნინო, მაწერია, მეორეზე — გოჩა. ისინი ყოველთვის მმატებენ ძალებს.

# თასისა და მემორიალის კენჭისყრა ჩატარდა

საკალათბურთო სეზონის განახლებამდე მცირე დრო დარჩა. სანამ გუნდები ეროვნულ ჩემპიონატში ჩაებმებიან, მანამდე 2 ტურნირზე ითამაშებენ. პირველი მათგანი ქორქია-საკანდელიძის მემორიალი იქნება, მეორე — საქართველოს თასი.

ორივე ტურნირის კენჭისყრა სპორტის სასახლეში გაიმართა. სანამ უშუალოდ დადგინდებოდა კალენდარი, მანამდე სუპერლიგის დირექტორმა გიორგი ზაბახიძემ მოკლედ მიმოიხილა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე, გუნდებს, მათ მწვრთნელებსა და ხელმძღვანელებს თანამშრომლობისაკენ მოუწოდა და მომავალში წარმატებები უსურვა.

იქვე მოეწყო კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარის, გია მიქაძის მიერ საკუთარი რედაქციით გამოშვებული წიგნების პრეზენტაცია — „კალათბურთის ოფიციალური წესები" და „სახელმძღვანელო მსაჯ-კომისრებისთვის".

უშუალოდ კენჭისყრას კი კალათბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე როლანდ ხომერიკი და სუპერლიგის დირექტორის მოადგილე პაატა ლობჟანიძე გაუძღვნენ.

ქორქია-საკანდალიძის მემორიალში თამაშზე საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე 11 გუნდიდან, უარი 3-მმა მათგანმა განაცხადა — „არმია", „ბათუმი", „ქუთაისი". ამ სამეულიდან გასაკვირი ქუთაისელთა უარი იყო, რადგან ორივე სახელოვანი კალათბურთელი სწორედ რინისპირა ქალაქშია გაზრდილი და სხვა თუ არაფერი, მათგან დაფასება ნამდვილად ეკუთვნოდათ. რა მიზეზიც არ უნდა იყოს, ქუთაისელთა უარი ნამდვილად საწყენი ფაქტია.

დარჩენილ 8 გუნდში კენჭისყრის გამართვა არ გაჭირვებულა. გუნდები მიმდინარე ჩემპიონატში დაკავებული ადგილების მიხედვით განლაგდნენ და 4 მათგანი განთესილი იყო. თუმცა, 2 განთესილ გუნდს მაინც მოუწევს ერთად თამაში, რადგან 8 მონაწილე 2 ჯგუფად გადანაწილდა. ჯგუფიდან კი მხოლოდ გამარჯვებული გუნდები გადიან, რომლებიც პირდაპირ ფინალს ითამაშებენ.

**„ა" ჯგუფი:** შსს, თსუ, სსაუ, თსსუ

**„ბ" ჯგუფი:** „ენერჯი-ინვესტი", „სოხუმი", სტუ, „დინამო"

მატჩების განრიგი კი ასეთია:

**18 იანვარი:** შსს-სსაუ; თსუ-თსსუ; ენერჯი-დინამო; სოხუმი-სტუ;

**20 იანვარი:** შსს-თსსუ; სსაუ-თსუ; ენერჯი-სტუ; დინამო-სოხუმი;

**21 იანვარი:** სსაუ-თსსუ; დინამო-სტუ; ენერჯი-სოხუმი; შსს-თსუ

ფინალი 23 იანვარს გაიმართება და ყველა ამ მატჩს რუსთავი უმასპინძლებს.

რაც შეეხება საქართველოს თასის გათამაშებას, იქ მონაწილეობაზე უარი არავის უთქვამს. აქედან გამომდინარე 11 გუნდის გადანაწილება სხვა პრინციპით მოხდა. პირველ 7 ადგილზე გასული გუნდები მეოთხედფინალში ავტომატურად გავიდნენ, ხოლო დარჩენილ ერთ საგზურს ბოლო 4 ადგილზე გასული გუნდი — სტუ, „ბათუმი", „დინამო" და სსაუ გამოავლენს.

26 იანვარს ერთმანეთს სტუ-ბათუმი და დინამო-სსაუ შეხვდებიან, მათ შორის გამარჯვებული კი 27 იანვარს ბოლო მეოთხედფინალისტის ვინაობას გაარკვევს.

რაც შეეხება მეოთხედფინალისტებს, გუნდები აქაც ადგილების მიხედვით განითესენ. აქედან გამომდინარე, მეოთხედფინალისტები ასე დაწყვილდნენ:

29 იანვარი: არმია-სოხუმი; შსს-თსსუ; ენერჯი-სოხუმი და ქუთაისი-შესარჩევში გამარჯვებული

30 იანვარს ნახევარფინალური მატჩები გაიმართება, ხოლო ფინალური მატჩი 1 თებერვალს.

ფინალური მატჩი თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება, ხოლო დანარჩენ მატჩებს ისევ რუსთავი უმასპინძლებს.

# „არმია" — 1:1, „სოხუმი" — 2:0

სანამ საკალათბურთო სეზონი განახლდება, გუნდები აქტიურად ემზადებიან. სასიხარულოა, რომ წელს პირველად მოხდა, როდესაც 2 ქართული გუნდი უცხოურ შეკრებაზე წავიდა. ასეთი პატივი წილად „სოხუმსა" და „არმიას" ხვდათ.

სოხუმელები თურქეთში არიან და მათ პირველ გამარჯვებაზე უკვე ვწერდით. ზღვიპირელებმა იმარჯვეს მეორე საკონტროლო მატჩშიც. „მურატფაშას" განადგურების შემდეგ ვაჟა კვარაცხელიას შეგირდებმა იქაური მეორე ლიგის ლიდერი „კეპეზი" დაამარცხეს — 92:86.

პირველი მატჩის მსგავსად სოხუმელებს ამჯერადაც ლაშა ფარლალავამ ულიდერა, რომელმაც თავის გუნდს 35 ქულა შესძინა. ამერიკელი იუჯინ ჰარისის ანგარიშზე 18 ქულაა, ხოლო 12-12 ქულით გუნდს კიდევ ერთი ამერიკელი რიჩარდ დამუსი და ირაკლი სორდია შეეწიენ.

სოხუმი საქართველოში 15 იანვარს დაბრუნდება, დღეს კი კიდევ ერთ მატჩს გამართავს თურქეთის ჩემპიონატის მეექვსეადგილოსან „ბუიუქზეჰირთან".

2 მატჩი გამართა სლოვენიაში მყოფმა „არმიამაც". პირველ მატჩში, „სენატურთან" არმიელებმა ცუდად დაუწყეს და პირველი მეოთხედის შემდეგ 10:26 ჩამორჩნენ, მაგრამ შემდეგ ძალები მოიკრიბეს და 77:65 იმარჯვეს. ჩვენებურთაგან საუკეთესო იყო ანატოლი ბოისა, რომელმაც გუნდს 22 ქულა შესძინა. 19 ქულით შეეწია გუნდს კოტე ტუღუში.

მეორე მატჩში „არმიამ" იქაური ჩემპიონატის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ „ზლატოგორს" შეხვდნენ და 4 ქულით დამარცხდნენ. სამწუხაროდ, ანგარიში და ტექნიკური მონაცემები, უცნობია.

ახლა რაც შეეხება ადგილობრივ ცვლილებას. ადრე ვწერდით, რომ აგრარული უნივერსიტეტის მწვრთნელი მიხეილ კობეშავიძე სამუშაოდ ბათუმში გადავიდა და მის მიერ გამოთავისუფლებული ვაკანტური ადგილი რამდენიმე დღეში გია კაზანჯიანმა შეავსო. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, კაზანჯიანს გამოცდილება გააჩნია და საქართველოს 16-წლამდე ნაკრების თავკაცია.

მისთვის აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდში ნაცნობი კონტინგენტი დახვდება — აგრარელთა შემადგენლობის უმეტესი წევრი მისი შეგირდი იყო ნაკრებსა თუ „აკადემიის" გუნდებში.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ნარკოტიკები ფეხბურთელის პორტრეტში




ბრიტანელი სამართალდამცავების ცნობით, ნარკოტიკებით მოვაჭრეებმა დაახლოებით 3 ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების მარიხუანას დამალვა ინგლისური კლუბის „მანჩესტერ სითის“ ფეხბურთელის ემანუელ ადებაიორის პორტრეტში სცადეს.

ხის ჩარჩოში ჩასმული პორტრეტი ქოვენთრიში, ამათაების დახარისხების სადგურში დააკავეს.

ბრიტანეთის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა, გარდა ამისა, აღმოაჩინეს ნარკოტიკები, რომლებიც ლიქიორის „ბეილიზის“ ბოთლში იყო ჩამალული. ნარკოტიკები იყო დამალული აგრეთვე არაქისისა და მიწავაშლას პაკეტებშიც.

ბრიტანეთის სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლების თქმით, დამალული ნარკოტიკები პორტებში, აეროპორტებსა და საფოსტო ამანათების დახარისხების სადგურებში დააკავეს.

პოლიციელების მიერ ნაპოვნ ერთ-ერთ პაკეტში მინის ღრუ სამშვენისები იყო ჩაწყობილი, რომლებიც მთლიანად კოკაინით იყო ამოვსებული. გარდა ამისა, 40 ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების კოკაინი ბელფასტიდან გაგზავნილ საფოსტო ბარათებში იპოვეს.

ნარკოტიკების აღმოჩენის მიზნით მესაზღვრეები სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ. საგანგებოდ დაგეშილ ძაღლებს ნარკოტიკებისა და ფულის პოვნა შეუძლიათ. გარდა ამისა, ბარგის შიგთავსის შემოწმება რენტგენოსკოპიის საშუალებით არის შესაძლებელი.

მცირე სიმძლავრის რენტგენის სკანერებს სამალავის პოვნა ადამიანის სხეულზეც კი შეუძლიათ. მიუხედავად ამისა, პოლიციის მთავარ საშუალებად მაინც ინფორმატორები რჩებიან.

გ.თ.

# პირველი კოცნა ადამიანს არ ავიწყდება



საყვარელი ადამიანის პირველმა კოცნამ ადამიანის მთელი ცხოვრება შეიძლება შეცვალოს, რადგან იგი ყველაზე დასამახსოვრებელი მოვლენაა. ასეთი დასკვნა გამოიტანა ამერიკელმა მკვლევარმა შერილ კირშენბაუმმა.

სპეციალისტის თქმით, პირველი კოცნის შედეგად ადამიანის ორგანიზმში განსაკუთრებული ბიოქიმიური რეაქცია მიმდინარეობს, რომელსაც რთული ფსიქოლოგიური ფონი ემატება.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ექსპერიმენტის მონაწილე მოხალისეთა სიტყვები, რომლებმაც განაცხადეს, რომ პირველი კოცნა დღესაც ისე ახსოვთ, თითქოს გუშინ მოხდაო.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ კოცნას ყველა დიდ მნიშვნელობასნ ანიჭებს, ეს მნიშვნელობა სქესზეა დამოკიდებული. ასე მაგალითად, მამაკაცებს მიაჩნიათ, რომ კოცნის საშუალებით ქალს განსაკუთრებული ენერგია შეიძლება გადასცენ, რაც მისი გულის მონადირებაში ეხმარებათ.

ქალები კი კოცნის საშუალებით ცდილობენ გამოარკვიონ, თუ რამდენად საიმედო და მუდმივია მათი პარტნიორი.

გ.თ.

# წყალდიდობამ ბრაზილიაში 300 ადამიანი იმსხვერპლა




ბრაზილიაში, რიო დე ჟანეიროს შტატში წყალდიდობისა და ღვარცოფის შედეგად სამასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

ფრანგული მედიის თანახმად, წყალდიდობამ ყველაზე ძლიერი მსხვერპლი ქალაქ ნოვა ფრიბუგში გამოიწვია, სადაც 155 ადამიანი დაიღუპა. 146 ადამიანი დაიღუპა ქალაქ ტერეზოპოლისში, სადაც გარეუბნები ღვარცოფმა დაფარა.

ათეულობით ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. მათ საძებნელად ვერტმფრენები გამოიყენეს.

მაშველების მუშაობას ართულებს კოკისპირული წვიმა, რომელიც რამდენიმე დღეა გრძელდება.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბრაზილიაში ასეთი ძლიერი წყალდიდობა არ მომხდარა. რიო დე ჟანეიროდან 100 კმ-ის დაშორებით მდებარე ტერეზოპოლისში ნაპირებიდან გადმოსულმა მდინარემ ქალაქის ქუჩები დატბორა, კოკისპირულმა წვიმამ ღვარცოფები გამოიწვია.

მსხვერპლთან ერთად არსებობს აგრეთვე ინფექციური დაავადებების გავრცელების საშიშროება.

ტერეზოპოლისის სამაშველო სამსახურის თანახმად, 24 საათის განმავლობაში 144 მმ ნალექი მოვიდა, რაც იანვრის ნორმას აღემატება.

გ.თ.

# ახმეტელის თეატრში პრემიერაა

**სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში საპრემიერო სამზადისი დასასრულს უახლოვდება. 15, 16 და 30 იანვარს რეჟისორი მალხაზ ასლამაზიშვილი მაყურებელს ორმოქმედებიან კომედიას სახელწოდებით „გივი ტაქსისტის სიყვარულის ისტორია“ წარუდგენს. სპექტაკლი რეი კუნის პიესის მიხედვით დაიდგა. მხატვარი აივენგო ჭელიძეა, მუსიკალური გაფორმება ლექსო ტურიაშვილს ეკუთვნის, ქორეოგრაფია — ბაქარ ხინთიბიძეს. სპექტაკლში მონაწილეობენ ბაჩო ქაჯაია (გივი), გვანცა კანდელაკი (ლიკა), თამთა პატაშური (ეკა), გიორგი დევაძე (სერგო), ანდრო სარიშვილი (ვახო), გიორგი ქსოვრელი (ნუგზარ ბერაძე), კახა ჯოხაძე (გურამ გვალია) და ზურაბ იაშვილი (რეპორტიორი).**

ეკა ირემაშვილი

— ეს არის ისტორია ტაქსის მძღოლისა, რომელსაც აქვს ორი ბინა და ჰყავს ორი ცოლი. ამის შესახებ არავინ არაფერი იცის, მაგრამ მოულოდნელი შემთხვევის შემდეგ, ეს საიდუმლო შეიძლება გამოაშკარავდეს და ტაქსისტის მშვიდ და იდილიურ ცხოვრებას, საშიშროება შეუქმნას. ამის თავიდან აცილების მიზნით ტაქსის მძღოლი ათასგვარ ხრიკს მიმართავს. მის მიერ მოგონილი ყოველი ახალი ტყუილი, ისევ ახალ ტყუილს ბადებს და ამით პიესაში იქმნება კომიკური სიტუაციები, რაც პერსონაჟებს სასაცილო და გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს, — გვითხრა სპექტაკლის რეჟისორმა მალხაზ ასლამაზიშვილმა.

***— რატომ კომედია?***

— ყოველთვის ასე იყო — როდესაც ქვეყანაში მდგომარეობა უარესდებოდა, წინა პლანზე გადმოდიოდა კომედიები და მელოდრამები. თუმცა, მე ამიტომ არ მიმიმართავს კომედიისთვის. ახლა შედარებით უკეთესი პირობებია, ვიდრე უწინ.

***— ამ პიესაზე რატომ შეაჩერეთ არჩევანი?***

— მომეწონა და იმიტომ. სიტუაციური კომედია უფრო შეიძლება ამ ყველაფერს ეწოდოს. ეს ყველაფერი საინტერესოა მაყურებლისთვის. ყოველ ამბავს ახალი კომიკური სიტუაცია შემოაქვს და მაყურებელს კიდევ უფრო ინტერესში აგდებს.

***— ახმეტელის თეატრში პირველად მუშაობთ?***

— დიახ. ამ თეატრში პირველად ვარ.

***— მსახიობები თავად შეარჩიეთ?***

— ვისაც ვიცნობდი, თვითონ შევარჩიე, მაგრამ ვისაც არ ვიცნობდი, თვითონ თეატრმა შემომთავაზა და მათგან ამოვარჩიე. კარგი გუნდი შეიკრა და მუშაობით კმაყოფილი ვარ. როლების სწორი განაწილება წარმატების 70 პროცენტია. მსახიობები ძალიან ბევრს მუშაობენ. დარბიან ივენთებზე, მიჰყავთ სხვადასხვა ღონისძიებები, წვეულებები, რომ ოჯახები არჩინონ. ბოლო რეპეტიციებზე, რამდენიმე მსახიობი ღამენათევი მოვიდა, მაგრამ მაინც მაქსიმალურად იმუშავა. მიუხედავად იმისა, რომ თეატრში მათ არ აქვთ კარგი ანაზღაურება, მათთვის პირველ ადგილზე მაინც თეატრია, რადგან ის განსაკუთრებულად უყვართ.

***— როგორია წინასაპრემიერო განწყობა?***

— განვიცდი და ვნერვიულობ, არ მინდა, რომ ცუდი გამოვიდეს და მაყურებელმა ცუდად მიიღოს, მაგრამ რომ გითხრათ, ღამეები არ მძინავს-მეთქი, ნამდვილად მოვიტყუები. უძილო ღამეები მაშინ მქონდა, როცა რაღაც სცენა არ გამოდიოდა და მასზე ვფიქრობდი. ამ ყველაფერმა უკვე გადაიარა. ახლა აღარც ნერვიულობას აქვს აზრი და აღარც ღელვას.

***— ყველა სპექტაკლში დევს თავისი სათქმელი. თქვენ რა გინდათ უთხრათ მაყურებელს თქვენი სპექტაკლით?***

— ამ სპექტაკლში ძალიან ბევრი სათქმელია. სპექტაკლი მარტო იმისთვის არ გაკეთებულა, რომ მოვიდეს მაყურებელი, გაიცინოს და წავიდეს. თუკი რამე სათქმელი იყო, უკვე იმდენჯერ ითქვა, ახალს ვეღარაფერს ვიტყვით. ისე ნამდვილად არ არის, რომ მოვიდეს მაყურებელი ამ სპექტაკლზე იმიტომ, რომ გაიგოს, თურმე ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, ეს ნამდვილად არ არის სწორი. ყველამ ისედაც კარგად იცის, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. ამ სპექტაკლით მაყურებელი საინტერესო ამბავს ნახავს, თეატრი მაინც შოუა და უნდა მოვიდეს მაყურებელი და ეს შოუ ნახოს. მაყურებლის გარეშე სპექტაკლი არ არსებობს. თუ არ მოვა მაყურებელი, არც ეს არის დიდი უბედურება. ვერავის ვერაფერს დავაძალებ და ვერ ვეტყვი, რომ თუ არ მოხვალთ, ვერ გაიგებთ, სჯობს სიცროცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი.

***— სპექტაკლი ტაქსისტზეა. კარგად იცნობთ ტაქსისტებს?***

— კი. მანქანა მყავს და ტაქსით ხშირად არ ვსარგებლობ, მაგრამ მათ კარგად ვიცნობ. არ არის მათი ცხოვრება ისეთი დახურული, როგორც მასონების. ტაქსისტები ადვილად გასაცნობი ხალხია, თუმცა, ჩვენს სპექტაკლში არ აქვს მნიშვნელობა ტაქსისტი იქნებოდა, მატარებლის მემანქანე თუ ინჟინერი. ტაქსისტი იმიტომ არის, რომ ასეთ სიტუაციაში ტაქსისტი უფრო ადვილად ხვდება, როგორც ჩვენი სპექტაკლის მთავარი გმირი მოხვდა. ორ ცოლთან დარბის, ერთ ცოლს რომ ჰგონია, მუშაობს, მეორე ცოლთან არის და ასეთ გაწამაწიაშია. სპექტაკლი ორცოლიანობაზეა და მართლა კომიკურია. თან შრომობს, ორ ცოლს შენახვა ხომ უნდა?

***— ტაქსისტები ბილწსიტყვაობით გამოირჩევიან. თქვენს სპექტაკლში ხომ არ იქნება მსგავსი რამ?***

— ახლანდელი ტაქსისტები ნაკლებად, უფრო ძველი თაობის ტაქსისტები ბილწსიტყვაობდნენ ხოლმე. ახლა ისეთი ინტელიგენტი ტაქსაობს, მისგან ბილწსიტყვაობა საკმაოდ შორს არის. ტაქსისტების უმეტესობა შედის კონტაქტში კლიენტთან. მით უმეტეს, თუ ისეთი ტაქსისტია, როგორიც ჩვენი სპექტაკლის გმირი, მაშინვე იწყებს იმის მტკიცებას, რომ ტაქსისტობა გაჭირვების ბრალია. სინამდვილეში ტაქსისტობა სულაც არ არის მისი მოწოდება. ბევრი ტაქსისტი დიპლომიანია და საკმაოდ კარგი განათლებაც აქვს. ტაქსისტებს საკმაოდ სახალისო ისტორიები აქვთ — გამუდმებით ყვებიან, ვინ ჩაუჯდა მანქანაში, როგორი ნაშა შეხვდა და ა.შ. მოკლედ, ჩვენს გმირსაც ჩაუჯდა ვიღაც ქალი, რომელიც სახლამდე მიიყვანა, მერე ბარგი აატანინა და მერე დაიწყო მისი ისტორიაც. ეს ისტორია ბანკირზე რომ ყოფილიყო, ასეთი საინტერესო არ იქნებოდა. ამ სპექტაკლში სათქმელი სულ სხვა არის და მაყურებელმა ამაზე უნდა იფიქროს.

# ჯეიმს ბონდის კიდევ ერთ ფილმს გადაიღებენ

კინოსტუდიების „ემჯიემისა“ და „იოუენ პროდაქშნზის“ განცხადებით, აგენტი 007-ის თავგადასავლების ახალი ფილმი ეკრანებზე 2012 წლის 9 ნოემბერს გამოვა.

პროდიუსერებმა მაიკლ უილსონმა და ბარბარა ბროკოლიმ განაცხადეს, რომ „ბონდიანას“ 23-ე ფილმის გადაღება 2011 წლის მიწურულს დაიწყება.

ფილმში მთავარ როლს კვლავ დენიელ კრეიგი ითამაშებს. ფილმის რეჟისორი იქნება ინგლისელი სემ მენდსი, „სილამაზე ამერიკულად“, „საზღვაო ქვეითები“ და „ცვლილებების გზის“ ავტორი.

ფილმის სცენარზე მუშაობდნენ ნილ პერვისი, რობერტ უეიდი და ჯონ ლოგანი. პერვისი და უეიდი არიან ავტორები ფილმებისა „გულმოწყალების კვანტი“, „კაზინო როიალი“, „და მთელი მსოფლიო საკმარისი არ არის“, აგრეთვე პაროდიული ფილმისა „ჯონი ინგლისში“.

ახალი ფილმის გადაღების გეგმებს ფინანსური პრობლემები დაემუქრა. გასული წლის ნოემბერში კინოსტუდია „ემჯიემი“ გაკოტრების პირას აღმოჩნდა და კრედიტორებისაგან დაცვა ითხოვა. ბიზნესის გადარჩენის გარიგების დადებას შედეგად ის მოჰყვა, რომ სტუდიას ამერიკული კომპანია „სპაიგლას ენთერთაინმენთი“ მართავს. კრეიგისათვის ეს უკვე ჯეიმს ბონდის მესამე როლი იქნება. პირველად ბონდის როლი მან 2007 წელს „კაზინო როიალში“ ითამაშა. მანამდე ჯეიმს ბონდის როლებს ასრულებდნენ შონ კონერი, ჯორჯ ლაზენბი, როჯერ მური, ტიმოთი დალტონი და პირს ბროსნანი.

ფილმი „კაზინო როიალი“ ბონდიანის ყველაზე შემოსავლიან ფილმად იქცა. მსოფლიო გაქირავებაში მან თითქმის 594 მილიონი დოლარი მოაგროვა.

გ.თ.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართველი მრეწველი, უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელის შემქმნელი; 2. დიდი ფორმატის, მდიდრულად გაფორმებული, უხვად დასურათებული ბეჭდვითი გამოცემა; 3. ჩეხი კომპოზიტორი; 4. გიორგი დანელიას კინოკომედია; 5. სიტყვის ბოლოსართი; 7. ზოგიერთი სასურსათო საქონლის საერთო სახელწოდება; 11. ხელის მინიშნებითი, გამომხატველობითი მოძრაობა; 12. ადამიანის, ცხოველის ძვლების ერთობლიობა; 13. ქალის ლამაზად მოწყობილი სასტუმრო ოთახი ახლობლების მისაღებად ძველად; 14. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა შექსპირის ტრაგედიები; 15. მუსლიმანთა ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 17. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 19. წყალქვეშა კლდე.

**თარაზულად:** 5. ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქი; 6. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 8. აფრიკული მოლაპარაკე თუთიყუში; 9. წნული ქოხი სამეგრელოში; 10. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 11. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირზე გადაცემის შესახებ; 13. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი; 14. ქვეწარმავალთა შხამი; 16. მესაქონლეობის ფერმა ამერიკაში; 18. ფინური აბანო; 20. გოგირდმჟავის მარილი; 21. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ისტვუდი; 2. პოლიგონი; 3. ფილატელია; 4. „ამირანი“; 5. გინეკოლოგი; 10. შეკელი; 11. ჰამბურგი; 12. ჰელიოსი; 13. ქლიბაძე; 16. ბალისტიკა; 17. სხვიტორი; 19. ესტანსია; 21. წალკა; 23. მრუმე.

**თარაზულად:** 6. ქსენოფობია; 7. ამტყელი; 8. ბუნაგი; 9. სტენდალი; 14. „ალკატელი“; 15. მილენიუმი; 18. მეგრე; 20. თხუნელა; 22. მემფისი; 24. ბაცილა; 25. დიპტანკი; 26. ლემური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იგრიკა; 2. სლენგი; 3. ენისელი; 4. ტანკერი; 5. შნიცელი; 7. ფარვანა; 11. მანგო; 12. ფიორდი; 13. ძილქუში; 14. კაფსულა; 15. „დავითი“; 17. ფესახი; 19. სიტე.

**თარაზულად:** 5. „შპიგელი“; 6. ესენცია; 8. გირი; 9. ტენგე; 10. ერზაცი; 11. „მახა“; 13. ძაბუტონი; 14. კანტი; 16. სფერო; 18. სექტა; 20. ლენტეხი; 21. თარხანი.

# ლუკაშენკოს ოპონენტების ახლობლები საზღვარგარეთ არ გაუშვეს

**ბელორუსიის სუკმა პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს ორი დაკავებული ოპონენტის ნათესავებს ვარშავაში დაგეგმილ საპარლამენტო კონფერენციაში მონაწილეობის მიღების ნება არ მისცა.**

სავარაუდოდ, სპეცსამსახურების კუთვნილი ავტომობილები ზამთრის მოლიპულ ტრასაზე უკან აედევნენ მანქანას, რომლითაც მოძრაობა „ზა სვაბოდუს“ აქტივისტს, იურას გუბარევიჩს პრეზიდენტობის კანიდატის, ალეს მიხალევიჩის მეუღლე მილანა და მისი ერთი წლის ბავშვი პოლონეთში მიჰყავდა.

მილანა მიხალევიჩმა ვარშავაში ჩასვლა პოლონეთის სეიმის მიერ ბელორუსიაში არსებული ვითარებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დასწრების მიზნით გადაწყვიტა. ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა მისი ქმრის მოულოდნელი სატელეფონო ზარი სუკის ციხიდან. მიხალევიჩმა თითქოს სხვისი კარნახით ცოლს უთხრა, რომ „წესიერად მოქცეულიყო“ და ევროპაში არ წასულიყო.

მილანა მიხალევიჩმა ვარშავის მატარებლის ბილეთი შეიძინა, მაგრამ გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე მის ბინას მორიგი ჩხრეკით მიადგნენ.

იურას გუბარევიჩის თქმით, ჩხრეკის დროს ამოიღეს დოკუმენტები, უბის წიგნაკები, ალეს მიხალევიჩის მიერ უცხოური ენების კურსის დამთავრების მოწმობები. როდესაც ცხადი გახდა, რომ მილანას ვარშავის მატარებელზე დააგვიანდა, გუბარევიჩმა მას ავტომობილით გამგზავრება შესთავაზა.

გუბარევიჩის თქმით, სპეცსამსახურების ავტომობილები მას მინსკამდე მიჰყვნენ, სადაც ლუკაშენკოს ოპონენტის მეუღლე დილით დაბრუნდა. ერთი წლის ალიონას ეძინა და, იურას გუბარევიჩის თქმით, მილანამ სიმშვიდე შეინარჩუნა.

პრეზიდენტობის კანდიდატის, რიმაშევსკის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის, დაპატიმრებული პავლე სევერინცის დედა, ტატიანა სევერინცი, ვარშავის მატარებლის გამგზავრებამდე ერთი საათით ადრე სპეცსამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს. ქალი სუკში სასწრაფო დაკითხვაზე მიიყვანეს.

დაკითხვა საათნახევარს გრძელდებოდა. ქალს პასპორტი ჩამოართვეს, შემდეგ მისი დაბრუნება „დაავიწყდათ“ და ამის გამო ტატიანა სევერინეცმა მატარებლის ბილეთის დაბრუნება ვერ შეძლო. ბილეთის დასაბრუნებლად ბელორუსიაში პასპორტს ითხოვენ.



სუკში ხუთშაბათს დილით მისულ ტატიანა სევერინეცს განუმარტეს, რომ თანამშრომელი, რომელმაც მას პასპორტი გამოართვა, სამსახურში არ იმყოფებოდა. საჩივრის პასუხად ჰკითხეს, პასპორტი რად გინდათო.

პრეზიდენტობის დაკავებული ექს-კანდიდატის, ანდრეი სანიკოვისა და ჟურნალისტ ირინა ჰალიპის ვაჟის, სამი წლის დანიკის ბედი ახლო მომავალში გადაწყდება, განათლების სამინისტროს პასუხისმგებელმა ჩინოსანმა გალენა რუდენკოვამ განაცხადა, რომ დანიკი ბებიასთან დარჩება.

ოფიციალური ორგანოების თანახმად, ლუკაშენკოს დაკავებული ოპონენტების ოჯახის წევრებთან დაკავშირებით ვითარება შეგნებულად მწვავდება. ბელორუსიის იუსტიციის სამინისტრომ ბელორუსიის ჰელსინკის კომიტეტში ოფიციალურად განაცხადა, რომ იუსტიციის სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ბელორუსიის ჰელსინკის ორგანიზაციის მიერ გაგზავნილ ინფორმაციას სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის არაობიექტურ შეფასებად და მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში ბელორუსიის დისკრედიტაციის მცდელობად მიიჩნევს.

იუსტიციის სამინისტრომ, გარდა ამისა, ინფორმაციის სამინისტროს სანქციებიც მოითხოვა. სამინისტროს აზრით, ზოგიერთ მედიასაშუალებაში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა ტენდენციურად არის შეფასებული.

# ბრისბენში წყალდიდობამ პიკს მიაღწია

მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში წყალდიდობის პიკი პროგნოზებთან შედარებით 1 მეტრით დაბალი აღმოჩნდა, ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი, ცენტრის ჩათვლით, დატბორილია.

ადრე დილით წყლის დონემ მდინარე ბრისბენში 4.46 მეტრით მოიმატა, რაც 1974 წლის მაჩვენებელზე გაცილებით ნაკლებია. მაშინ წყლის დონის მატებამ 5.4 მეტრი შეადგინა.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 13 ადამიანს მიაღწია.

ხელისუფლების თქმით, მდგომარეობა კვლავინდებურად მძიმეა. ბრისბენის მრავალი მცხოვრები უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდა. დატბორილია ავტომაგისტრალები, აღარ მოქმედებს რკინიგზა, კანალიზაციაში ჩამდინარე წყლები წვიმის წყალს ერევა.



ბრისბენის გარეუბან როკლიში წყლის დონემ 3 მეტრით აიწია, წყლიდან მხოლოდ სახლის სახურავები მოჩანს.

დატბორილია უესტ ენდის, ტარინგას ინდოროოპილის რაიონები. მრავალ მაღაზიაში პროდუქტების ნაკლებობა დაიწყო.

100 ათასამდე სახლს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა.

სტიქიის მიუხედავად, ბრისბენის აეროპორტი არ დაზარალებულა და ჩვეულებრივი რეჟიმით მუშაობს.

მოსალოდნელია, რომ წყლის მაქსიმალური დონე ხუთშაბათიდან კვირის ბოლომდე ნელ-ნელა დაიკლებს. ხელისუფლებმა ერთი ღამის განმავლობაში ჰილშერის ხიდზე, ქალაქის მთავარ არტერიაზე მოძრაობა ორჯერ შეწყვიტეს.

ხიდს საფრთხე შეუქმნა წყლის მიერ მოწყვეტილმა, 300 მეტრი სიგრძის ბეტონის კონსტრუქციამ, რომელიც დინებამ წაიღო.

საწყლოსნო ტრანსპორტის პოლიციამ ბეტონის კონსტრუქციის ხიდთან შეჯახების თავიდან აცილება შეძლო.

ბრისბენის დასავლეთით, მდინარის ზემოწელში სერიოზულად დაზარალდა ქალაქი იფსვიჩი, საიდანაც ასობით მცხოვრები გახიზნეს. იფსვიჩის მერი იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში წყლის დონე დაიკლებს და აღდგენითი სამუშაოების დაწყება შესაძლებელი გახდება.

იფსვიჩის მერი პოლ პისასეილის თქმით, თავის ქალაქში მაროდიორები თუ ნახა, მათ წყლის დონის გასაზომ მარკერებად გამოიყენებს. ყველაზე სერიოზულად ქალაქი ტუვუმბა დაზარალდა. რვა მეტრი სიმაღლის ტალღამ ქალაქის ქუჩებს ორშაბათს გადაუარა.

# რეინში გოგირდმჟავის ტანკერი ჩაიძირა

გერმანიაში, მდინარე რეინში, ჩაიძირა ტანკერი, რომელსაც 2.4 ათასი ტონა გოგირდმჟავა გადაჰქონდა. პოლიციის განცხადებით, ეკიპაჟის ორი წევრი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ოფიციალური ინფორმაციით, გემზე მყოფი კიდევ ორი ადამიანი გადაარჩინეს.

გერმანული საინფორმაციო საშუალებების თანახმად, დაკარგულთა მოსაძებნად პოლიცია ვერტმფრენებსა და სპეციალურ ინფრაწითელ აპარატურას იყენებს.

ავარია ქალაქ სანკტ-გოარსჰაუზენის მახლობლად მოხდა. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ჩაიღვარა თუ არა წყალში გოგირდმჟავა.

მომხდარის მიზეზები უცნობია. ავარიის შედეგად დაახლოებით 100 მეტრი სიგრძის გემი გადაბრუნდა. გერმანიის ხელისუფლებმა მდინარე რეინი, ევროპის ერთ-ერთი მთავარი სანაოსნო მაგისტრალი გადაკეტეს.

ტანკერი ქალაქ ლიუდვიგსჰაფენიდან გამოვიდა და ბელგიის ქალაქ ანტვერპენისაკენ მიემართებოდა.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში თოვლის ინტენსიური დნობის გამო მდინარე რეინში



წყლის დონემ საგრძნობლად მოიმატა. მიუხედავად ამისა, ცნობილი არ არის, აქვს თუ არა ამას რაიმე კავშირი ტანკერის ავარიასთან.

იმ ადგილას, სადაც ავარია მოხდა, მდინარის კალაპოტი ვიწროვდება, დინება კი ჩქარდება. წარსულში მსგავსი ინციდენტები ამ ადგილას მრავალჯერ მომხდარა.

# მექსიკის ნარკოომმა 34 ათასი ადამიანი იმსხვერპლა



მექსიკის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მექსიკაში ნარკოომების შედეგად 34612 ადამიანი დაიღუპა.

გამოქვეყნებული სტატისტიკა მოიცავს როგორც სამართალდამცავი ორგანოების დანაკარგებს, ასევე მოსახლეობის მსხვერპლს.

როგორც სახელმწიფო ჩინოსნები აცხადებენ, მანამდე, მსგავსი სტატისტიკის მომზადების დროს მხოლოდ კრიმინალური დაჯგუფებების წევრთა რაოდენობას ითვალისწინებდნენ.

ნარკოკარტელებს ომი პრეზიდენტმა ფელიპე კალდერონმა გამოუცხადა. მისი მმართველობის ოთხი წლის განმავლობაში 2010 წელი ყველაზე სისხლიანი გამოდგა.

ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს კალდერონმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა კარგად აცნობიერებდა იმ პრობლემებს, რომლის წინაშეც ქვეყანა უსაფრთხოების სფეროში შეიძლება აღმოჩენილიყო.

მთავრობის პრესმდივანმა ალეხანდრო პუარემ განაცხადა, რომ 2010 წელს მექსიკაში 15273 ადამიანი მოკლეს. მკვლელობების უმეტესობა ჩრდილოეთით მდებარე სამ შტატში — ჩიჰუაჰუას, ტამაულიპასის და სინალოას შტატებში მოხდა.

სხვა შტატებს ძალადობა პრაქტიკულად არ შეხებია. იუკატანსა და ტლასკალში გასულ წელს ორგანიზებულ დამნაშავეობასთან დაკავშირებული 10-ზე ნაკლები მკვლელობა მოხდა.

ჩრდილოეთის შტატებში არსებულ ვითარებას ხელისუფლები ხსნიან იმით, რომ დაპირისპირებული კრიმინალური კლანები ერთმანეთს პირველობას ეცილებიან და გავლენის სფეროებისათვის აქტიურად იბრძვიან. ალეხანდრო პუარემ ასევე აღნიშნა, რომ გასული წლის ბოლო კვარტალში მკვლელობების რიცხვი 10%-ით შემცირდა. თუმცა, მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჯერჯერობით ვითარების სასიკეთო ცვლილებაზე ლაპარაკი ნაადრევია. **მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილიშვილები არჩილ და გიორგი მორჩილაძეები, რძალი მარინა ადამია, ძმისშვილები მარინა და სოსო სოფრომაძეები, ბიძაშვილი ბელა ოდილავაძე ოჯახით, მამიდაშვილები დათო პაპუაშვილი ოჯახით, ფიქრია და მზია ბოლქვაძეები ოჯახებით, დეიდაშვილი თემურ გურგენიძე ოჯახით, ინესა და მერაბ ადამიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დოდო სოფრომაძე**

პანაშვიდი: 14 იანვარს;

დაკრძალვა: შაბათს, 15 იანვარს, 14 საათზე;

მისამართი: მიცკევიჩის №6, VI სადარბაზო, II სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**



შვილი მაკა გოგუაძე, სიძე გოჩა კუხალაშვილი, შვილიშვილები თათია, მიშიკო, და თალიკო ჩორგოლაშვილი, დისშვილები ცისანა, ზაზა ჯოხაძეები, ძმისშვილები დოდო, მამუკა ჩორგოლაშვილები, მძახლები მიშა, ლილი კუხალაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლამარა იონას ასული ჩორგოლაშვილი**

პანაშვიდი: 14, 15 იანვარს, 17 საათზე, ქ.თბილისი, ირ.აბაშიძის 81, II სადარბაზო, II სართული.

გამოსვენება: 16 იანვარს, 15 საათზე, საბურთალოს საძმო სასაფლაოს (ახალი პანთეონი) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან.

საქართველოს განათლების მუშაკები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ სკოლამდელი აღზრდის დიდი მოამაგის, საუკეთესო ნოვატორის, დარგის ხელმძღვანელის წლების განმავლობაში, ქალბატონი

**გუგული აბდუშელიშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

*მ.კობახიძე, ნ.მექვაბიშვილი, გ.მგალობლიშვილი, ნ.კეპულაძე, ლ.აფაქიძე, ნ.მჭედლიძე, ნ.კალანდარიშვილი, ჟ.ნიჟარაძე, ნ.მიქაუტაძე, რ.ჩიქოვანი. ლ.რუსია, ე.დანგაძე, გ.ჩუბინიძე, ნ.გულაშვილი, გ.ნასუაშვილი, ლ.გორდელაძე, ლ.კურდღელაშვილი, ნ.მიქაძე, კ.სულაბერიძე, ნ.აბაკელია, გ.გოფოძე, რ.ჯაოშვილი, უ.ჯალაღონია, თ.ძაძამია, ზ.სინაურიძე*

# TV პროგრამა

## პარასკევი 14 იანვარი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 03.20** მოამბე **12.30** მონტე-კარლოს ცირკის **33-**ე საერთ. ფესტივალი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** ქართ. ტელეფილმი **"ღვინის ქურდები" 15.00** ქართ. ტელეფილმი **"რეკორდი" 17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "მილიონერები" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** მანანა მენაბდის შემოქმედებითი საღამო **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი **"მებაღე"** (პ. სელერსი) **03.40** მხ. ფილმი **"ოჯახის სახელით"** (დ. ბერიმორი) (სუბტ.)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00, 19.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი **"50 პირველი პაემანი" 01.00** მხ. ფ. **"დამსჯელი"** (15)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში" 10.00** სერ. **"მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** პროფილი **16.50** სერ. **"მორენას ვნება" 18.30** სერ. **"გაორება" 18.50** სერ. **"დანიელა" 19.50** სერ. **"სად არის ელისა" 21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ (საახალწლო) **23.30** მხ. ფ. **"საუკეთესო მსროლელი"** (18) (ტ. კრუზი) **01.30** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "არგაი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე" 10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო" 12.00** სერ. **"ორნახევარი კაცი" 12.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30 ფეხბურთი.** რეალი-ვილიარეალი **16.40** საფეხბურთო მიმოხილვა -ესპანეთი **17.40** ანიმაცია "საშობაო ელფები" **18.30** პულსი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა" 20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო" 21.00** გადაცემა "105 წუთი" (პირდ.) **23.00** საახალწლო კონცერტი **01.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"მეორე სიცოცხლე" 13.00** სერ. **"ლოლას საიდუმლო" 14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"ლუნას მემკვიდრეობა" 17.40** სერ. **"მოჯადოებული" 18.45** სერ. **"ლოლას საიდუმლო" 21.00** სერ. **"ქალბატონი" 22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** მე-**2** ს. (საახალწლო) **23.00** კონცერტი: თამრიკო ჭოხონელიძე **00.30** მხ. ფილმი **"წერილები ჯულიეტასთვის"** (ა. სეიფრიდი) (სუბტ.) **02.30** მხ. ფილმი **"მისტერ და მისის სმითები"** (12) (ბ. პიტი) (სუბტ.)

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30** მუსიკა **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი" 12.50** კონცერტი **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მოჯადოება" 19.00** მუსიკა **19.30** სერ. **23.00** საახალწლო შოუ-პროგრამა **01.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** ბიზნეს-მარათონი **11.25** მოკ. ფილმი **"სერენადა" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.20** მხ. ფილმი **"რაჭა, ჩემი სიყვარული" 13.30** კონცერტი **15.10** მხ. ფილმი **"დღე უკანასკნელი, დღე პირველი" 16.35** მულტფილმი **18.05** პატრიარქის ქადაგება **19.15** მხ. ფილმი **"გამოაღეთ ფანჯრები" 21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **22.40** დოკ. ფილმი "სამი მღვდელმთავარი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ლადო ასათიანი" **00.40** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის 14 იანვარს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,781 |
| ევრო | 2,4644 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7536 |
| რუსული რუბლი | 0,0583 |

**ამინდის პროგნოზი 14 იანვრისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — §-19, ღამით — 9-4

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 13-16, ღამით — §-11,

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -3-2, ღამით — -16-2







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.**


## გუჯა ბურდული ლოპოტაში გაამწესეს



ცნობილი ქართველი მსახიობი გუჯა ბურდული მეუღლესთან ერთად საქართველოს ულამაზეს კუთხეში — ლოპოტაში დასასვენებლად გაუშვეს. როგორც მსახიობის მეუღლემ, ქალბატონმა ინესა აბესაძემ გვითხრა, ეს საჩუქარი მათ „ნანუკას შოუმ" გაუკეთა, სადაც ჩატარებულ ყოველწლიურ დაჯილდოების ცერემონიალზე გუჯა ბურდული და ინესა აბესაძე წლის წყვილად დასახელდა.

— ჩვენთვის ეს საჩუქარი ძალიან მოულოდნელი იყო. ნამდვილად არ გვეგონა, თუ საუკეთესო წყვილი ჩვენ გავხდებოდით. ძალიან გახარებულები ვართ. ვიცით, რომ ლოპოტა ულამაზესია და ამ საჩუქრისთვის „ნანუკას შოუს" დიდ მადლობას ვუხდით, — გვითხრა ქალბატონმა ინესა აბესაძემ.

„ნანუკას შოუმ" სპეციალური ნომინაციები დააწესა, რომლებშიც გამარჯვებულები გამოავლინა და სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა. ნომინაციაში წლის სკანდალი ფადი ასლისა და ანა ონიანის ურთიერთობა დასახელდა, წლის აღმოჩენად „ნანუკას შოუმ" დავით ბახტაძე მიიჩნია, წლის ოპტიმისტი ნუგზარ რუხაძე გახდა, წლის გულწრფელი ინტერვიუს ნომინაციაში თამრიკო ჭოხონელიძემ და ზურა ყიფშიძემ გაიმარჯვეს, წლის კრიტიკოსად ლევან ღვინჯილია აღიარეს, წლის ნოსტალგიად — მანანა მენაბდე, წლის დაბრუნებად — მამუკა ჩარკვიანი, წლის წყვილად — გუჯა ბურდული და ინესა აბესაძე, წლის საჩუქარი გოგა ბარბაქაძე გახდა, ხოლო წლის მისს — ნანული სარაჯიშვილი. ნათელა მაჭავარიანი „ნანუკას შოუმ" დააჯილდოვა იმისთვის, რომ იგი აღიარეს ქალად, რომელმაც მწუხარებაშიც შეინარჩუნა ღირსება. ყოველგვარი ნომინაციის გარეშე კი დაჯილდოების ცერემონიალზე გივი ბერიკაშვილი და კახი კავსაძე მუდმივად სასურველი სტუმრის სტატუსით დაჯილდოვდნენ.

**ეკა ირემაშვილი**

## საქართველოს ნაკრები მეოთხე კალათაშია

**30 იანვარს ფიბა-ევროპა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრას ჩაატარებს. თუმცა, მანამდე ფინალური ეტაპის მონაწილე 24 ნაკრები კალათებში გადაანაწილა.**




საქართველოს ეროვნული გუნდი მე-4 კალათაში მოხვდა და უკან 8 ნაკრები მოიტოვა. შეგახსნებთ, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილე 10 ევროპული გუნდი პირდაპირ მოხვდა ევროპის ჩემპიონატზე და 1-3 კალათებშიც განაწილდნენ, შემდეგ კი ის 12 გუნდი განითესა, რომელმაც კონტინენტის პირველობის შესარჩევ ეტაპზე საუკეთესო შედეგები აჩვენა.

მომავალი ტურნირის 2 ვაკანტურ ადგილს საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილე უარესი მაჩვენებლის მქონე გუნდები, ფინეთი, უნგრეთი და პორტუგალია, 3-24 აგვისტოს, მიმოსვლითი სისტემით გაითამაშებენ.

ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრა 30 იანვარს, ვილნიუსში გაიმართება და ჩვენი ნაკრების მეტოქეთა ვინაობასაც შევიტყობთ. მანამდე კი იმ ფორმატს შეგახსენებთ, თუ როგორ ჩატარდება ფინალური ეტაპი.

24 ნაკრები 4 ექვსგუნდიან ჯგუფში გადანაწილდება. მომდევნო ეტაპზე 3-3 საუკეთესო (12 გუნდი) გავა, რომელიც შემდეგ 2 ჯგუფში განაწილდებიან, თან გადაჰყვებათ ერთმანეთში ნათამაშევი ქულები და ბრძოლას მეოთხედფინალში გასავლელად გააგრძელებენ. საუკეთესო 8 გუნდში მოსახვედრად საჭიროა მეორე ჯგუფურ ეტაპზე ოთხეულში მოხვედრა. შემდეგ კი ტრადიციულად ნახევარფინალები და ფინალი გაიმართება.

გუნდების განთესვა 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრის წინ:

I კალათა: ესპანეთი, სერბეთი, საბერძნეთი, სლოვენია;

II კალათა: საფრანგეთი, ხორვატია, რუსეთი, თურქეთი;

III კალათა: გერმანია, ლიტვა, ჩერნოგორია, ბელგია;

IV კალათა: დიდი ბრიტანეთი, მაკედონია, ისრაელი, საქართველო;

V კალათა: იტალია, ბულგარეთი; პოლონეთი, ბოსნია;

VI კალათა: უკრაინა, ლატვია და საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვებული 2 გუნდი

გეტყვით იმასაც, რომ ერთ კალათში განთავსებული გუნდები ერთად ვერ მოხვდებიან.

**მ. ჟ.**

## ყველამ გაითვალისწინეთ! ასტროპროგნოზი 14 იანვრისთვის

**წარმატებული დღეა.**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — ახალი საქმე გამოგიჩნდებათ, კმაყოფილი დარჩებით. **მშვილდოსანი** — გადაიხალისეთ გარდერობი, საღამოს შეხვედრა გელით. **თხის რქა** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **მერწყული** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **თევზები** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ნეიტრონის აღმომჩენი ინგლისელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ძვირფასი ქვა, ლურჯი იაგუნდი; 3. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 4. მწერიჭამია ჭაობის მცენარე; 5. ფინელი ბარონი, მარშალი, ეროვნული გმირი; 10. ძალოსნობის იარაღი; 11. ცნობილი ამერიკელი პიანისტი მამაკაცი; 12. ვისიმე რწმუნების დამადასტურებელი დოკუმენტი; 13. გერმანიის კანცლერი; 16. აცტეკების ლეგენდარული ბელადი; 17. იაპონიის ეროვნული ჰიმნი; 19. სოფოკლეს ტრაგედია; 21. ქვეწარმავლის შხამი; 23. კუთხე საქართველოში.

**თარაზულად:** 6. რაიმეს თანდათანობით გაუარესება, დაქვეითება; 7. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 8. საფრანგეთის ნაკრებისა და „ბაიერნის" ფეხბურთელი; 9. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 14. პოპულარობის მაჩვენებელი; 15. გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი; 18. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 20. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 22. ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 24. შემაგრებული ესპანური ღვინო; 25. ალექსანდრე მაკედონელის ცხენის სახელი; 26. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## იუმორი



— ამბიცია — გამოცდაზე მიდიხარ, ორიანზე იცი, კარგ ნიშანს რომ გიწერენ, გიკვირს, ფრიადი რატომ არ დაგიწერეს...

* * *

ბარმენს ეკითხებიან:

— ჭიქას ბოლომდე რატომ არ ავსებთ?

— დავბერდი და ცუდად ვხედავ.

— მაშ, რატომ არ გელვრებათ?

— ბრმა კი არ ვარ!

* * *

— სიღარიბის მიზეზი ხშირად გადაჭარბებული პატიოსნებაა...

* * *

ზის ყვავი მუხაზე, ხედავს, ქვემოდან ძროხა მოცოცავს. ყვავი ეკითხება:

— ძროხა, ხეზე რა გინდა? რატომ მოცოცავ?

— ვაშლი უნდა ვჭამო.

— მუხა ვაშლს არ ისხამს, შე შტერო!

— შენ თვითონ შტერო, ვაშლები თან მაქვს.

* * *

— საყვარელო, შეამჩნიე, როგორ დავიკელი წონაში?

— როდის? მთელი დღე სამსახურში ვარ...

**გ.თ.**

## საჯარო ნათლობა 19 იანვარს გაიმართება

**ეკა ირემაშვილი**

**რიგით მეთხუთმეტე საყოველთაო ნათლობა სამების საკათედრო ტაძარში 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე გაიმართება. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კიდევ 520 ბავშვს მონათლავს.**



პატრიარქის ნათლულთა რეგისტრაცია 19, 20 და 21 დეკემბერს მიმდინარეობდა. რეგისტრაცია 520-მა ჩვილმა გაიარა. ილია მეორემ უკვე 7.150 ჩვილი მონათლა, მათ რიცხვს კი 19 იანვრიდან 520 პატარაც შეემატება.

საყოველთაო ნათლისღებას საფუძველი მისმა უწმინდესობამ 2008 წელს ნათლისღების დღესასწაულზე ჩაუყარა. 2008 წლიდან დღემდე პატრიარქს ჩვილთა თოთხმეტი ნათლობა აქვს ჩატარებული. ილია მეორემ გამოთქვა მოსაზრება, რომ თუკი მშობლების სურვილი იქნებოდა, იგი ჯვარდაწერილი ოჯახის მესამე და მომდევნო შვილების ნათლია გახდებოდა.

## ტესტი: როგორი დამოკიდებულება გაქვთ ახლობლებთან?



1. როდესაც თქვენს ახლობლებს შეურაცხყოფენ, იცავთ თუ არა მათ?
2. შეგიძლიათ თუ არა, თქვენი ახლობლებისთვის გააკეთოთ ის, რასაც სხვას არ გაუკეთებდით?
3. ოდესმე თქვენს ახლობლებს თუ გამოუწვევიათ თქვენში უსიამოვნების შეგრძნება?
4. მძიმე დღის შემდეგ თქვენს გაღიზიანებას ახლობლებთან სკანდალით თუ გადმოაფრქვევთ ხოლმე?
5. გიყვართ თუ არა დასვენების დღის გატარება მთელ ოჯახთან ერთად?
6. გახსოვთ თუ არა, ვის როდის აქვს დაბადების დღე და ამზადებთ თუ არა საჩუქრებს?
7. თუ რომელიმე თქვენმა ნათესავმა ცოტა ფული გთხოვათ სესხად, მოსთხოვთ თუ არა ფულის უკან დაბრუნებას?
8. როდესაც ვინმე ახლობელს დახმარება სჭირდება, ეხმარებით?
9. ღირსშესანიშნავ დღეს თუ პატივს სცემთ თქვენს ნათესავებს მის აღსანიშნავად?
10. იცით, რომ თქვენს მეორე ნახევარს დააგვიანდება. ივახშმებთ თუ არა მის მოსვლამდე?

**პასუხები** — **დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**0-5 ქულა:** თქვენ გიყვართ მხოლოდ ისინი, ვისაც თქვენ უყვარხართ, ნაზად ეპყრობით ახლობლებს, მაგრამ ზრუნვას აშკარად არ გამოხატავთ, თუ დახმარებას გთხოვენ, დაეხმარებით, თავად დახმარებას არ შესთავაზებთ.

**6-10 ქულა:** შეიძლება, გიყვართ ახლობლები, მაგრამ — მხოლოდ თქვენთვის დამახასიათებელი სიყვარულით. ძალიან მკაცრად ეპყრობით მათ. იქნებ ოდნავ უფრო მეტი ლმობიერება გამოიჩინოთ.

**გ.თ.**